

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ ჩხაიძე

მეტყველების ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

1500 – ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პოფესორი მაია ჩხეიძე

ქუთაისი

2016

შინაარსი

შესავალი 4

თავი I. სამყაროს ხატში ასახული ენის, კულტურისა და ეროვნული ენერჯის თავისებურება

- 1.1. ენა, კულტურა, ეროვნება და ეროვნული ენერჯია9
- 1.2. ენის მაკონსტრუირებელი როლი ეროვნული ხასიათის ფორმირებაში20
- 1.3. სამყაროს ხატი როგორც სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ხერხი.....24
- 1.4. უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური სამყაროს ენობრივი სურათი28
- 1.5. მსგავსი და განსხვავებული აზროვნება - ენობრივი მოვლენები სამყაროს ენობრივ სურათში32

თავი II. კოგნიცია, კოგნიტური მეცნიერება და კოგნიტური ლინგვისტიკა

- 2.1. კოგნიტური ლინგვისტიკა თანამედროვე ლინგვისტიკის კონცეფციასთან პარადიგმაში37
- 2.2. კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა44
- 2.3. ფრეიმების თეორია 49
- 2.4. ცოდნა და მისი რეპრეზენტაციის მოდელები 53
- 2.5. ფრეიმთა სისტემის თავისებურებები 58
- 2.6. კონცეპტი და ფრეიმი 64

თავი III. მეტყველების კონცეპტი და ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

- 3.1. მეტყველების კონცეპტის სტრუქტურაციის პრინციპები 75
- 3.2. მეტყველების ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში 81
- 3.3. სუბიექტისა და მეტყველების პროცესის მარკერების ობიექტივატორი ფრაზეოლოგიური ერთეულები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში..... 116
- დასკვნები 141

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა	151
გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა	161

შესავალი

XX საუკუნეში სისტემურ-სტრუქტურული და სტატისტიკური პარადიგმის ადგილი დაიკავა ანთროპოცენტრისტულმა, კოგნიტურმა და დინამიურმა პარადიგმამ, რომელმაც დაუბრუნა ადამიანს დომინანტური სტატუსი და დააბრუნა იგი სამყაროს ცენტრში.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში, ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში, ვითარდება სხვადასხვა მიმართულება, რომელთაგან ჩვენს ინტერესს წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკა.

კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს ენას როგორც კოგნიტურ მექანიზმს, რომელიც მონაწილეობს ენის კოდირებისა და ტრანსფორმაციის პროცესში. კოგნიტური ლინგვისტიკის მიზანს წარმოადგენს აღქმის, კატეგორიზაციის, კლასიფიკაციისა და სამყაროს შემეცნების პროცესთა, სხვა სიტყვებით, ცოდნის დაგროვების პროცესის გააზრება.

სამყაროში ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს რაციონალიზაცია - სამყაროში არსებულ საფრთხეთა გააზრება, მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, საფრთხეთა დაძლევის მექანიზმების ჩამოყალიბება, ადამიანებთან ურთიერთობის პრინციპების შემუშავება. სამყაროს რაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია მასში გააზრებული ქმედება. სამყაროს სტრუქტურირება ქმნის იმ პრიზმას, რომელშიც ადამიანი ხედავს სამყაროსა და საკუთარ თავს. რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახელდების, სამყაროში მათი ადგილის განსაზღვრის მეშვეობით, ადამიანი „ერგება“ რეალურ სამყაროს. ასე იქმნება კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე.

სხვადასხვა ანთროპოლოგიურ კონცეფციაში ადამიანის არსი გაიზარება მისი და სხვა არსებების - ცხოველებისა და რობოტებისაგან - კონტრასტირებით. აღნიშნულ არსებათაგან განსხვავებით, ადამიანს სამყაროში ორიენტაციისათვის ესაჭიროება განსაკუთრებული სიმბოლური გამაშუალებელი სტრუქტურები - ენა,

მითოლოგია, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება. სწორედ აღნიშნული სტრუქტურები ასრულებს ადამიანის მოღვაწეობის რეგულატორთა ფუნქციას.

ნებისმიერი ძირეული ცვლილება ადამიანის ყოფიერებაში იწვევს ადამიანის მოღვაწეობის რეგულატორთა - ადამიანთა პოზიციის, იდეალების, აღქმის პრინციპების, საქმიანობის, ღირებულებითი და სულიერი ორიენტირების ცვლილებას. აღნიშნული რეგულატორები ცვლადია დროსა და სივრცეში.

თემის **აქტუალურობა** განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- თანამედროვე ლინგვისტიკის განსაკუთრებული ინტერესი მიმართულია სხვადასხვა კოგნიტური პროცესებისაკენ, რომელიც დაკავშირებულია ენობრივ კონცეპტებში წარმოდგენილი კონცეპტუალური სტრუქტურებით. ენობრივი კონცეპტები წარმოდგენს მენტალურ სტრუქტურათა ერთ-ერთ სახეობას, რომელსაც ძალუმს რეალობის ასახვა;
- მეტყველების - ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კოგნიტური პროცესის, ენობრივი კონცეპტუალიზაციისა და მიკროდონეზე ენობრივი მანიფესტაციის შესაძლებლობები არასაკმარისადაა შესწავლილი;
- ლინგვისტურ ნაშრომებში მეტყველების აღმნიშვნელ ზმნათა კოგნიტურ-ლინგვისტური თვალსაზრისით ანალიზი ფრაგმენტულია;
- თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში სულ უფრო საგრძნობი ხდება მენტალური სტრუქტურების (ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურების) და ენის სტრუქტურის „დამაკავშირებელი” რგოლის გამოვლენის აუცილებლობა. კოგნიტურ ლინგვისტიკაში დღემდე არსებობს დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც უკავშირდება კონცეპტსა და მისი ენობრივი გამოხატულების ობიექტივიზაციას შორის არსებულ მიმართებას.

ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში მეტყველების კონცეპტის ფრეიმული რეპრეზენტაციის თავისებურებათა გამოვლენა, ფრეიმთა ლექსიკალიზაციისათვის საჭირო ელემენტთა იდენტიფიცირება და მათი ორგანიზება ნომინაციური ველების კონსტრუირების გზით. დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპის განხორციელება, როგორცაა:

- თემისათვის რელევანტური სპეციალური ლიტერატურის მოძიება და სისტემატიზაცია;
- მეტყველების კონცეპტის ნომინაციური ველების აგება თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში;
- მეტყველების კონცეპტის ნომინაციურ ველში შემავალ ენობრივ საშუალებათა სემანტიკის ანალიზი და აღწერა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში;
- ენობრივ საშუალებათა სემანტიკის აღწერის კოგნიტური ინტერპრეტაცია - იმ კოგნიტურ ნიშანთა გამოვლენა, რომლებიც აყალიბებს საკვლევ კონცეპტს მენტალურ ერთეულად თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში;
- კონცეპტის შინაარსის აღწერა კოგნიტურ ნიშანთა იდენტიფიცირების გზით.

ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში მეტყველების ფენომენის კვლევა როგორც ანთროპოცენტრისტულ (ლინგვოკოგნიტურ), ისე სისტემურ-სტრუქტურულ პარადიგმათა პერსპექტივიდან, რამაც უზრუნველყოფო:

- ფრეიმთა ქსელის კონფიგურაციის განსაზღვრა საკვლევ ენებში ისეთ ინდიკატორთა გათვალისწინებით, როგორცაა: კონცეპტის ნომინაციური ველის სიმჭიდროვე და კონცეპტის კომუნიკაციური რელევანტურობის ხარისხი;
- მეტყველების ფენომენის მრავალგანზომილებიანი ბუნების სიღრმისეული ინტერპრეტაცია.

ნაშრომის **თეორიული ღირებულებას** განსაზღვრავს შემდეგი ფაქტი:

- ანთროპოცენტრისტულ (ლინგვოკოგნიტურ) და სისტემურ-სტრუქტურულ პარადიგმათა სინთეზირება გარკვეულ წვლილს შეიტანს თემატურ სივრცეთა მოდელირების შემდგომ დეტალიზაციაში;
- ენაში კონცეპტის ობიექტივიზაციის თავისებურებათა გამოვლენის მიზნით კონცეპტუალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდთა კომბინირება;
- თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში მეტყველების ფრეიმთა ქსელის ანალოგიზაცია/კონტრასტირების კრიტერიუმები ვალიდურია კოგნიტური

ლინგვისტიკის პერსპექტივიდან ენათა მსგავსება/განსხვავებულობის დადგენისათვის საჭირო კრიტერიუმთა დაზუსტებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს კვლევის პოლიპარადიგმულობა. ნაშრომი თანაბრად ცენტრირებულია როგორც კოგნიტურ, ისე სტრუქტურულ ლინგვისტიკაზე. შესაბამისად, ნაშრომისათვის თანაბრად რელევანტურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში გენერირებული ანალიზისა ტიპი (კონცეპტუალური ანალიზი, სემანტიკურ ფრეიმთა ქსელის კონსტრუირება), ისე სტრუქტურული ლინგვისტიკისათვის ტიპური მეთოდები (კომპონენტური ანალიზი, თემატური ჯგუფისა და ენობრივი ველის კონსტრუირება).

კვლევის მეთოდოლოგია *ინტერდისციპლინარულია*. კვლევა ეფუძნება კოგნიტური ლინგვისტიკის, სტრუქტურული ლინგვისტიკისა და კონტრასტივიკის თეორიულ მონაცემებს.

ნაშრომში გამოყენებული ცნებათა და მეთოდთა ერთობლიობა უკავშირდება ლინგვისტური აზროვნების განვითარების იმ ეტაპს, რომელიც შინაარსობრივად ემთხვევა ანთროპოცენტრისტული პარადიგმის დომინირებას.

ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობა** განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც სტრუქტურული და კოგნიტური ენათმეცნიერების, ისე თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია მეტყველების ადმინიშვნელი ზმნები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში. მასალა მოპოვებულია ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონების, ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, 3 თავს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და დასახული მიზნების მიღწევისათვის

საჭირო ამოცანები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში – „სამყაროს ხატში ასახული ენის, კულტურისა და ეროვნული ენერჯის თავისებურება“ - განხილულია ენის, აზროვნების, კულტურის, ეროვნული ენერჯისა და ეროვნული სულის მიმართების საკითხი.

მეორე თავი - „კოგნიცია, კოგნიტური მეცნიერება და კოგნიტური ლინგვისტიკა“ - ეძღვნება კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკას, ასევე ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურათა ქსელის ფრაგმენტთა შორის არსებულ მიმართებათა თავისებურებების ანალიზს.

მესამე თავში - „მეტყველების კონცეპტი და ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში“ - წარმოდგენილია სხვადასხვა კოგნიტური დიფერენციალური ნიშნის მიხედვით სემანტიკურული მონაცემები, გამოვლენილია საკვლევ ენათა მსგავსება-განსხვავება „მეტყველების“ ფრეიმის რეპერტუარის თვალსაზრისით.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ იქნა მოხსენებების სახით საერთაშორისო კონფერენციაზე „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიებსა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებზე, კოლოკვიუმებზე. სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაცია ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტის გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე 2015 წლის 14 მაისს.

თავი I

სამყაროს ხატში ასახული ენის, კულტურისა და ეროვნული ენერჯის თავისებურება

1.1 ენა, კულტურა, ეროვნება და ეროვნული ენერჯია

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კატეგორია უნივერსალურია სხვადასხვა კულტურისათვის, კატეგორიათა გამოხატვის კონკრეტული საშუალებები შეიძლება სხვაობდეს იმ კულტურებშიც კი, რომელთათვისაც ეს კატეგორიები უნივერსალურია. რადგანაც სამყაროს აღქმასა და შემეცნებას საფუძვლად უდევს კონკრეტული ერისათვის დამახასიათებელი საგნობრივი მნიშვნელობის, სოციალური სტერეოტიპებისა და კოგნიტური სქემების სისტემა, ადამიანის ცნობიერება ეთნიკურადაა განსაზღვრული. ამდენად, ნაციონალური და ეთნიკური თავისებურებები განაპირობებს აზრის ჩამოყალიბებისა და ფორმულირების საშუალებების სპეციფიკასაც. ნათელია, რომ ეს პროცესი ხშირად გაუცნობიერებლად მიმდინარეობს, რადგანაც თავად ცნობიერების გარკვეული სისტემურობა ქცევის ეთნიკური სტერეოტიპებითაა განსაზღვრული. ეს სისტემურობა, ანუ სამყაროს ხატები თავის მხრივ, გავლენას ახდენს ამა თუ იმ კულტურის მატარებელთა ქცევაზე და განსაზღვრავს მას: „ეროვნული სულის სიმდიდრე და სიძლიერე ან კიდევ მისი სიღარიბე და უილაჯობა არსად არ იხატება ისე ნათლად და ხელშესახებად, როგორც ენაში. ენა ააშკარავებს როგორც აზრთა მორჭმულობას და გრძნობათა მრავალფეროვნებას, ისე ეროვნული ტემპერამენტის სიცხოველესაც. ეს იმიტომ, რომ ენა არ არის სიტყვათა და გამოთქმათა მკვდარი ლექსიკონი, ის ცოცხალი სალაროა იდეათა და ემოციათა“ (ქიქოძე 1914).

დღეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა ის დებულება, რომ ენა და აზროვნება ერთი და იმავე სულიერი პროცესის ორი სხვადასხვა მხარეა. იდეას მხოლოდ სიტყვის შემწეობით ეძლევა ნათელი და მკვეთრი კონტური, წინადადების წყობა გამოხატავს აზროვნების მიმდინარეობას. ამიტომ ენის სხვადასხვაობა ყოველთვის აზროვნებისა და სულის სხვადასხვაობას მოწმობს.

ენა ისევე, როგორც აზროვნება, აპერცეფციული მოვლენაა და არა ასოციაციური. ეს იმას ნიშნავს, რომ სალი, ჭეშმარიტი აზროვნების დროს ადამიანი პასიურად კი არ ეძლევა წარმოდგენათა ასოციაციას, არამედ განუწყვეტელი შეგნებული ნებისყოფის შემწეობით ცდილობს აზრთა მიმდინარეობა იმ კალაპოტში ჩააყენოს, რომელიც მიზანთან ყველაზე ადრე მიიყვანს; ცდილობს ცნებათა და იდეათა სისტემა არქიტექტონულად დედააზრს დაუქვემდებაროს და უსარგებლო ბილიკებზე სვლას ააცილოს. ენაც ამ შინაგანი აპერცეფციული პროცესის გარეგნული გამოხატულებაა: ნებისყოფა, რომელიც დალაგებულ აზროვნებას ჰქმნის, იმავე დროს მას მის გარეგან მხარეს - ენას უსაბამებს.

ენის შესახებ არსებულ თანამედროვე და უახლეს თეორიებში იკვეთება ერთიანი მიდგომა: ენა განიხილება ადამიანის ფსიქიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაკავშირებელ რგოლად. აღნიშნული მიდგომის კონტექსტში ლინგვისტური კვლევა გულისხმობს ენასა და აზროვნებას შორის არსებული მიმართების შესწავლას ტრიადაში „ენა - კულტურა - პიროვნება“ და არა ენის კვლევას „თავის თავში“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომა სათავეს იღებს ვ. ფონ ჰუმბოლდტის შემდეგი თვალსაზრისიდან: ენის ნიშნების მიღმა დგას ამა თუ იმ ეთნოსის „სულით“ განპირობებული სამყაროს აღქმა. შემდგომში ეს თვალსაზრისი გაიზიარა მრავალმა მეცნიერმა - გ. შტაინთალმა, კ. ფოსლერმა, ა. ა. პოტეზნიამ, ბ. დე კურტენემ და სხვ. ბოდუენ დე კურტენე წერდა: ენა არსებობს მხოლოდ „ცალკეულ ტვინში“, მხოლოდ იმ ინდივიდთა ფსიქიკაში, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მოცემულ ენობრივ საზოგადოებას (კურტენე 1963: 412).

ტერმინს „კულტურა“ მრავალი განმარტება აქვს. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: კემბრიჯის ლექსიკონში კულტურა შემდეგნაირადაა განმარტებული: "the way of life, especially general customs and beliefs of a particular group of people at a particular time" (Cambridge International Dictionary of English, 1995: 298) ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ცხოვრების წესი, განსაკუთრებით, საერთო ადათები და მრწამსი დროის გარკვეულ პერიოდში.

ე. ბ. ტეილორის თვალსაზრისით, კულტურა იქმნება ცოდნის, რწმენის, ხელოვნების, ზნეობრიობის, კანონების, ადათებისა და სხვა უნარ ჩვევებისაგან, რომელთაც ადამიანი ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი“ (ტეილორი 1989: 18).

ა. ვეჟბიცკაია იზიარებს კლიფორდ გერცის შემოთავაზებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც კულტურა ისტორიულად გარდამავალი, სიმბოლოებში გამოხატულ მნიშვნელობათა მოდელია; კულტურა მემკვიდრეობითი წარმოდგენების სისტემაა, გამოხატული იმ სიმბოლოებით, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან ... და რომელთა მეშვეობითაც ფიქსირდება და ყალიბდება ადამიანთა ცხოვრებისეული ცოდნა და განწყობა (ვეჟბიცკაია 2001: 44). ამ განმარტების მიხედვით, ის სიმბოლოები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ურთიერთობენ, წარმოადგენს ენას. აქედან გამომდინარე, კულტურა ენაში განსახიერებული, მნიშვნელობათა ისტორიულად გარდამავალი მოდელია. კულტურა მრავალგანზომილებიანი ფენომენია - იგი ხასიათდება კომუნიკაციურ-ქმედითი, ღირებულებითი და სიმბოლური ბუნებით. იგი წარმოადგენს სინამდვილის სულიერი ათვისების სისტემას, რომლის არსიც გულისხმობს სულიერ ფასეულობათა წარმოქმნის, შენახვის, განაწილებისა და გამოყენების პროცესს. კულტურა განსაზღვრავს ადამიანის აღქმისა და ადამიანის მიერ სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის გადამუშავების თავისებურებას.

მატერიალური და სულიერი კულტურა ენაშია განსხეულებული. ენა არის ურთიერთობისა და აზრების გამოხატვის საშუალება. ბ. რასელი თვლიდა, რომ ენას ორი ურთიერთდაკავშირებული ღირსება აქვს: პირველ რიგში, იგი არის სოციალური, მეორე მხრივ კი, იგი საჯარო გამოხატულებას ანიჭებს „აზრებს“, რომლებიც სხვა შემთხვევაში მხოლოდ პირადული იქნებოდა... ენა არა მხოლოდ აზრების გამოხატვის, არამედ მათი წარმოქმნის საშუალებაცაა, რომლებიც სხვაგვარად არც იარსებებდნენ... ენა სიმბოლოების მეშვეობით ეხმარება ადამიანს გარე სამყაროსთან ურთიერთობაში... ამ სიმბოლოებს ახასიათებს განსაზღვრული ხარისხის მდგრადობა დროში და მნიშვნელოვანი ხარისხის დისკრეტულობა სივრცეში (რასელი 1948: 58-61).

ენაში აისახება და ყალიბდება ღირებულებები, იდეალები და ადამიანთა მისწრაფებები. ენის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს კულტურის დაცვა, შენახვა და მისი თაობიდან თაობისათვის გადაცემა. ენა არის კულტურის პროდუქტი, მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და არსებობის პირობა - კულტურული კოდების ჩამოყალიბების ფაქტორი (მასლოვა 2001: 7).

კულტურული ნორმები და ენობრივი მოდელები ურთიერთდაკავშირებულია - ენა ზეგავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობაზე მუდმივმოქმედი საერთო ენობრივი კანონების ფარგლებში. ადამიანი ენისა და კულტურის სუბიექტია. ენა ასახავს პიროვნების კონცეპტს, რომელიც, თავის მხრივ, კულტურის მუდმივას წარმოადგენს.

ენისა და ერის მიმართების პრობლემა მეტად ძველი, რთული და მრავალგანზომილებიანია. აღნიშნული მიმართების კვლევა ცალსახად და მკაცრად შემოსაზღვრული მიმართულებით მიდიოდა. ეს მიმართულება ნაკლებად იყო კონცენტრირებული „სულის“, „გონის“ ცნებაზე. მოგვიანებით აღნიშნული ცნებები სერიოზულ მეცნიერთა განსჯის საგნად იქცა. მიუხედავად მეცნიერთა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, ერთი რამ ცხადია: ამ ცნებებს ბევრი მნიშვნელობა გააჩნია, მათი გამოყენება საკმაოდ მოხერხებულია, რამდენადაც ისინი სხვადასხვა აზრის, თუ შეხედულების უფრო გასაგები ფორმით გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა. ამ შესაძლებლობის გამოყენება განსაკუთრებით მომგებიანია ისეთ საკითხზე მსჯელობისას, როგორცაა ენისა და ერის მიმართების საკითხი.

ერი, ისევე როგორც ეროვნება, წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთკავშირის ბუნებრივ წარმონაქმნს; იგი უფრო დიდი ერთობის, კაცობრიობის კონკრეტული გამოვლინებაა, მისი არსებობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მოწოდებულია თავისებურად, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებულად, მხოლოდ მისთვის ჩვეული სახით ასახოს, განავითაროს საკაცობრიო ღირებულებები, მისი აზროვნებისა და არსებობის წესი.

თითოეული ერი ერთი მთლიანის ცალკეულ მხარეს წარმოადგენს, რომელიც მწირდება და საბოლოოდ კვდება სხვა მხარეების, სხვა ერების გარეშე, რომლებიც მას ავსებენ, ამდიდრებენ და მხოლოდ ურთიერთკავშირში შეიძლება მათი არსებობის

უზრუნველყოფა. ამ აზრით, თითოეულ ერს განსაკუთრებული მისია აკისრია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ერის უნიკალური ისტორიული ბედი, რომელშიც ჩაქსოვილია მისი ენა, ტრადიციები, კულტურის მონაპოვრები, ხელოვნება... ეს ისტორიული ბედი, ერთი მხრივ, შემთხვევითია, მაგრამ, ამასთან, მასში განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს ერის ღირებულებები, მისი მსოფლმხედველობა, რომელიც თავის მხრივ, იცვლება და ვითარდება ერის ცხოვრების მანძილზე.

ენა ყოველდღიური ცნობიერების დონეზეც კი განიცდება როგორც ერის მეტად მნიშვნელოვანი ნიშანი. ენა არა მხოლოდ ურთიერთობის საშუალებაა, იგი არის ენის არსის გამოვლენის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ფორმა. „ჩემი, როგორც პიროვნების მიკუთვნებულობა მოცემული ერისადმი საშუალებას მაძლევს ჩავთვალო საკუთარი თავი მის ერთ-ერთ გამოხატულებად და, მეორე მხრივ, ერის სიცოცხლე, მისი სიძლიერე, კულტურა, არსებობის ხანგრძლივობა, მისი მარადიულობა ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიძლიერე, ჩემი მარადიულობაა, რამდენადაც მეც ვქმნი მას ნაწილობრივ: ჩემი ყოფნა, ცხოვრება ეროვნულ ენაზე ერის ყოფნა“ (ბერეკაშვილი 2007).

„მშობლიური ენა, წარმოადგენს რა ეროვნულ თვითშეგნების საშუალებას... პრაქტიკულად უსაზღვროდ აფართოებს დროში და სივრცეში ჩემს შემოსაზღვრულ არსებობას, უსასრულობას მაზიარებს“ (ჭავჭავაძე 1984: 146).

ხშირად, როდესაც სურთ, უარყონ ენის მნიშვნელობა ერისათვის, მოჰყავთ ებრაელების მაგალითი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გაფანტულები იყვნენ არა მხოლოდ საერთო ტერიტორიის, არამედ საერთო ენის გარეშე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერად ჩამოყალიბების პროცესში მათ უეჭველად გააჩნდათ თავისი ტერიტორიაც და ენაც. სწორედ ამ საერთო ენაზე მოხდა მათი გაერთიანება. „ერის, როგორც სისხლის ერთობის იდეამ მიიღო თავისი პლასტიკური გამოხატულება ბიბლიაში, რაც სხვა არაფერია, თუ არა თავისი განსაკუთრებული მეობის გაცნობიერება, გამოხატული რამდენიმე ათასწლეულის წინ მშობლიურ ენაზე ბიბლიაში“ (ბერეკაშვილი 2007).

როგორც კი ხალხი მიაღწევს თავის დამოუკიდებლობას და შექმნის ეროვნულ სახელმწიფოს, იგი მაშინვე ცდილობს, დაიბრუნოს ეროვნული ენა. ასე მოხდა ებრაელთა შემთხვევაშიც.

ენის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ნ. ნათაძე აღნიშნავს, რომ საკუთარი ენა ერის ყველაზე თვალსაჩინო და ღრმა მახასიათებელია, ემპირიული ფაქტია, მაგრამ ერი, როგორც იდეალური კატეგორია, ამ ფაქტის მიღმაც დგას. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ის, რომ ჰომო საპიენსს ბგერითი ენა გააჩნია და მისი გონი ამ ენაში ცოცხლობს, შემთხვევითია, მაგრამ თუ ერს საკუთარი ენა არა აქვს, მას უნდა ჰქონდეს იგი და, როგორც ივრითის მაგალითი მოწმობს, შესაძლოა იქნეს კიდევ ფაქტობრივად (ნათაძე 1984: 104).

ამგვარად, სწორედ ენაში, პირველ რიგში, თავს იჩენს ეროვნული, უფრო მეტიც, ეროვნული გამოხატულების ყველა ფორმა, იქნება ეს ეროვნული ხასიათი, კულტურა, ფსიქიკური წყობა თუ სხვა, ყალიბდება ენასთან ერთად და განუყოფელია მისგან. მაგალითად, ერის ისეთი ნიშანი, როგორცაა კულტურის ერთიანობა, ენის მსგავსად, ერის არსებობის, თვითგამოხატვის და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თვითონ იქმნება და ვითარდება ენასთან ერთად, აისახება მასში, ისევე, როგორც შემდგომში ენა ერთგვარად განსაზღვრავს მას. ეროვნული კულტურის ცნება კარგავს თავის საზრისს, თუ არ არსებობს მისი ჩამოყალიბების ისეთი პირობა, როგორცაა ერთიანი ენა. კულტურის და ენის მიმართების და კერძოდ, ენის მნიშვნელობის შესახებ ნ. ჭავჭავაძე წერს: „ენა წარმოადგენს არა მარტო ექსპრესიის, კომუნიკაციის, სოციალიზაციის და ა. შ. საშუალებას, ის ამავე დროს ერის ერთ-ერთ კონსტრუქციულ ნიშანს წარმოადგენს, ზეინდივიდუალური ღირებულების ნიშანს, რომლისთვისაც პატრიოტები სწირავენ სიცოცხლეს, ყოველ შემთხვევაში, მზად არიან გასწირონ ის, ანუ მზად არიან გახდნენ კულტურის სუბიექტები, გამოვიდნენ თავისი ფსიქოფიზიკური ინდივიდუალობის საზღვრებს გარეთ“ (ჭავჭავაძე 1984: 146).

ამდენად, არ შეიძლება ენის მნიშვნელობის გატოლება ტერიტორიულ და ეკონომიკურ ნიშნებთან, რამდენადაც ენაში ვლინდება და ცნობიერდება თვით ამ ნიშნის მნიშვნელობაც. გავიხსენოთ თუნდაც „მამულის“ ცნება! მამული წარმოადგენს არა მხოლოდ ტერიტორიას, რომელზეც ცხოვრობს ხალხი, არამედ მას გააჩნია

მაღალი ეთიკური, ესთეტიკური, სოციალური ღირებულებაც. ტერიტორია, ბუნება გვევლინება არა მხოლოდ იმ პირობად, რომელმაც გააერთიანა ადამიანთა ჯგუფი ფიზიკურად, საერთო მატერიალური ინტერესებით, იგი ადამიანებთან „ურთიერთობის“ შედეგად „ხალხის სულის გამოხატულება“, „მამული“ ხდება, იძენს ისეთ ღირებულებას, რომელიც გააჩნია მხოლოდ სულიერი ცხოვრების მქონე ადამიანთა ერთობლიობას ... ის ხდება კულტურის ფენომენი და მისი ერთიანობა განპირობებულია არა მხოლოდ მექანიკურად, ფიზიკურად, არამედ სულიერად ენაში. „ტერიტორიის ერთიანობა წარმოადგენს ერის აუცილებელ ნიშანს, მისი ფორმირების პირობას არა მარტო იმ ობიექტური გარემოების გამო, რომ ხალხმა უნდა სადმე ერთად იცხოვროს და აწარმოოს, იმისათვის, რომ შესძლოს ეროვნულ კულტურულ ორგანიზმში გაერთიანება, არამედ ძირითადად იმიტომ, რომ ეს ტერიტორია, ათვისებული და გარდაქმნილი ხალხის მრავალ თაობათა საქმიანობის შედეგად, მორთული მისი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით, უხვად მორწყული მის დამცველთა სისხლით, ღირებულებით – ნეიტრალური გეოგრაფიული ცნებიდან გადაიქცევა მშობლიური სახლის, სამშობლოს, მამულის ცნებად, მის ცოცხალ სივრცობრივ-დროით ველად საუკუნიდან საუკუნემდე” და ეს ხდება შესაძლებელი მხოლოდ ენის მეშვეობით ... ენის წყალობით ხდება „სამშობლოს“, „მამულის“ ცნება ცოცხალ სივრცობრივ-დროით ველად საუკუნიდან საუკუნემდე” (ბერეკაშვილი 2007).

თუ ერის ცნების აუცილებელი ნიშნები – საერთო ეკონომიკური ცხოვრება, ერთიანი ტერიტორია – თავდაპირველად მისგან დაშორებული, გარეგანი ფაქტორებია, ისეთი ნიშნები, როგორც ენა და კულტურაა, განუყოფელია მისგან. ენა ის ძალაა, რომელიც ქმნის, აყალიბებს ერს ერად, უზრუნველყოფს ეროვნული ხასიათის განმტკიცებას, ერის გონებრივი, სულიერი უნარის წარმოჩენას. ეროვნული თავისებურების ნებისმიერი შესწავლა – წერს ჰუმბოლდტი – რომელიც არ იყენებს ენას, როგორც დამხმარე საშუალებას, იქნებოდა ამაო, ვინაიდან მხოლოდ ენაშია შთაბეჭდილი მთელი ეროვნული ხასიათი და, ამასთან, მასში, როგორც მოცემული ერის ურთიერთობის საშუალებაში ქრებიან ინდივიდუალობები, რათა გამომჟღავნდეს საყოველთაო (ჰუმბოლდტი 1984: 12).

ამრიგად, ენა ის სფეროა, რომელშიც ყველაზე სრულად წარმოჩნდება ერის სული, ისევე, როგორც ეროვნული ხასიათი და ეროვნული კულტურა.

ეროვნული სული არ არის ეროვნული ხასიათის სინონიმური ცნება, ისევე როგორც ეროვნული კულტურისა, თუმცა ორივე მათგანში იჩენს თავს.

მაშასადამე, ეროვნული სული არის ის ძალა, ის ენერგია, რომელიც ვლინდება კონკრეტულ ხასიათში. სული სულიერში იჩენს თავს და მისი გამოსახვა სულიერში სწორედ ეროვნული ხასიათის მეშვეობით ხდება (ბერეკაშვილი 2007).

სულის მრავალი განმარტება არსებობს. თითოეული მათგანი ცალმხრივად ახასიათებს სულს და არ ამოწურავს იმ ცნებას სულისას, რომელიც ხალხის ქცევის განმსაზღვრელად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ ხალხის სული მეტია, ვიდრე ეროვნული ხასიათი. იგი საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ეროვნულ ხასიათს, არამედ ეროვნულ კულტურას, ეროვნულ იდეალს, რაც მეტია ეროვნულ ხასიათზე. ეროვნული სული ერთგვარად განაპირობებს ერის არსებობის ხანგრძლიობას, მის სიცოცხლისუნარიანობას. რასაკვირველია, ეროვნული ხასიათი გავლენას ახდენს ეროვნულ კულტურაზე და ეროვნული იდეალის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ მას დამოუკიდებელი საზრისი აქვს. იგი შეიძლება, ჰგავდეს სხვა მსგავს პირობებში მცხოვრები ერების ეროვნულ ხასიათს. რაც შეეხება ეროვნულ სულს, იგი მეტი აბსტრაქტულობით გამოირჩევა, იდეალურის სფეროს განეკუთვნება, ამასთან, იგი უფრო ცხადად ვლინდება ინდივიდუალურში.

გ. შპეტის თვალსაზრისით, სული უნდა იყოს ეთნიკური ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი, რამდენადაც იგი წარმოადგენს ხალხის ქცევის ძირითად მახასიათებელთა კრებულს, ანუ ეთნიკურ ხასიათს: „სული“ (გონი) აქ აღნიშნავს ერთგვარ კონკრეტულ ტიპს, სტილს, ანუ „ტონს“. მისი სახით ჩვენ გვაქვს იდეის თვალნათლივი, უშუალოდ შეგრძნებადი „ხატი“ როგორც ერთიანობა. მაგრამ არა განყენებულ-ლოგიკური და ამასთან თავისებურად კოლექტიური... ეს არ არის ხანმოკლე მდგომარეობა, არამედ წინ მიმავალი „ფორმა“, რომელიც ხატებში ბეჭდავს ერთგვარ არა მარტო ნიშანთა მოცემულ ერთიანობას, არამედ აგრეთვე თავის თავში ასახავს ნიშანთა მთელ იმ მასას, რომელიც შეგროვდა სულის ისტორიული „ფორმირების“ პროცესში... „სული“ წარმოადგენს თითქოსდა ექოს ამ

ცხოვრებისეული მრავალსახეობისა, პასუხს მის თითოეულ ბგერაზე და ტონზე, რომელიც მოიცავს მას სრულად, მაგრამ განსაკუთრებულ სიმბოლურ პროეცირებულ კორელაციებში. ამგვარად, „სული“ ასახავს სინამდვილეს და ავლენს ჩვენ წინაშე კონდენსირებული სახით, მაგრამ ზუსტად, – კოლექტიური ორგანიზაციის განცდების ერთგვარ სტრუქტურას... (შპეტი 1927: 90).

გ. შპეტს ხალხის სული, ეროვნული სული წარმოუდგენია „ხატში“ გამოსახულ ნიშანთა, თვისებათა ერთობლიობად, „იდეის“ ანარეკლად. რამდენადაც გ. შპეტი არ აღნიშნავს, იცვლება თუ არა ეს „ხატი“, ვითარდება თუ უცვლელია, საფიქრებელია, რომ იგი მოცემულია ერთხელ და სამუდამოდ და რომ მას არაფერი აღარ ემატება. სინამდვილეში ეს ასე არ არის და ეს გ. შპეტის განსაზღვრებიდანაც ჩანს, ვინაიდან „სული“ თუ „გონი“ წარმოადგენს „ფორმას“, რომელშიც აღიბეჭდა ნიშანთა მთელი ერთობლიობა, შეგროვილი „სულის“ ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში. ამიტომ იგი უნდა იცვლებოდეს. ისტორიულობა ხომ პირველ რიგში ცვლილებას გულისხმობს: ეროვნული სული ეხმაურება ერის ცხოვრებაში მომხდარ თითოეულ მოვლენას. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მგრძნობიარეა იგი, რამდენად ძალუძს ასახოს ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება, რამდენად მდიდარია ასეთი ასახვის შესაძლებლობები, იმდენად თავისთავადი, სიცოცხლისუნარიანი და მდიდარია ერი, ეროვნული სული სწორედ ის ძალაა, რომელიც აყალიბებს ეროვნულ ხასიათს, ქმნის ერისათვის დამახასიათებელი ქცევის ფორმებს. საგულისხმოა გ. შპეტის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ხალხის სული ასახავს კოლექტიური ორგანიზაციის განცდების ერთგვარ სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ ჰუმბოლდტიც თვლის, რომ მთავარი მიზეზი, რის გამოც მან ადამიანის არსის გამოსახატავად შეარჩია სწორედ სიტყვა „სული“, მდგომარეობს იმაში, რომ ეს სიტყვა გამოხატავს ადამიანის გრძნობიერ და ზეგრძნობიერ ბუნებას ერთდროულად. ძნელი იყო მოგვენახა გამოთქმა, რომელიც გადმოგვცემდა ადამიანის არსს ერთდროულად ზოგადი და მაინც სპეციფიკური სახით, ისეთი სიტყვების მსგავსად, როგორც არსი და ძალა. იმისათვის, რომ ასეთი გამოთქმა გამოდგეს, ის ერთდროულად უნდა მოგვანიშნებდეს მის გრძნობიერ და ზეგრძნობიერ ბუნებაზე, და გარდა ამისა, უნდა მიუთითებდეს მის ბატონობაზე ამ სფეროებში” (ibid, 1927: 343-344).

მაშასადამე, ეროვნული სული, ისე როგორც ადამიანის სული წარმოადგენს იმ არსს, რომელიც მოიცავს ერის გრძნობიერ და ზეგრძნობიერ ბუნებას. ამასთან, იგი აისახება კონკრეტულ ხასიათში, რომელიც, თავის მხრივ, ვლინდება განსაზღვრულ, ერისთვის დამახასიათებელ ნებელობაში, ქცევაში და ყალიბდება სოციალური გარემოს გავლენით.

ობიექტური სამყაროს კანონზომიერებანი თანაბრად ვრცელდება როგორც მთელ ბუნებაზე, სამყაროზე, ისე ადამიანზე. ადამიანის ქცევა ემორჩილება ობიექტური სამყაროს ზემოქმედებას. ჯერ კიდევ თეორიულ შეცნობამდე, ცნობიერ აღქმამდე გარემო აისახება ადამიანის ქცევაში და გარკვეული მიმართულებით წარმართავს მას. ადამიანში უნიკალური სახით მოცემულია უნარი, შეინახოს, გამოყოს დამოკიდებულებები, კანონზომიერი კავშირები, რაც წარმოადგენს ერთგვარ განვითარებად სისტემას, რომელშიც აისახება მოვლენები. ასეთი ასახვა შესაძლებელია მოხდეს, და ხდება კიდევ, ენის მეშვეობით. ენა წარმოადგენს იმ პირობას, რომლის წყალობითაც მიმდინარეობს ადამიანის პრაქტიკის ფიქსირება ქმედითი სახით. დ. რამიშვილის თვალსაზრისით, ეს ასახვა და ფიქსირება ხდება ინდივიდუალურ ცნობიერებაში. მაგრამ, ენა არ წარმოადგენს ერთი ადამიანის უნარის გამოვლინებას, იგი კოლექტიური ქმედების შედეგია. ენა არის ეროვნული სულის გამოვლინება, ეროვნული სულის მარეალიზებული მხარე. ეროვნული სულის ქმედება, ინდივიდუალური გამოვლინება ყოველთვის ცალკეული კონკრეტული ენაა. ამიტომ ენა განუყოფელია ეროვნული სულისაგან: ყველგან, სადაც ლაპარაკია ეროვნულ ენაზე, უეჭველად იგულისხმება ეროვნული სული. ამდენად, სავსებით კანონზომიერია გ. რამიშვილის თვალსაზრისი: აქ თითქოსდა შეიკრა ჯადოსნური წრე: ხალხის სული როგორც „უმაღლესი პრინციპი“ აპირობებს რა ენების განსხვავებულობას და სპეციფიკას, თავის მხრივ, თვითონ თხოულობს ახსნას ენის მეშვეობით (რამიშვილი 1980: 164).

ენა არ ჩნდება თანდათანობით - ენა ერთიანი წარმონაქმნია, რომელიც თანდათანობით იხვეწება და მდიდრდება. მაგრამ მისი სტრუქტურა იმთავითვე ჩამოყალიბებულია. ადამიანი ადამიანია მხოლოდ ენის წყალობით და იმისათვის, რომ შექმნას ენა, ის უკვე უნდა იყოს ადამიანი. როდესაც ვარაუდობენ, რომ ეს

პროცესი მიმდინარეობს თანდათანობით, თანმიმდევრობით და თითქოსდა რაღაც რიგით, რომ მიღებული ენის თითოეულ ახალ ნაწილთან ერთად ადამიანი სულ უფრო ხდება ადამიანი და ამ გზით სრულყოფილების შედეგად ახერხებს მოიგონოს ენის ახალი ელემენტები, არ ითვალისწინებენ ადამიანის ცნობიერების, ადამიანის ენის განუყოფადობას, არ ესმით გონების მოქმედების ბუნება... (უზნაძე 1940: 314).

ამრიგად, ენა არის ის, რაც განუყოფელია ადამიანისაგან, რაც მას ადამიანად აქცევს, მაგრამ არა ერთეულ განკერძოებულ ადამიანად, არამედ რაღაც კოლექტივის, ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის წევრად. ამ განსაზღვრული ერთობლიობის შემქმნელი ხალხის სული ხალხის ენაა.

ენა შეიქმნა, გაჩნდა ადამიანთა ერთობლივ ცხოვრებაზე ობიექტური სინამდვილის, სოციალური გარემოს ზემოქმედების პირობებში როგორც ამ გარემოს ასახვა. ამ ასახვის ადგილი ინდივიდუალური ცნობიერებაა.

ამრიგად, ენა წარმოადგენს წარმონაქმნს, რომელიც ახდენს სოციალური გამოცდილების ფიქსირებას. ხალხის სული აძლევს ადამიანს, როგორც უნიკალურ არსებას, უნარს შექმნას ხარისხობრივად ახალი სფერო, ისეთი წარმონაქმნი, როგორცაა ენა, რომელიც ასახავს ყველა ძირითად მოვლენას ობიექტურ სამყაროში, მთელ სოციალურ გამოცდილებას. ასეთი ასახვა ხდება არა მხოლოდ ენაში, არამედ კულტურაშიც, რომელიც როგორც მთლიანობა წარმოადგენს მაინც მეორად ქმნილებას, თუმცა აქტიურად უკუქმედებს ენაზე და ადამიანთა ცნობიერებაზეც. ეროვნული ენა, ეროვნული ხასიათი და ეროვნული კულტურა წარმოადგენს განუყოფელ, ურთიერთგანპირობებულ მოვლენებს. ამდენად, ეროვნული სული შეიძლება განვიხილოთ როგორც ერის უნიკალური ბედი, ურთიერთობების გამოცდილება, ტრადიციები, ობიექტური სამყაროსადმი დამოკიდებულება. ეს ყოველივე კი ხორციელდება ენის საფუძველზე, ეროვნული ენის პირობებში, მისი უშუალო ზემოქმედების შედეგად. „ამდენად, ეროვნული სული შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ხატოვანი სახელი იმის აღსანიშნავად, რაც აყალიბებს ერს მოცემულ ერად, აძლევს მას უნიკალურობას, თავისთავადობას, აყალიბებს მის იდეალებს, ღირებულებებს, მისიას, ე. ი. ერთგვარად აპირობებს მის მომავალს, უზრუნველყოფს მოცემული ერის როგორც ერის მომავალს“ (ბერეკაშვილი 2007).

ენის მეშვეობით ინდივიდუალურ ცნობიერებაში ხდება სამყაროს ასახვა. ენა ყველაზე ადეკვატურად გამოხატავს ადამიანის ადამიანურობას: მისი საშუალებით მოხდა სოციალური გამოცდილების რეპრეზენტაცია ცნობიერებაში და სრულიად გასაგებია, რომ ყველა ენას, როგორც ერთი ობიექტური სამყაროს ამსახველს, ერთი და იმავე არსების – ადამიანის ცნობიერებაში აქვს საერთო. ეს საერთო არის ლოგიკურობა. „თითოეული ენა – წერს დ. რამიშვილი – ხასიათდება თავისი მიდგომით, თავისი სოციალური გამოცდილებით. ლოგიკური თითოეულ ენაში არის ის, რაც მას საერთო აქვს სხვა ენებთან, რაც „რჩება იგივე“ ყველა სხვა ენაში. თითოეული ენობრივი კოლექტივის სპეციფიკური გამოცდილება ქმნის თანმიმდევრულ პერიფერიულ გარემოცვას ლოგიკური მნიშვნელობის ირგვლივ, გარემოცვის, რომელიც მოდის ამ კოლექტივების სოციალურ-ისტორიულ სიტუაციებიდან“ (რამიშვილი 1984: 57).

ამრიგად, ენა გვევლინება ერის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს ნიშნად, რომელიც სხვა ნიშნებთან ერთად წარმოადგენს ერის წარმოქმნის საფუძველსა და ერის განვითარების აუცილებელ პირობას.

1.2 ენის მაკონსტრუირებელი როლი ეროვნული ხასიათის ფორმირებაში

არის თუ არა ენა ეროვნული ხასიათის – მისი კულტურის სხვა კულტურისაგან განმასხვავებელი კოდი?

ენას ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი ადამიანის გონის უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. მისი თვალსაზრისით, ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ერთდროულად სოციოლოგიურ და ლინგვისტურ ცნებებად გვევლინება (ჰუმბოლდტი 1984: 15). ენა გააზრებულია როგორც ერის კულტურული კოდი. ადამიანი მხოლოდ მაშინ იქცევა ადამიანად, როცა ბავშვობიდანვე ეუფლება ენას და ეცნობა საკუთარი ენის კულტურასაც. ერის კულტურის ყველა თავისებურება, რომელიც, თავის მხრივ, სპეციფიკური და

უნიკალური ხასიათისაა, ენაში აირეკლება. სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად აფიქსირებს სამყაროს და ადამიანს სამყაროში (მასლოვა 2001: 3).

ენა, ადამიანის ყოფიერება და კულტურა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ენა იმდენად ინტეგრირებულია კულტურის სისტემაში, რომ მისი გამოყოფა შეუძლებელია მხოლოდ შემეცნებითი მოსაზრებებით. ენისა და კულტურის მიმართების საკითხის განხილვისას მთავარია, გავარკვიოთ თუ რა ადგილი და დანიშნულება აქვს ენას კულტურულ-შემოქმედებით პროცესში. როცა ვსაუბრობთ ენისა და კულტურის მიმართებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ ე.წ. ბუნებრივ ანუ ნაციონალურ ენებს. ნაციონალურ ენათა მრავალფეროვნება უშუალოდ ემყარება და გამომდინარეობს ადამიანისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური თვისებიდან - ნების, არჩევანის თავისუფლებისგან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი ენის მხოლოდ ნიშანთა სისტემად გამოცხადება, ენის არასრულყოფილ დახასიათებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ენა ნიშანთა სისტემაცაა, მაგრამ იგი უფრო მეტია, ვიდრე ნიშანი. ენა უშუალოდაა დაკავშირებული მისი შემოქმედი ხალხის მსოფლგანცდასთან, მსოფლმხედველობასა და აზროვნებასთან.

არ არსებობს კულტურა ენის გარეშე - კულტურის ფენომენი ენითაა გამსჭვალული. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა განსაზღვრავს კულტურის არა რომელიმე კონკრეტული სფეროს, არამედ თუ რაიმე არსებობს კულტურის სახით, იგი აუცილებლად ენაშია გაფორმებული. ენა კულტურის არსებობის წესია. ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი იდენტიფიკატორია.

კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი ნაწილობრივ უნივერსალური და ნაწილობრივ უნიკალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკებები ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს, თავიანთ ენობრივ პრიზმაში ატარებენ მას.

თანამედროვე მეცნიერებას აინტერესებს არა უბრალოდ ადამიანი, არამედ პიროვნება, როგორც გარკვეული ნაციონალური მენტალიტეტის და ენის მატარებელი.

ადამიანი მუდმივ დიალოგშია სამყაროსთან, საკუთარ თავთან და ადამიანებთან. ენა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია მენტალურ სფეროში შეღწევა. ენა ყველა დროში ითვლებოდა ეთნოსის იდენტიფიკაციის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად. ენის საშუალებით ჩამოყალიბდა ადამიანთა მოდგმა, რადგან ენამ შეგვიქმნა ცნობიერება. ჩვენი ცნობიერება კი ჩვენი კულტურული (გონითი, სულიერი) ცხოვრების მაკონსტრუირებელი ფაქტორია.

ენა სულის ემანაციაა ადამიანში, რომელშიც დანაწევრებისა და სინთეზის შედეგად წარმოიქმნება სიტყვა - ცნება. იდეა იზადება სიტყვაში, ამდენად, ერთ ენაზე მეტყველ ადამიანებს ერთნაირი იდეები აქვთ, ხოლო სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთ კი - განსხვავებულებს და ერთნაირს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ: „ენა უშუალოდ განპირობებულია აზროვნებით. აზროვნება ქმნის კულტურას. იქმნება გარკვეული წრე: კულტურა ზეგავლენას ახდენს აზროვნებაზე, აზროვნება კი - ენაზე. სწორედ ამ წრეშია მოქცეული ადამიანის ცნობიერება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: „ენა კულტურაში თუ კულტურა ენაში?“ - პასუხი ცალსახაა: „ენა კულტურაში და კულტურა ენაში“.

კულტურა რთული ფენომენია - მას ახასიათებს როგორც კომუნიკაციური, ისე ღირებულებითი და სიმბოლური ხასიათი. კულტურა არ გადაიცემა გენეტიკურად - მისი ათვისება ხდება ენასთან ერთად და ენის მეშვეობით. ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ნაციონალურ მენტალიტეტს (სტამბოლიშვილი 2013: 62). კულტურა ინახავს ტრადიციებს, იმავდროულად, იგი განუწყვეტლივ არღვევს ტრადიციებს მათი განახლებისა და ახალ ტრადიციათა შექმნის მიზნით. კულტურა ის მემკვიდრეობითი ხსოვნაა, რომლის არსებობის პირობას კულტურათაშორისი დიალოგი წარმოადგენს. კულტურა გააზრებულია როგორც კოლექტივის მემსიერებაში აკუმულირებული კოლექტიური არსებობის თამაშის წესები და სოციალური მოღვაწეობის ნორმათა კრებული.

ყველაფერი ის, რაც კაცობრიობამ შექმნა ... პოეზიისა და პროზის შედეგები, ხელოვნებისა და არქიტექტურის ძეგლები, რომლებიც მოცემული ერის ისტორიული წარსულის, მისი სულიერი და კულტურული ყოფის უტყვი მოწმეა, ყველაფერი, რაც ერის სულიერ საგანძურს წარმოადგენს და მისი ეროვნული თვითმყოფლობის

შენარჩუნების და მისი საკაცობრიო სივრცეში თვითდამკვიდრების საძირკველია – ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული იქნებოდა და ადამიანები საერთოდ დაკარგავდნენ სხვადასხვა ერების მიერ შექმნილი შედეგების გაცნობის ინტერესს – კულტურა ხომ გულისხმობს მარადიულს, იდეალისაკენ სწრაფვას, მშვენიერებისაკენ ლტოლვას, ქმნის მრავალფეროვნებას და ინდივიდუალურ განუმეორებლობას.“ სხვადასხვა ხალხის კულტურა ხომ განსხვავდება ერთმანეთისაგან არა მხოლოდ სამყაროს აღქმის თავისებურებით, არამედ მატერიალურ – სულიერი ფასეულობებითაც (სტამბოლიშვილი 1998: 63).

ენა კულტურული ინფორმაციის ტრანსლატორია. სამყაროს პირველადი სტრუქტურაცია, პირველადი სემანტიკა, ვიდრე ამ ფუნქციას საკუთარ თავზე აიღებს მეცნიერება თუ ხელოვნება, ხდება ენაში. სამყაროს ვხედავთ ენობრივ პრიზმაში და ენის ფუნქცია სამყაროს პირველადი ხატის შექმნაში მდგომარეობს.

ადამიანის ცხოვრების მრავალი ასპექტი განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ იგი საზოგადოების წევრია. ამგვარი ასპექტების ერთობლიობა წარმოადგენს კულტურას. „კულტურა არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი. ამგვარად გააზრებული კულტურა მოიცავს ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროს, რომლის ამკარად გამოხატულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს ენა შეადგენს (გამყრელიძე 2003: 461). ენის, კულტურისა და აზროვნების მჭიდრო კავშირის აღიარებას მივყავართ ენისა და ნაციონალური ხასიათის ურთიერთდამოკიდებულების აღიარებამდე.

ჯერ კიდევ ჰერდერი (1744–1803) ამტკიცებდა, რომ ენასა და ნაციონალურ ხასიათს შორის არსებობს შინაგანი კავშირი. შემდგომ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა ჰერდერის აღნიშნულ თვალსაზრისს კონკრეტულობა შესძინა: ჰუმბოლდტი ამტკიცებდა, რომ ცალკეულ ენას საკუთარი სტრუქტურა აქვს, რომელიც ასახავს და განაპირობებს კონკრეტული ხალხის აზროვნებისა და გამოხატვის სტილს.

ენა ადამიანის კულტურული ყოფის საფუძველი, ერის კულტურული ფასეულობების თავისებური ანაბეჭდია, ანაბეჭდი არა მხოლოდ იმის, რაც არის, არამედ იმისაც, რასაც მატერიალური (არაენობრივი) შესატყვისი უკვე აღარ მოეპოვება. ენა არის წარსულისა და აწმყოს შემაკავშირებელი უმძლავრესი

მამოძრავებელი ძალა. იგი ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი და მის აგებაში მონაწილე ფაქტორია, რომელსაც აკისრია მაკონსტრუირებელი როლი ეროვნული ხასიათის ფორმირებაში. აქედან გამომდინარე, კავშირი ენას, კულტურასა და აზროვნებას შორის ურღვევია. პაუხი კითხვაზე - „არის თუ არა ენა „ეროვნული ხასიათის „მისი კულტურის სხვა კულტურისაგან განმასხვავებელი კოდი?“ - ცალსახაა: ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ნაციონალურ მენტალიტეტს, ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ეროვნულ თვითმყოფადობასა და ეროვნულ ხასიოს.

1.3 სამყაროს ხატი როგორც სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ხერხი

სამყარო სხვადასხვაგვარად აღიქმება სხვადასხვა ენის მატარებელთა მიერ. ეროვნულ-კულტურული კომპონენტი ასახავს სამყაროს ენობრივ სურათს, რაც წარმოადგენს მოცემული ენობრივი კოლექტივის აზროვნებაში სამყაროს შესახებ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ერთობლიობას, სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ერთგვარ ხერხს. ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს ორგანიზაციის და აღქმის გარკვეულ საშუალებას. მასში არსებული შეხედულებები ყალიბდება ერთგვარ სისტემად, ერთგვარ კოლექტიურ ფილოსოფიად, რომელიც საერთოა მთელი ჯგუფისათვის.

სამყაროს ენობრივი სურათის ცნება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებიდან იღებს სათავეს. ეთნოკულტურის, ენისა და ეთნოსის ურთიერთობის პრობლემის კვლევაზე გავლენას ახდენს ჰუმბოლდტის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური იდეები. ჰუმბოლდტი უდიდეს როლს ანიჭებდა ენას ერის მსოფლხედვის ჩამოყალიბებაში.

ენა და კულტურა კორელაციური ცნებებია - არ არსებობს ენა კულტურის გარეშე და პირიქით, კულტურა ენის გარეშე. ენა კულტურის გამოხატვის ფორმაა, რომელიც ობიექტურად ასახავს სამყაროს ენობრივი სურათს განსხვავებულ კულტურათა არსებობის პირობებში.

ენა უშუალო მიმართებაშია მის ეროვნულ წარმომავლობასთან. ყოველ კონკრეტულ ენაზე ზემოქმედებას ახდენს შესაბამისი ერის ინდივიდუალურობა - ენაში კოდირებულია თვითმყოფადი ეროვნული მსოფლხედვა.

ენა წარმოიშვა არა როგორც მზა აზრების გამოხატვის იარაღი, არამედ როგორც თვით აზროვნების საშუალება. ჰუმბოლდტის თვალსაზრისით, ენა ემსახურება მენტალური წარმოდგენების რეპრეზენტაციას კომუნიკაციური მიზნებისათვის. ენა არის აზრის მაწარმოებელი ორგანო ... აზროვნება ენობრივად თავისუფალია - აღნიშნავდა ჰუმბოლდტი (ჰუმბოლდტი 1985: 426).

ვიტგენშტეინის თვალსაზრისით, ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილესთან მიმართებაში ხორციელდება ჩვენივე აზრებში. ენა აზროვნების ღერძია, ენა ის მედიუმი, სადაც ხდება „ego“-სა და სამყაროს გაორება და სადაც ორივე მათგანი განაპირობებს ერთმანეთს და გამომდინარეობს ერთმანეთისგან (ვიტგენშტეინი: 428-429).

მხოლოდ ენის საშუალებით არის შესაძლებელი აზრების წარმოქმნა. ენა წარმოადგენს არა მხოლოდ გარე სამყაროსთან, სინამდვილესთან ურთიერთობის აუცილებელ ინსტრუმენტს, არამედ იმ იარაღსაც, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აღმოაჩენს სამყაროს და იქმნის გარკვეულ წარმოადგენას მასზე.

ნიცშეს ტრიადაში - „ჭეშმარიტება - აზროვნება - ენა“- ჭეშმარიტებას არ აქვს ენასთან და აზროვნებასთან პირდაპირი დამოკიდებულება. ნიცშეს თვალსაზრისით, თუ წარმოვიდგენთ რამდენიმე ენას ერთმანეთის გვერდით, მაშინ ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ ჭეშმარიტებას სიტყვებთან მიმართებაში. ადამიანის წარმოდგენები სამყაროს შესახებ არასდროს აჭარბებს ჭეშმარიტებას: ადამიანი ცხოვრობს მის ირგვლივ არსებულ საგნებთან ერთად და მათში, რადგანაც მათში ჩაქსოვილი შეგრძნებები და ქმედებები დამოკიდებულია მის წარმოდგენებზე, რომლებიც მიემართება ენისაკენ.

ჰუმბოლდტი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის გაუცნობიერებელ მიმართებაზე უნივერსალურ ენასთან. ენა, როგორც გონის ენა, სულის თანასწორია. ყოველი კონკრეტული ენა წარმოადგენს კონკრეტულის ერის ენას, მაგრამ, იმავდროულად, იგი არსებობს უნივერსალური ენის ე.წ. „ადამიანური გონის

სიღრმეში“. სწორედ ამის გამო ყველა ენაში იდეათა მთელი წყება, რომლის წყაროც სწორედ უნივერსალური ენაა.

ენა კულტურის პროდუქტი და მისი შემდგომი განვითარების საფუძველია. ენა პიროვნების ეროვნული იდენტობის გამოხატველია. გამოიყოფა ენის ოთხი ძირითადი ფუნქცია:

- საკომუნიკაციო - ენა არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება და, ამდენად საზოგადოების ჩამოყალიბებისა და არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა;
- ექსპრესიული - ენით გამოიხატება ადამიანის სულიერი სამყარო;
- მაკონსტრუირებელი - ენა არის აზრის ფორმირების, ხორცშესხმის საშუალება .
- მთავრულირებელი - ენაშია დაუნჯებული ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის მიერ შექმნილ ცივილიზაციათა ყველა მონაპოვარი. აქედან გამომდინარე ენა არის ის, რაც ადამიანს ქმნის ადამიანად (ჯორჯენაძე 1997: 9).

ადამიანის ყოფიერების ჩარჩოში ენა გააზრებულ ენაში წარმოდგენილია როგორც სხეულის, ისე სულის - გონის ერთიანობა. ენა ყოფიერების თავშესაფარია. სწორედ აქედან გამომდინარეობს ენის არსი, მისი მიმართების თავისებურება აზროვნებასთან.

სტივენ პინკერის თვალსაზრისით, „აზროვნებას არაფერი ესაქმება ენასთან“. „წარმოდგენის, აზრისა და ენის გაიგივება, გარკვეული თვალსაზრისით, კონვენციონალური აბსურდია“ - ფიქრობს მეცნიერი. გონში იგულისხმება მენტალური აზროვნება. გონთან მიმართებაში ენას გამოხატვის ფუნქცია აქვს. აქედან გამომდინარე, ენისმიერი აღქმა აწვდის აზროვნებას შინაარსს, მაგრამ არა ენობრივად, უბრალოდ მენტალურად; შემდეგ ადამიანს კვლავ ესაჭიროება ენა მზა პროდუქციის გადაცემისათვის: ნაფიქრალს, იქნება ეს ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი ფორმით, ადრესანტი, როგორც წესი, შეტყობინების ადრესატს გადასცემს.

ამ მოსაზრებას იზიარებს ალბერტ აინშტაინიც: სიტყვები ან ენა, სულერთია, წერილობითი თუ ზეპირმეტყველების ფორმით გადმოცემული, როგორც ჩანს, არავითარ როლს არ თამაშობს მთელი ჩემი აზროვნების მექანიზმში. რაიმე პრობლემის ზეპირი ახსნა გაცილებით დიდ დაბრკოლებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე მასზე ფიქრი, რადგან ადამიანი გარეგანი მეტყველების დროს გაცილებით

უფრო რთულად ფიქრობს, ვიდრე ფარული მეტყველებისას (სიტყვების გარეშე). შოპენჰაუერი აცხადებს, რომ აზრები იმ მომენტში კვდებიან, როცა მათ სიტყვიერ სამოსელში ვახვევთ (პინკერი 2001: 83).

ვიტგენშტეინის თვალსაზრისით: რისთვისაც ცნება არ გამაჩნია, მისი გამოხატვა არ შემოიძლია, რასაც ვერ გამოვხატავ, მის ადგილს ჩემს აზრებშიც ვერ ვპოულობ (ჩემი ენის საზღვრები ჩემი სამყაროს საზღვრებიცაა) (ვიტგენშტეინი 1960: 125).

ჩვენ კვლადაკვალ მივყვებით იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ენა და აზროვნება განაპირობებენ ერთმანეთს, განსაზღვრავენ ერთმანეთის შესაძლებლობებს. ენასა და აზროვნებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ენობრივი სტრუქტურები შეიძლება, ხელს უწყობდეს ან განაპირობებდეს სამყაროს განსხვავებულ ხედვას და გააზრებას.

თანამედროვე ლინგვისტიკაში მსჯელობის საგანს წარმოადგენს ენას, კულტურასა და აზროვნებას შორის არსებული მიმართება. ამ საკითხების განხილვისას იკვეთება ორი საპირისპირო ჰიპოთეზა: ერთი მხრივ, მოსაზრება ლინგვისტური ფარდობითობის შესახებ. ამ ჰიპოთეზის თანახმად ადამიანის აღქმა და გამოცდილება ენის სპეციფიკური კონცეპტუალიზაციის მეშვეობით ხორციელდება. „სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ახდენს გავლენას ადამიანის აზროვნებასა და გამოცდილებაზე. ამას უკავშირდება ლინგვისტური რელატივიზმისა და ლინგვისტური დეტერმინიზმის ცნებები. ლინგვისტური დეტერმინიზმის თანახმად, ენა განაპირობებს აზროვნებას, ხოლო ლინგვისტური რელატივიზმის (ფარდობითობის) მიხედვით, ეს განპირობებულობა უკავშირდება იმ კონკრეტულ ენას, რომელზეც პიროვნება მეტყველებს“ (გამყრელიძე 2003: 463).

რეალური სამყაროს სურათი უმეტესად გაუცნობიერებლად აიგება ადამიანთა მოცემული ჯგუფის ენობრივი ნორმების საფუძველზე. ჩვენ გვესმის, ვხედავთ და აღვიქვამთ სინამდვილეს ამა თუ იმ კონკრეტული სახით იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოების ენობრივი ნორმები გვკარნახობს ინტერპრეტაციის კონკრეტულ ვერსიას. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ადამიანის აზროვნებასა და გამოცდილებაზე.

ენობრივი უნივერსალიზმი ეწინააღმდეგება პირველ ჰიპოთეზას. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ადამიანის აზროვნება უნივერსალურია და ეფუძნება ყველა კულტურის ძირითად პრინციპებს: თუ ენა ასახავს ადამიანის აზროვნებას, მაშინ ყველა ენა ერთნაირი უნდა იყოს.

ენაში რელატიურისა და უნივერსალურის მიმართებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებს. მისი თვალსაზრისით, მთელი კაცობრიობისათვის დამახასიათებელი სინამდვილის ფაქტების ცნობიერების ფაქტებად გარდაქმნის უნარი რეალიზებულია არა „ზოგად ადამიანურ ენაში“, არამედ კონკრეტულ ენათა მრავალფეროვან გამოვლინებებში. ხალხების ენობრივი კოლექტივები, ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამყაროს ენობრივი ხედვით, ენების საშუალებით რეალობის წვდომის გზებით. ერებს შორის განსხვავებებს განაპირობებს მსოფლხედვის განსხვავება.

1.4 უნივერსალური და ეროვნულ–სპეციფიკური სამყაროს ენობრივი სურათი

როგორც ავღნიშნეთ, სამყაროს ენობრივი სურათის ცნება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებიდან იღებს სათავეს. ეთნოკულტურის, ენისა და ეთნოსის მიმართების პრობლემის შესწავლაზე გავლენას ახდენს ჰუმბოლდტის ფილოსოფიურ - ანთროპოლოგიური იდეები. განსხვავებული „ენისმიერი ხედვის“ არსებობის შესახებ აზრი მან მე–19 საუკუნის დასაწყისში გამოთქვა და ჩამოაყალიბა იგი როგორც მეცნიერულ–ფილოსოფიური პრობლემა. ჯერ კიდევ 1801 წელს ბასკებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ჰუმბოლდტმა წამოაყენა თეზისი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ენა წარმოადგენს არა მხოლოდ ერთი და იმავე საგნის განსხვავებულ ბგერით გამოსახვას, არამედ მის „განსხვავებულ ხედვასაც“. ეს განსხვავებული ხედვა, პირველ რიგში, მჟღავნდება იმაში, რომ ყოველი ცალკეული ენა გამოყოფს მოცემული ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მოვლენებს და ფაქტებს. კონკრეტული ენა თავისებურად, ინდივიდუალური ფორმით, სხვა ენებისაგან განსხვავებულად, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი.

ჰუმბოლდტის აზრით, ენა ერის სულია, ხოლო მისი სული მისი ენაა. სწორედ ენაში ერწყმის ერთმანეთს სულიერი, გონებრივი და ეროვნული. ენის ერთ– ერთი

ფუნქცია კი კონკრეტული საზოგადოებისთვის შესატყვისი სამყაროს ენობრივი მოდელის შექმნაა.

ლინგვისტიკაში მიმდინარე კვლევების ძირითადი ამოცანა აზრისა და სიტყვის მიმართების გამოკვეთაა. ჰუმბოლდტის კონცეფციისა და თანამედროვე ენათმეცნიერულ – ფილოსოფიური თეორიების მიხედვით, სამყაროს ხედვისა და მისი აღქმის თავისებურება განპირობებულია კონკრეტული ენისა და ენობრივი ჯგუფის თავისებურებით. ენის სემანტიკური სტრუქტურა სამყაროს ენობრივი გამოხატულება, ანუ მთელი ჩვენი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გარემოს თავისებური – ეროვნული აღქმის სურათია. ყოველი ენა სამყაროს თავისებური ხედვის მატარებლად გვევლინება. ცნობილია გამოთქმა „ენა ყოფიერების სახლია“, ის „ადგილია“, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს ენის, საზრისია და კულტურის კორელაციურობის ფაქტი. სამყაროს „ენობრივი ხატი“ წარმოადგენს სინამდვილის სისტემურ, მთლიანურ ასახვას. ნებისმიერი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და სტრუქტურირების, კონცეპტუალიზაციის თავისებურ გზას.

ენაში არსებული მნიშვნელობები ქმნიან არა მექანიკურ აგლომერაციას, არამედ თვალსაზრისთა ერთიან სისტემას, სხვა სიტყვებით, „კოლექტიურ ფილოსოფიას“, რომელიც ცვლადია დროსა და სივრცეში. ენა თავის განზომილებაში მაღავს საზრისს, ამდენად, აუცილებელი ხდება ენის დაკავშირება ისეთ ფენომენტთან, როგორც არის კულტურა. თეზისი, რომ ენა არის სინამდვილის გამოსახვის საშუალება, თავის თავში ქვეტექსტურად მოიცავს ფუძემდებელ, ამოსავალ დებულებებს კულტურის, ადამიანისა და, საბოლოო ანგარიშში, მთელი სინამდვილის შესახებ.

ადამიანური შემეცნება არა მხოლოდ ასახავს სამყაროს სინამდვილეს, არამედ მონაწილეობს ენის სისტემის შექმნაში. ამდენად, ენა უნდა მოვიაზროთ როგორც „შემოქმედებითი მოღვაწეობა“, რომელიც გულისხმობს სინამდვილის ფაქტის ცნობიერების ფაქტად გარდაქმნის პროცესს, ან როგორც „ადამიანის მიერ სამყაროს სიტყვადქცევის“ პროცესს. ლექსიკური ერთეულები ენის შემოქმედებითი ფუნქციონირების პროდუქტია.

სემანტიკურ სტრუქტურაში იკვეთება ენის როგორც სემანტიკური, ისე ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები. ენის სემანტიკურ-კულტუროლოგიური განზომილება ეროვნულ – ენისმიერ სამყაროს ხატს მკაფიო, განუმეორებელ იერს მატებს და საინტერესოს ხდის ენათა შეპირისპირებით კვლევას. ენობრივ სივრცეში კოდირებული მნიშვნელობა ვლინდება შედარება-შეპირისპირებისას, ენისმიერი სამყაროს ხატების მსგავსება – განსხვავებულობის იდენტიფიცირებისას. ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს რეალური სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს რომელიმე ფრაგმენტს და იძლევა მის კონცეპტუალურ სურათს.

გ. ლებანიძე აღნიშნავს, რომ ენა პრობლემაცაა და საიდუმლოც. „ენა საიდუმლოა იმდენად, რამდენადაც იგი თავის ინტენსიურ განზომილებაში მალავს საზრისს, იმ საზრისს, რომელსაც კაცობრიობა წვდება მთელი თავისი ისტორიის მანძილზე და ენა პრობლემაა იმდენად, რამდენადაც ეს პრობლემურობა ვლინდება მის მეცნიერულ კვლევაში. ენა პრობლემაა იმდენად, რამდენადაც აუცილებელი ხდება ენის მიმართებითი დაკავშირება ისეთ ფენომენებთან, როგორცაა კულტურა და ცივილიზაცია“ (ლებანიძე 2006: 258).

ცნობილია, რომ სამყარო ვერ ეგუება უძრავ „ობიექტურ“ წესრიგს და ამდენად იგი დინამიკაში მყოფი რეალების კრებულს წარმოადგენს. რეალების ცვლილების შესაბამისად იცვლება კულტუროლოგიური ორიენტირი და კომპონენტი, რომელთა ფრაგმენტების ასოციაციური და თანმიმდევრული ასახვა დამოკიდებულია არა მხოლოდ ჩვენს გარემომცველ სამყაროზე, არამედ ადამიანზეც, როგორც მის განუყოფელ ნაწილზე. აღნიშნული ფაქტორის კონსტატირებას სამყაროს მოდელის შექმნამდე მივყავართ, რომელიც, თავის მხრივ, ანთროპოცენტრულ ხასიათს ატარებს და სამყაროს არაობიექტურ, არაინტერპრეტირებად ანარეკლს წარმოადგენს. ვ. ფონ ჰუმბოლდტის თეორიის თანახმად, სამყაროს სურათის მსოფლხედვითი აღქმა სწორედ ენაში ხდება და შესაბამისად, ენათმეცნიერება „ხალხის ფილოსოფიის ისტორიას“ წარმოადგენს. ენობრივი ლექსიკა ასახავს ამ ლექსიკის მომხმარებელი ხალხის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, მათ კულტუროლოგიურ ტრადიციებს.

ენათმეცნიერებისათვის სირთულეს არ წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის, როგორც ფენომენის განსაზღვრა, მისი ადეკვატური გამოყენება და განმარტება.

როდესაც ვსაუბრობთ სიტყვის მნიშვნელობაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიტყვის მნიშვნელობა გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული სიტყვების, წინადადებებისა და ფრაზების მნიშვნელობას, არამედ თვით იმ საგნებს და მოვლენებს, რომლებსაც ეს მნიშვნელობა აღნიშნავს. ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში პლატონი იკვლევდა იმ წინაპირობებს, რომლებსაც ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა ეფუძნებოდა. კვლევის მთავარ მიზანს შეადგენდა კონკრეტული მნიშვნელობის პირველწყაროს განსაზღვრა. პლატონისათვის სიტყვის მნიშვნელობა ბუნებასთან კავშირით აიხსნებოდა, რაც ფილოსოფიურისა და ენობრივის ურთიერთგადაკვეთას განაპირობებდა. პლატონი სიტყვის პირველად მნიშვნელობას არ გამორიცხავს მაშინაც კი, როდესაც იგი კონტექსტში მისი ფიგურალური მნიშვნელობით იხმარება. სიტყვის მნიშვნელობის არსი, როგორც, ერთი მხრივ, ენობრივი ნიშნის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი და, მეორე მხრივ, როგორც ამ ნიშნის ნომინაციის მრავალსახეობა, წარმოადგენს ლინგვისტიკაში განხორციელებული ყველა სემანტიკური კვლევის ამოსავალ პრინციპს.

ენა-კულტუროლოგიის ურთიერთგანპირობებულობიდან გამომდინარე, ენის სისტემა მისი შემადგენელი ასპექტებით შესაძლებელია, განვიხილოთ კულტურის ჭრილში. კულტუროლოგია, თავის მხრივ, ერის კულტურის რეფლექსია ანუ თვითგააზრებაა. ამდენად, მართებული იქნება, თუ ენის მთლიან სისტემას კულტურის მენტალურ თვითგააზრებად მივიჩნევთ. მით უფრო, რომ ენა, ისევე როგორც კულტურა, სამყაროს ენისმიერი ხატის ასახვაა. შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ენის ლექსიკური ერთეულის სემანტიკურ სტრუქტურებში გამოიკვეთება მისი როგორც სემანტიკური, ისე ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები.

ენა უშუალო მიმართებაშია მის ეროვნულ წარმომავლობასთან. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ კონკრეტულ ენაზე ზემოქმედებს შესაბამისი ერის ინდივიდუალურობა, რადგან ყველა ენაში თავისთავადაა კოდირებული თვითმყოფადი ეროვნული მსოფლხედვა.

1.5 მსგავსი და განსხვავებული აზროვნება - ენობრივი მოვლენები სამყაროს ენობრივ სურათში

თანამედროვე ლინგვისტიკაში შეიმჩნევა სულ უფრო მზარდი ინტერესი ეთნოფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემებისადმი, რომლებიც განიხილავს ენას როგორც სოციოლოგიური კულტურის რეალობის გამოხატულებას. ნებისმიერი ენა, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ კატეგორიათა, მნიშვნელობათა, ცნებათა და ა.შ. სისტემას, რომელიც პირდაპირ კავშირშია მშობლიური ენის სისტემასთან. მშობლიური და არამშობლიური ენების ურთიერთგავლენისა და თანაარსებობის საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია ინფორმაციის რეპრეზენტაციის პრობლემის განხილვა, რადგან ინფორმაციას საფუძვლად უდევს ასოციაცია. ასოციაციური კავშირები კი საფუძვლად უდევს ადამიანის აზროვნებას, მეხსიერებას, მოღვაწეობას, წარმოსახვას და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური ქცევის გარკვეული ნაწილი განპირობებულია იმით, რომ სიტყვები უკავშირდება ერთმანეთს გააზრების გარეშე. ასოციაციური წარმოდგენის შედეგად შეიძლება, გამოვეყოთ სიტყვის სემანტიკის გაუცნობიერებელი კომპონენტები, რომელთა კვლევა იძლევა სინამდვილის ლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებას.

ცნობილია, რომ თითოეულ ხალხს და თითოეულ ეროვნებას გააჩნია თავისებური წარმოდგენა არსებულ სამყაროზე, სხვა ხალხებსა და მათ კულტურაზე. მეცნიერებს აინტერესებთ, თუ რა კავშირია სხვადასხვა ხალხების ენას, კულტურასა და ფსიქოლოგიას შორის.

მეცნიერებს აინტერესებთ სტერეოტიპების ფენომენი. სტერეოტიპი იძლევა გარემომცველი სამყაროს ერთიანად აღქმის საშუალებას. ყოველი ადამიანი მის ირგვლივ არსებულ სამყაროს აღიქვამს თავისებურად. ამის საფუძველზე იქმნება წარმოდგენა სამყაროს სურათზე, რომელიც თავის თავში მოიცავს რეალობის ობიექტურ და სუბიექტურ შეფასებებს, ხოლო სტერეოტიპი წარმოადგენს ამ სურათის ნაწილს. ლინგვისტების უმრავლესობა იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე ყალიბდება იმ კულტურის გარემოცვაში, რომელშიც მას უწევს ცხოვრება და მოღვაწეობა. ადამიანის ეროვნული ხასიათი ანუ ეროვნულობა

ვლინდება ერისთვის რეალურად დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობაში ანუ თვითშეგნებაში, ჩვევებში, გემოვნებაში, ტრადიციებში, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ კულტურასთან, ყოფასთან და სტერეოტიპებთან.

ცნებას „სტერეოტიპი“ ლინგვისტები, სოციოლოგები, ეთნოგრაფები, ფსიქოლოგები, ეთნოფსიქოლოგები და ეთნოფსიქოლინგვისტები სხვადასხვანაირად განიხილავენ. ყველა მათგანს თავისებური წარმოდგენა აქვს მასზე. ზოგიერთების აზრით, არსებობს სოციალური სტერეოტიპები, რაც ვლინდება ადამიანის აზროვნებასა და ქცევაში, ხოლო ზოგიერთების აზრით კი, არსებობს ეთნოკულტურული სტერეოტიპები, რაც იძლევა განზოგადოებულ წარმოდგენას ხალხისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისების შესახებ.

სტერეოტიპებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქცევის სტერეოტიპები: ტრადიციები, ჩვევები, მითები, რიტუალები. ენა წარმოადგენს სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის შექმნისა და ჩამოყალიბების საშუალებას. სამყარო კი ეს არის ადამიანი და ის გარემო, რომელთა შორისაც მყარდება ურთიერთობა, ხოლო სამყაროს სურათი კი ესაა გარემოსა და ადამიანის შესახებ ინფორმაციის გადამუშავების შედეგი.

ცნებები „ეროვნული ხასიათი“ და „სტერეოტიპი“ ამ სიტყვების ფართო გაგებით თითქმის იდენტური ტერმინებია, რადგან მათი ჩამოყალიბება ხდება ამა თუ იმ ხალხის კულტურული და ეროვნული გარემოს გავლენით. ამრიგად, სტერეოტიპი ეს არის შედარებით მყარი, განზოგადოებული სახე ხასიათებისა, რომლებიც ნიშანდობლივია ერთი კულტურისა და ერთი ენობრივი სივრცის მქონე ხალხისთვის, ან კიდევ კონკრეტული ხალხის თვალში სხვა ეროვნების ხალხის წარმომადგენლებისთვის. სტერეოტიპი თავის თავში მოიცავს სტანდარტს, რომელიც წარმოადგენს არაენობრივ რეალობას და ასევე ნორმას, რომელიც არსებობს ენობრივ დონეზე.

სამყაროს შესახებ არსებობს კულტურული სურათიც, რომელიც შედგება, ერთი მხრივ, კულტურული გარემოს, მშობლიური ენის, ფასეულობებისა და ნორმებისაგან, რომლებიც შედის მშობლიურ კულტურაში და მეორე მხრივ, უცხო კულტურული გარემოს, უცხო ენის, უცხო ფასეულობებისა და ნორმებისაგან, რომლებიც

წარმოადგენს სამყაროს კულტურული გარემოს სხვა მხარეს. სამყაროს სურათსა და ენობრივი სამყაროს სურათს შორის არსებული კავშირი საკმაოდ რთული ბუნებისაა. სამყაროს სურათი შეიძლება წარმოდგენილი იქნას სხვადასხვა სივრცობრივი პარამეტრებით, ასევე რაოდენობრივი, ეთიკური, დროითი პარამეტრებით, რომელთა ფორმირებაზე გავლენას ახდენს ენა, ტრადიცია, ბუნება, ლანდშაფტი, აღზრდა და ა.შ.

სამყაროს ენობრივი სურათი აყალიბებს ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ტიპს. ეს სურათი განსაზღვრავს ადამიანის ქცევის ნორმებსა და მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი. სამყაროს კულტურული და ენობრივი სურათი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან; ისინი განიწყვეტილ მოქმედებენ ერთმანეთზე, რასაც მივყავართ ადამიანის გარშემო მყოფი სამყაროს რეალური სურათის ასახვამდე.

ხალხები გამოირჩევიან აზროვნების მსგავსი შტრიხებით. არსებობს ადამიანის უნივერსალური ცნობიერების ფორმირების მრავალი მიზეზი. ადამიანის აზროვნების სისტემა, ცხოვრების წესი, დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი, მისწრაფებები და მიზნები ხასიათდება საერთო ნიშნებით მიუხედავად მათი განსხვავებული აზროვნებისა და ეროვნულობისა.

ადამიანის ბიოლოგიური ინსტიქტები და გონების თვისებები განაპირობებს ცნობიერების უნივერსალურობას. ადამიანის უნივერსალური ცნობიერება, ისევე როგორც ინდივიდუალური და ეროვნული, მოქმედებს ენის ფორმირებაზე და წარმოშობს ისეთ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც უნივერსალურია არამონათესავე ენებისათვის. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის აზროვნება არის მისი ინდივიდუალური, ეროვნული და უნივერსალური ცნობიერების მიმართულებათა ერთიანობა. ეს მიმართულებები აისახება ენაში და, შესაბამისად, ენაშიც გვაქვს ინდივიდუალური, ეროვნული და უნივერსალური ენობრივი ერთეულები.

ადამიანის აზროვნების გავლენა მეტად მნიშვნელოვანია ენობრივი ერთეულების წარმოქმნის პროცესში. ადამიანის ასეთი აზროვნების შედეგად ენებში ჩნდება გარკვეული სახის ერთეულები, რომლებიც სხვადასხვა ენას განარჩევს ერთმანეთისაგან და ქმნის უხილავ კავშირს მათ შორის. ეს უხილავი კავშირი არის

ადამიანთა უნივერსალური ცნობიერება. სხვადასხვა ენის თავისებურ მხარეთა გაერთიანებით იქმნება სამყაროს ენობრივი სურათი, რომელზეც ისახება ადამიანის აზროვნებისა და განვითარების სურათი.

ენა ასახავს სამყაროს სხვადასხვა კუთხით. ენაში, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია ობიექტური სინამდვილე, სამყაროში არსებული საგნები, მოვლენები, მოქმედებები, ადამიანებს შორის არსებული მიმართებები, მათი გრძნობები და აზრთა თანამიმდევრობა. ეს შეიძლება, ჩაითვალოს ენის დესკრიფციულ მხარედ. ენაში აისახება ასევე ადამიანთა მიერ სინამდვილისა და გარემოს აღქმა, ადამიანთა ურთიერთქმედება, ურთიერთმიმართება სრულიად განსხვავებულ ასპექტებში, რომელთაგან ერთ - ერთი სუბიექტის მიერ გარე სამყაროს შემადგენელი საგნებისა და მოვლენების შეფასებითი ასპექტია. შეფასების მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ მასში ყოველთვის არსებობს სუბიექტური ფაქტორი, რომელიც პირდაპირ ურთიერთქმედებაშია ობიექტურ ფაქტორთან. შეფასებითი დამოკიდებულება, თუნდაც მასში არ იყოს ასახული შეფასების ობიექტი, გულისხმობს ერთგვარ ფასეულობით დამოკიდებულებას სუბიექტსა და ობიექტს შორის. ამგვარ დამოკიდებულებაში ყოველთვის იგულისხმება მსჯელობის სუბიექტი, ანუ ის პირი, რომლისგანაც მომდინარეობს შეფასება და ის ობიექტი, რომლისკენაც მიმართულია აღნიშნული შეფასება.

ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად, შეფასება ყოველთვის წარმოადგენს „განსაზღვრული დამოკიდებულების დადგენას შეფასების სუბიექტს ან სუბიექტებს და შესაფასებელ ობიექტს ან ობიექტებს შორის. ვასილენკო თვლის, რომ საბოლოოდ ყველანაირი შეფასების საზომი კრიტერიუმი თვით სუბიექტი - ადამიანია. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „კონკრეტული ისტორიული ინდივიდი, განსაზღვრული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი, ასევე ადამიანთა საზოგადოება მთლიანობაში“ (ვასილენკო 1966: 64).

სუბიექტის მიერ სამყაროს სურათთან დაკავშირებული შინაგან ფორმაზე დაფუძნებული ემოციური მოდალობა შეფასებითი დამოკიდებულების სემანტიკის ისეთი კომპონენტია, რომელიც ხელს უწყობს გამონათქვამის ექსპრესიული ეფექტის შექმნას. ემოციური მოდალობის არსებობა ქმნის ემოციურ განცდას სუბიექტსა და

ობიექტს შორის გრძნობა-დამოკიდებულების ფორმით, რაც მსმენელის ცნობიერებაში უკვე წინასწარ არსებული ასოციაციური ხატის გააქტიურებას იწვევს. რიგი მკვლევრების აზრით, წარმოდგენები ნიშან-თვისებათა სტერეოტიპების შესახებ შეესაბამება პროტოტიპებს ან ეტალონებს, ე.ი. იმ ობიექტებს, რომელთათვისაც უფრო მეტადაა დამახასიათებელი მოცემული ნიშან-თვისებები ან ნიშან-თვისებათა ერთობლიობა „სამყაროს სურათში“.

როგორც წესი, შეფასებითი დამოკიდებულება ორიენტირებულია „სამყაროს ხატის“ ობიექტურ, ნომინალურ ასახვაზე და მისდამი სუბიექტურ, გააზრებულ მიდგომაზე. შეფასების საზომი კრიტერიუმი თვით სუბიექტია – ადამიანი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული დამოკიდებულების დადგენას შეფასების სუბიექტს და შესაფასებელ ობიექტს შორის. სუბიექტის მიერ ობიექტის შეფასება ყოველთვის დაკავშირებულია დესკრიფციული ნიშან - თვისებების გარკვეულ აკუმულირებასთან. ამდენად, ენობრივი გამონათქვამი შეიძლება მიესადაგოს სხვადასხვა დონის რამდენიმე სტერეოტიპს. აქედან გამომდინარე, სიტყვის სტერეოტიპული შეფასებითი მნიშვნელობა შეიძლება ყოველთვის არ დაემთხვეს შესიტყვების ან გამონათქვამის შეფასებით მნიშვნელობას. სტერეოტიპი ცვალებადი ფენომენია, როგორც ისტორიულ ჭრილში, ისე სიტუაციური თვალსაზრისითაც.

თავი II

კოგნიცია, კოგნიტური მეცნიერება და კოგნიტური ლინგვისტიკა

2.1. კოგნიტური ლინგვისტიკა თანამედროვე ლინგვისტიკის კონცეფციათა პარადიგმაში

მრავალ სპეციალისტს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ტერმინი „კოგნიტური“, თითქოსდა, „გაცრეცილია“, ხშირად „ცარიელია“ (ფრუმკინა 1996: 55-67).

არსებობს კიდევ უფრო უცნაური თვალსაზრისიც: თანამედროვე ენათმეცნიერებაში კოგნიტური ლინგვისტიკის წვლილის განხილვისას ვ. ბ. კასევიჩს მოჰყავს მის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგები და დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებული მიდგომები და შედეგები ამდიდრებენ ენათმეცნიერებას, ისინი არანაირად არ ქმნიან არც კვლევის ახალ ობიექტს (უფრო ზუსტად, საგანს) და არც ახალ მეთოდს და ამიტომაც მართლწოდებით იქნება თუ ჩავთვლით, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა არ არსებობს – იმ მიზეზის გამო, რომ არარსებობს არაკოგნიტური ლინგვისტიკა (კასევიჩი 1998: 14-21).

კოგნიტური ლინგვისტიკა, რა თქმა უნდა არსებობს, ისევე როგორც არსებობს არაკოგნიტური ლინგვისტიკა, მაგალითად, სტრუქტურული. საინტერესოა კოგნიტური ლინგვისტიკის სხვა შეფასებებიც. მე-20 საუკუნის ბოლოსთვის ლინგვისტიკის თეორიისა და მეთოდის დახასიათებისას, „ამბოხისა“ და „გადატრიალების“ ერთ-ერთ დამადასტურებლად პ.ბ. პარშინს მაგალითად სწორედ კოგნიტური ლინგვისტიკა მოჰყავს.

კოგნიტური ლინგვისტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეცნიერებაა, რომელიც ვითარდება კოგნიტური მეცნიერების ფარგლებში. დღეისათვის კოგნიტური მეცნიერება წარმოდგენილია ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებული სკოლების სახით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლებს აერთიანებს ენობრივი

ფაქტებისა და ენობრივი კატეგორიების ფსიქოლოგიური ახსნისაკენ, ენობრივი ფორმების მათ მენტალურ რეპრეზენტაციებთან დაკავშირებისაკენ სწრაფვა.

კოგნიტურმა ლინგვისტიკამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა თანამედროვე ლინგვისტიკის კონცეფციათა პარადიგმაში. კოგნიტური ლინგვისტიკა შეისწავლის ენას, როგორც კოგნიტიურ მექანიზმს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის კოდირებასა და ტრანსფორმირებაში (ევანსი 2005, ვიგოტსკი 1996, ლენგეკერი 1998). კოგნიტიურ ლინგვისტიკაში იკვეთება ენისა და აზროვნების რთულ მიმართებათა კვლევის ჰორიზონტი, კერძოდ, ისეთი თემები, როგორცაა: ენა და აზროვნება, ადამიანის როლი ენაში და ენის როლი ადამიანისათვის. (ვოფი 1956, ფოდორი 1990, ჯეკენდორფი 2002).

კოგნიტური ლინგვისტიკა ყალიბდებოდა მე-20 საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, თუმცა ინფორმაციის აღქმისა და დამუშავების, ენის მეშვეობით ცოდნის მენტალური რეპრეზენტაციის საშუალებათა კვლევის მცდელობა შეიმჩნევა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ენათმეცნიერების პირველ თეორიულ ნაშრომებში.

ვ. ჰუმბოლდტისეული „ხალხის სულის“ თეორიის განხილვისას ა. პოტებნია ენის წარმოშობის საკითხს უკავშირებს ენის წინმსწრებ სულიერ ცხოვრებას. განიხილავს რა ენის წარმოშობისა და განვითარების კანონებს, მათ გავლენას ადამიანის სულიერ მოღვაწეობაზე, ა. პოტებნია ენის წარმოშობის საკითხს მიიჩნევს წმინდა ფსიქოლოგიურ საკითხად. პოტებნიას განცობიერებული აქვს, რომ სულიერ მოღვაწეობაში იკვეთება დომინანტური და პერიფერიული ცნებები. სწორედ დომინანტური წარმოდგენები იღებენ მონაწილეობას ახალ იდეათა გენერირებაში. პოტებნია ხედავს ასოციაციებისა და ასოციაციათა შერწყმის როლს წარმოდგენათა გენერირების პროცესში. მისი თვალსაზრისით, ერთდროულად აღქმული, სხვადასხვა წარმოდგენები იკვრება ერთ მთლიანობად - შერწყმისას ორი სხვადასხვა წარმოდგენა აღიქმება როგორც ერთი მთლიანი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ა. პოტებნიას შესანიშნავად ესმის ენის როლი ახლის შეცნობის, სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესებში.

გაცილებით უფრო ცხადია კოგნიტური ლინგვისტიკის საგანი ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს შემდგომ გამონათქვამში: „ენობრივი ცნობიერებიდან შესაძლებელია გამოვლინდეს ყოფიერების ... შესახებ არსებული ენობრივი ცოდნა მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

სამყაროს შემეცნების პროცესში ენის როლის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა დროის მოაზროვნების ნაშრომებში ანტიკური ხანიდან დღემდე. თუმცა, ლინგვოკოგნიტიურ პრობლემათა ინტენსიური კვლევა დაიწყო მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში.

თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკა მიეკუთვნება იმ მეცნიერებებს, რომლებიც კონკრეტული მეთოდების მეშვეობით იკვლევენ ერთ საერთო საგანს - კოგნიციას.

ე.ს. კუბრიაკოვას თვალსაზრისით, კოგნიტური მეცნიერება ინტერდისციპლინარულია - იგი ცენტრირებულია ისეთ მეცნიერებებზე, როგორცაა: კოგნიტური ფსიქოლოგია, კოგნიტური ლინგვისტიკა, კოგნიციის ფილოსოფიური თეორია, ენის ლოგიკური ანალიზი, ხელონური ინტელექტის თეორია, ნეიროფიზიოლოგია, კოგნიტური ანთროპოლოგია, კოგნიტური სოციოლოგია და კოგნიტური ლიტერატურათმცოდნეობა. თითქმის ყველა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში იკვეთება ცალკეული სფერო, რომელიც უკავშირდება კოგნიტური მიდგომისა და კოგნიტური ანალიზის გამოყენებას.

კოგნიციამ, როგორც შემეცნების, ადამიანის ცნობიერების მიერ სინამდვილის აღქმისა და ცნობიერებაში ინფორმაციის გარდაქმნის პროცესმა, თანამედროვე მეცნიერებაში შეიძინა ისეთი მნიშვნელობები, როგორცაა: „შინაგანი“, „მენტალური“, „ინტერიორიზებული“. ტერმინის „კოგნიცია“ ამგვარი ინტერპრეტაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ინტერპრეტაციისაგან, რომლის მიხედვითაც კოგნიცია ასოცირდებოდა ისეთ მნიშვნელობებთან, როგორცაა: „შემეცნებითი“ ან „შემეცნებასთან დაკავშირებული“ (ბედვისტელი 1970, 1975)

კოგნიტური მეცნიერების ამოცანაა ცოდნის წარმოდგენის სისტემების, ინფორმაციის დამუშავების პროცესების, ადამიანის კოგნიტურ უნართა ორგანიზების

ზოგად პრინციპთა აღწერა-შესწავლა. (ბასელოუ 1992, ლაკოფი 1980, გრედი et al.1999, თალმი 2000).

თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბება უკავშირდება ისეთ მეცნიერთა ნაშრომებს, როგორცაა: ჯორჯ ლაკოფი, რონალდ ლანგაკერი, რეი ჯაკენდორფი და სხვები. აღნიშნული მეცნიერების ნაშრომები და კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემები დეტალურად არის აღწერილი ე. კუბრიაკოვას ნაშრომებში (კუბრიაკოვა, 1994, 1997, 1999, 2004). ენისა და აზროვნების პრობლემატიკისათვის მიძღვნილ თანამედროვე ნაშრომებში იკვეთება მოსაზრებები ცოდნის სტრუქტურათა შესახებ. აღნიშნული ნაშრომებში იკვეთება ორი ტენდენცია:

- მკვლევარი იკვლევს ენას სიღრმისეულად კოგნიტური, კატეგორიულ-ტერმინოლოგიური აპარატის მეშვეობით (გაო 2001, ვიეზბიკა 1984).
- შინაარსის მოდელირების გზით მკვლევარი იკვლევს კონკრეტულ კონცეპტთა სტრუქტურას, სხვა სიტყვებით, აგებს ეროვნული ცნობიერების კონცეპტუალურ სფეროს (მარკუსი 1991, იუ 2003, დ'ენდრეიდი 1985: 321-343).

კოგნიტური ლინგვისტიკის, ისევე როგორც კოგნიტური მეცნიერების, საბოლოო მიზანს წარმოადგენს მონაცემების მოძიება „გონების მოქმედების შესახებ“. ამასთანავე, კოგნიტური ლინგვისტიკა სხვა კოგნიტური მეცნიერებებისგან განსხვავდება საკვლევო მასალით - იგი იკვლევს ცნობიერებას ენის მასალაზე დაყრდნობით.

კოგნიტურ ლინგვისტიკაში მოდელური კონსტრუქტორის როლს თამაშობს კოგნიტური სტრუქტურები და პროცესები, იქნება ეს ფრეიმის ტიპის კოგნიტური მოდელი (მ. მინსკი, ჩ. ფილმორი), იდეალიზირებული კოგნიტური მოდელი (ჯ. ლაკოფი) ან მენტალური სივრცე (ჟ. ფოკონიე); სემანტიკურ-გრამატიკული სუპერკატეგორიები (ლ. ტალმი), კომპლექსური მრავალასპექტიანი კონსტრუქცია (ჩ. ფილმორის, პ. კეიმი), კოგნიტური ოპერაციები (რ. შენკი), ინტელექტუალური სისტემების შესწავლის განსაკუთრებული დონე (ა. ნიუელი). კოგნიტური ლინგვისტიკა არა მხოლოდ რეალურად არსებობს, არამედ მას ახასიათებს

შესასწავლი პრობლემების გამორჩეულად ფართო წრე. მრავალფეროვნებასთან ერთად, კოგნიტური ლინგვისტიკა განიხილავს პრობლემას ერთიანი მიდგომის ფარგლებში.

თუ კოგნიტურ ლინგვისტიკას შევხედავთ არა იმ პერსპექტივიდან, საიდანაც იგი წარმოიშვა (აზროვნების, ცნობიერი ქმედებებისა და კოგნიციის შესწავლის სფერო), არამედ ენის ენობრივი დონეების სისტემაში მისი ადგილის პერსპექტივიდან, აღმოჩნდება, რომ იგი დაკავებულია ენის შინაარსობრივი პარამეტრების კვლევით.

აღნიშნული წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის, სივრცული სემანტიკისა და ფრეიმის სემანტიკის სფეროებს. იგი იკვლევს კატეგორიასა და კატეგორიზაციას, კონცეპტსა და კონცეპტუალიზაციას, მეტაფორასა და მეტაფორიზაციას, რეფერენციას, სამეტყველო ქმედების ინფორმაციულ ასპექტებს, მენტალური ენასა და სხვა კატეგორიებს (პრავიკოვა 1999: 37-44).

კოგნიტურ ლინგვისტიკას აქვს განვითარების მკაფიო ხაზი. კოგნიტური იდეები ასოცირდება ნომინაციის სფეროსთან, ენობრივი ფორმის და ენობრივი შინაარსის მიმართების კვლევასთან როგორც სემასიოლოგიის, ისე ონომასეოლოგიის ჭრილში (პრავიკოვა 1999: 39-40).

1999 წელს გამოიცა ნაშრომი, რომელიც მიემდგვნა კოგნიტური ლინგვისტიკის საფუძვლებს, მისი პრობლემების დიაპაზონსა და მეთოდოლოგიას (კოგნიტური ლინგვისტიკა 1999). აღნიშნული გამოცემის ცალკეულ პუბლიკაციებში თანამედროვე კოგნიტოლოგები აჯამებენ კოგნიტოლოგიური კვლევის შედეგებს და განსაზღვრავენ კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარების გზებს. სწორედ ასე ეწოდება რ. ლენეკერის სტატიას „კოგნიტური მიმართულების მნიშვნელობის შეფასება“ (ლენეკერი 1999). მასში გაანალიზებულია აღნიშნული მიმართულებისათვის რელევანტური პრობლემები (რესი 1991: 1-20), განხილულია კოგნიტოლოგიის კრიტიკის უსამართლობისა და არავალიდურობის საკითხი (თაგარდი 1996 : 217), ჩამოთვლილია კოგნიტივიზმის მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპები (ველიჩკოვსკი 1983: 336). თუმცა ყველაზე მთავარია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში დაცულია დებულება იმის შესახებ, რომ სწორედ კოგნიტურ-ფუნქციონალური

მოსაზრება ენის ნებისმიერი შესასწავლი მოვლენის შესახებ იძლევა გაცილებით მეტს, ვიდრე აღნიშნული მოვლენების ფორმალური აღწერა.

აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს ვ. კროფტიც (ქროფტი 61-94). იგი აღნიშნავს ენის ტიპოლოგიურ კვლევაში კოგნიტური მონაცემების განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებას. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს კოგნიტივიზმს ჟ. ფოკონიე: კოგნიტოლოგიის „განსაცვიფრებელ წარმატებას“ იგი აკავშირებს იმ ფაქტთან, რომ „დაიწყო მნიშვნელობის კონსტრუირების დაკავშირება ჭეშმარიტი მეცნიერების დინამიკასთან“... კოგნიტური ლინგვისტიკის მეთოდები და შედეგები სრულიად ახალია (ფოკონიე 1998: 96–98) არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჯ. ლაკოფის და მ. ჯონსონის ბოლო მონოგრაფია (ლაკოფი და ჯონსონი 1999: 624), სადაც აღნიშნულია, რომ კოგნიტური მეცნიერება და კოგნიტური ლინგვისტიკა წარმოადგენს გარკვეულ გამოწვევას დასავლეთის ფილოსოფიისათვის, რადგან იგი ეჭვქვეშ აყენებს მის მრავალ პოსტულატს. კოგნიტური ლინგვისტიკა ახორციელებს ადამიანის მენტალური ქმედების ძირითადი მექანიზმების დემონსტრირებას.

თანამედროვეობის მეცნიერულ პარადიგმათა თავისებურებების ანალიზის შედეგად იკვეთება ლინგვისტიკის ზრდადი ზეგავლენა ფუნდამენტალურ მეცნიერებებზე. დღეს მეცნიერება კონცენტრირებულია იმაზე, რითაც კოგნიტური ლინგვისტიკა განსახვავდება ლინგვისტიკის სხვა სახეობათაგან.

„კოგნიტური თეორია“, რეი ჯეკენდოფის აზრით, „წარმოადგენს მენტალური ინფორმაციის კვლევას“, სხვა სიტყვებით, იმ ინფორმაციის კვლევას, რომელიც ინახება ტვინში არსებულ მენტალურ ლექსიკონში და რომელიც, თავის მხრივ, შეადგენს ადამიანის ცნობიერების ბაზას (ჯეკენდოფი 1993: 283).

კოგნიცია, როგორც სტ. რიდი აღნიშნავს, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც ცოდნის მიღება ან მოპოვება, თუმცა კოგნიცია ასევე გულისხმობს მის გამოყენებასაც და მრავალი პრაქტიკული უნარის ჩამოყალიბებასა და ცოდნის მიღებასაც. როგორც უ. ნეისერი აღნიშნავს, კოგნიცია დაკავშირებულია ყველა პროცესთან, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სენსორული მონაცემების ტრანსფორმირება, შეკუმშვა და გახსნა, დაზუსტება და განვითარება, შენახვა და

გამოყენება (რიდი 1996 : 4). კოგნიცია არის ცოდნით მანიპულირება და ინფორმაციასთან მუშაობა.

ა. ანდერსონის თვალსაზრისით, კოგნიტური მეცნიერება მიმართულია ყოველდღიური ცხოვრების კოგნიტური თეორიის შექმნისკენ (ანდერსონი 1996).

ადამიანის გონებისა და მასში მიმდინარე პროცესების შესწავლისას მეცნიერებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისახონ მიზნად ადამიანის ფიქრის არსის განსაზღვრა და შეისწავლონ ადამიანის მიერ განხორციელებადი კოგნიცია (თაქარდი 1996: 17). კოგნიციის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ენა, ხოლო კოგნიციისა და ენის პრობლემების თანაფარდობის პრობლემებს ეძღვნება მნიშვნელოვანი ნაშრომები (შვარცი 1995: 359-367.), (ველიჩკოვსკი 1983 : 336) და სხვ.

შესაძლებელია კოგნიციის სხვა განსაზღვრებათა განხილვა, თუმცა ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისია შემდეგი დასკვნის ფორმულირებისათვის: კოგნიტოლოგები ყოველთვის კონცენტრირდებიან სამყაროს მეცნიერული შეცნობასა და ადამიანის ყოველდღიური გამოცდილებაზე დაფუძნებულ მუდმივად მიმდინარე ბუნებრივი კოგნიციის დაპირისპირებაზე. კოგნიტურ მეცნიერებაში სინამდვილის კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეხება სწორედ ადამიანის ჩვეული საქციელსა დააკუმულირებულ გამოცდილებას. ენა კი ასახავს კოგნიციის, როგორც პროცესის შედეგებს, რომელიც, თავის მხრივ, ორიენტირებულია ადამიანის გარემოსთან შეგუების, ადამიანის გადარჩენის პრაქტიკული ამოცანის ამოხსნაზე, უშუალო აღქმის მონაცემების კლასიფიკაციასა და ინფორმაციის ნაკადის სეგმენტაციაზე.

კოგნიციის აღნიშნული ასპექტები რიგ შემთხვევაში მეტყველებენ სამეცნიერო და ყოველდღიური შემეცნების დაპირისპირებაზე (ლაზარევი 1999: 25-34). პირველი ორიენტირებულია ჭეშმარიტების მოპოვებაზე, მეორე კი - წმინდა პრაგმატულ მიზნებზე. შეიძლება, გვესაუბრა ცოდნის მოპოვებასა და ცოდნის გადამუშავებას შორის არსებულ დაპირისპირებაზე, მაგრამ აღნიშნული ოპოზიციის არსი ისედაც სრულიად აშკარაა: კოგნიცია დამახასიათებელია ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებისათვის, განურჩევლად მისი სამეცნიერო ინტერესებისა და მეცნიერული მოღვაწეობის პროცესში არსებულ ამოცანათა გადაჭრის გზების სპეციფიკისა.

ამიტომაც ცნება „კოგნიტური“ ხშირად გულისხმობს „ბუნებრივად შემეცნებადს“, „გამოცდილების მიღების პროცესში შემეცნებადს“. ენაში ფიქსირებული ცოდნის სტრუქტურები, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს „ბუნებრივ“ სტრუქტურებს, გამოცდილების, სამყაროს შეცნობისა და შეფასების სტრუქტურებს, რომელსაც იზიარებს აღნიშნული ენობრივი საზოგადოების თითოეული წევრი. აღნიშნული ტიპის სტრუქტურები გვევლინებიან ეგრეთ წოდებული „გაზიარებული ცოდნის“ სფეროს კონსტიტუენტებად.

2.2. კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა

კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ენობრივი ფორმის მის მენტალურ რეპრეზენტაციასთან დაკავშირება (გარდინერი 1985).

კოგნიტური ლინგვისტიკა ორიენტირებულია ადამიანის მენტალურ ქმედებათა ძირითადი მექანიზმების დემონსტრირებაზე (ლაკოფი 1988: 34-58).

რამდენადაც კოგნიციის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ენა, კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა შეიძლება, გავიაზროთ როგორც კოგნიციისა და ენის პრობლემათა თანაფარდობის ანალიზის სივრცე (ლენგეკერი :13-60, დემიანკოვი 1992: 39-77, პრავიკოვა 1999: 37-44).

აღნიშნული ანალიზი გულისხმობს სამყაროს შეცნობისა და ადამიანის ყოველდღიურ გამოცდილებაზე დაფუძნებულ, მუდმივად მიმდინარე ბუნებრივი კოგნიციის დაპირისპირების კვლევას (თაგარდი 1996 : 217).

სინამდვილის კლასიფიკაციისა და კონცეპტუალიზაციის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეხება სწორედ ადამიანის ჩვეულ საქციელსა და აკუმულირებულ გამოცდილებას (ვოფი 1956: 246-270)

ენა კი ასახავს კოგნიციის, როგორც პროცესის შედეგებს, რომელიც, თავის მხრივ, ორიენტირებულია ადამიანის გარემოსთან ადაპტაციასა და ადამიანის აღქმის მონაცემთა კლასიფიკაციაზე (ლაკოფი 1988).

ენაში ფიქსირებული ცოდნის სტრუქტურები წარმოადგენს ადამიანის გამოცდილების, სამყაროს შეცნობისა და შეფასების სტრუქტურებს, რომელსაც აღიარებს კონკრეტული ენობრივი საზოგადოების თითოეული წევრი (დირვენი 1998: 1-24), (კუბრიაკოვა 1992: 4-38).

კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა შეიძლება, განისაზღვროს ისეთ საკითხთა ანალიზით, როგორცაა:

კოგნიციის არსი: კოგნიცია წარმოადგენს იმ ძალას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზდება აზრთა წარმოქმნის პროცესი. სწორედ კოგნიცია არეგულირებს მნიშვნელობათა გამოყენებას კონკრეტული კულტურის ფარგლებში (კასევიჩი 1998: 14-21). მნიშვნელობათა რეგულაციაში იგულისხმება მნიშვნელობისათვის ცნობადობის მინიჭება კონკრეტული კულტურის ყველა წარმომადგენლისათვის. მნიშვნელობის ცნობადობა დაკავშირებულია ადამიანის სოციალურ და კულტურულ გამოცდილებასთან (შენკი, აბელსონი 1975: 151–157, დემიანკოვი 1994: 17-33).

ინფორმაციის გადამამუშავებელი სისტემის არსი: კოგნიტივიზმი განიხილავს ადამიანს როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემას (დევიტი 1990: 214-223). აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, შენახვასა და მობილიზებას. ეს ქმედებები გამიზნულია გონივრულ ამოცანათა ადეკვატურ შესრულებაზე (ვოფი 1956: 230-239).

„მნიშვნელობისა“ და „ინფორმაციის“ დიფერენცირება: „მნიშვნელობა“ და „ინფორმაცია“ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან: მნიშვნელობა გააჩნია არაინფორმატიულ შეტყობინებასაც კი (ფოდორი 1975, 1976). იმ სისტემისათვის, რომელიც ამუშავებს ინფორმაციას, ნიშნადია მხოლოდ შეტყობინების ინფორმატიულობა (რახილინა 1998). შეტყობინება კი ინფორმატიულია იმ შემთხვევაში, თუ იგი თავსდება წინასწარ შედგენილ კოდში (კუბრიაკოვა 1994: 3-15).

ენობრივი ცოდნის სტრუქტურათა თავისებურება: ცოდნის სტრუქტურა არ არის დახშული კონსტრუქტი - იგი მუდმივად ფორმირდება (ბრუნერი 1977). იმავდროულად, ცოდნის სტრუქტურას ძალუმს იმ „ხატთა სამყაროს“ ფორმირება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ცოდნის სტრუქტურა არა მხოლოდ ასახავს ემპირიულ

მოცემულობას, არამედ ახდენს მის პროდუცირებასაც (ლაკოფი 1995, ლეონტევი 1975, პოპერი 2002).

პერსპექტივათა თანაზიარობის არსი: ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს სხვადასხვა ადამიანებისთვის. ეს სირთულე სოციალურ სამყაროში დაძლეულია პოზიციათა „გაიდეალიზების“ საშუალებით, რაც შემდეგს გულისხმობს: ჩვენ სხვის ადგილას რომ ვიყოთ, მოვლენებს ისევე დავინახავდით როგორც ისინი (ფოკონიე: 95-128). შეთანხმების სისტემის ფარგლებში უფლებებელყოფილია განსხვავებები (ჯაკენდოფი 2002: 19-37, ლაკოფი 1980 :3-6)

სამყაროს კოგნიტური სურათის სპეციფიკა: სამყაროს კოგნიტური სურათი გააზრებულია როგორც სინამდვილის მენტალური მოდელი (ნიუველი 1989: 156-172). აღნიშნული მოდელის მეშვეობით შესაძლებელია მოვლენათა გამომწვევი მიზეზების ახსნა, მოვლენათა პროგნოზირება, ასევე ადამიანის გრძნობითი და რაციონალური გამოცდილების ორგანიზება. სწორედ ეს გამოცდილება აკუმულირდება მეხსიერებაში (გლობერსონი 1989: 20-26).

კონცეპტისა და კონცეპტუალური სფეროს არსი: კონცეპტი გააზრებულია ადამიანის ცნობიერების გლობალურ ერთეულად, *კონცეპტუალური სფერო კი - წმინდა აზროვნების სფეროდ, რომელიც კონსტრუირებულია კონცეპტებისაგან.* კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში მყოფ კონცეპტთა ერთგვარ ჯაჭვს (ნიუველი 1990, ვილენსკი 1990: 134-149).

კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის მიმართების საკითხი: სემანტიკა წარმოადგენს ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტთა მოწესრიგებულ მთლიანობას. ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა მიმართებებს. *ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტოსფეროს ის ნაწილია, რომელიც იღებს გამოხატულებას ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით* (ჯაკენდოფი 1990, ბედელი 1974: 432-437). გარკვეული თვალსაზრისით, ენის სემანტიკური სივრცე და კონცეპტოსფერო იგივეობრივი ფენომენებია. მათი იგივეობრიობა გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ორივე მათგანი აზროვნებისათანაა დაკავშირებული. მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავება კი შემდეგში

მდგომარეობს: ენობრივი მნიშვნელობა, როგორც სემანტიკური სივრცის ელემენტი, მიბმულია ენობრივ ნიშანთან, ხოლო კონცეპტი კი, როგორც კონცეპტოსფეროს ელემენტი, არ არის მიბმული ენობრივ ნიშანთან. კონცეპტუალური სფერო შეიძლება იყოს და არც იყოს გამოხატული ენობრივი ნიშნით - იგი შესაძლოა, გამოიხატოს ალტერნატიულ ნიშანთა სისტემით (ჯაკენდოფი 1991).

კვლევის *სემანტიკურ-კოგნიტური მიდგომის არსი*:

კვლევის სემანტიკურ-კოგნიტური მიმართულება გულისხმობს სემანტიკურ და კოგნიტურ პროცესთა შორის არსებული მიმართების კვლევას (ჯაკენდოფი 1983). ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია და განახლებადია დროსა და სივრცეში (თალმი 2000: 409-47). იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელია ადამიანის კონცეპტოსფეროში შეღწევა (ხარიტონჩიკი 1992: 98-123). რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში (ბერლინგი 1970). კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა გააზრებულია კონცეპტის ნომინაციურ ველად (ჯაკენდოფი 2002: 402-406).

მენტალიტეტისა და სამყაროს კოგნიტური ხატის მიმართების საკითხი:

მენტალიტეტი გააზრებულია როგორც სინამდვილის აღქმისა და გაცნობიერების სტილი (გლობესონი 1989: 1-9). სტილის თავისებურება განპირობებულია ცნობიერების კოგნიტური სტერეოტიპების თავისებურებით (ვიეზბიკა 1992, ლაკოფი 1977: 236-287). კონკრეტული პიროვნების მენტალიტეტი დეტერმინირებულია ეროვნული და ჯგუფური მენტალიტეტით, ასევე ადამიანის განვითარების თავისებურებით, კერძოდ, მისი განათლებით, კულტურით, მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის სპეციფიკით (დემიანკოვი 1989: 172). ჯგუფური მენტალიტეტი განპირობებულია სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული, გენდერული ჯგუფების მიერ მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებით (მარკუსი 1991). რაც

შეეხება *ეროვნულ მენტალიტეტს*, იგი განპირობებულია მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის ეროვნულობით (ლე პანი 1989).

კონცეპტისა და სიტყვის მიმართების საკითხი: აზროვნებისა და ვერბალიზაციის მექანიზმები აბსოლუტურად სხვადასხვა მექანიზმებია, შესაბამისად, კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია არ განიხილება კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობად (ო'გრედი 1987: 190-192). ვერბალიზაციას შესაძლოა, არ დაექვემდებარის როგორც მთელი კონცეპტი, ისე მისი ცალკეული აზრობრივი ნაწილი. ნებისმიერი ენობრივი ნიშანი წარმოადგენს კონცეპტს, მაგრამ იგი წარმოადგენს კონცეპტს არა სრულად - ენობრივი ნიშანი თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს რამდენიმე კონცეპტუალურ თვისებას (ჯაკენდოფი 1992: 78-83). და მაინც, კონცეპტი მთელი თავისი შინაარსის სისრულით შესაძლოა გამოიხატოს მხოლოდ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობით - სიტყვა წარმოადგენს კონცეპტუალური ცოდნის „გასაღებს“ (ო'გრედი 1987: 171-188). კონცეპტის ენობრივი გამოხატულება, მისი რეგულარული ვერბალიზაცია უზრუნველყოფს კონცეპტის სტაბილურობას, მდგრადობასა და ცნობადობას.

კონცეპტისა და მნიშვნელობის მიმართებების საკითხი: კონცეპტსა და მნიშვნელობას შორის არსებობს როგორც მსგავსება (ორივე ასახვას სინამდვილეს), ისე განსხვავებაც (კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი - ენობრივი ცნობიერების) (ვიეზბიკა 1984: 316-334). ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები გამოხატავენ ნიშნად კონცეპტუალურ თვისებებს, მაგრამ არა სრულად (თალმი 2000: 412-419). კონცეპტი უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (როში 1978).

სემანტიკური ფრეიმის არსი: სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურასა და ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს (ბასელოუ 1992, ლერერი 1992). ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში აკუმულირებული სტრუქტურები - ფრეიმები. ფრეიმი გააზრებულია როგორც მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის

ერთეული (მინსკი 1986), ფრეიმი წარმოადგენს სტერეოტიპული აღქმის რეპრეზენტაციისათვის საჭირო სქემას, რომელიც იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მრავალფეროვანი ცოდნის გამოსახვის შესაძლებლობას (მინსკი 1993: 14–15, გაინესი 1997: 723-736). სემანტიკური ფრეიმები ქმნიან რეპერტუარულ ბადეს (repertory grid), რომელიც განიხილება ცოდნის ერთგვარ მატრიცად (მასდენი, ლითლერი 2000: 18-26, დანი et al. 1986: 360-372, ფოკონიე 1998: 133-187).

გარე სამყაროს „გართულებასთან“ ერთად, ზვავისებურად იზრდება მისი ფორმალიზების აქსიომათა რაოდენობა. სულ უფრო რთული ხდება აქსიომათა მრავალფეროვნებიდან საკვლევი ფენომენისათვის მაქსიმალურად რელევანტური აქსიომის შერჩევის პროცესი.

ანალოგიური ტიპის სირთულეები იქმნება ამა თუ იმ თეორიული მეთოდის გამოყენებისას, რომლის ფარგლებშიც უნდა წარმოჩინდეს გარე სამყაროს მოდელი. აღნიშნული მოდელი უნდა შეესაბამებოდეს გარე სამყაროს როგორც არსებულ მდგომარეობას, ისე შესაძლო ქმედებებს, რომელთა საშუალებითაც ერთი მდგომარეობა გადადის მეორეში.

პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ შესაძლო გზას წარმოადგენს სამყაროს მოდელში ინტეგრირებულ ცნებათა შორის არსებულ მიმართებათა ანალიზი და გარე სამყაროს პრაგმატიკის გათვალისწინება.

2.3. ფრეიმების თეორია

მარვინ მინსკის ფრეიმების თეორია წარმოადგენს ადამიანის აზროვნების მოდელირების სფეროში ხანგრძლივი კვლევების შედეგს. ფრეიმი ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელია. იგი განიხილება სტერეოტიპული აღქმის წარმოდგენისათვის საჭირო აბსტრაქტულ სახედ (მინსკი 1969, 1972).

ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნობილია აბსტრაქტული სახის ცნება. მაგ. სიტყვის „ოთახის“ ხმამაღლა წარმოთქმა მსმენელებში წარმოქმნის ოთახის სახეს: „საცხოვრებელი ადგილი ოთხი კედლით, იატაკით, ჭერით, ფანჯრებითა და კარით“.

ამ აღწერიდან არაფრის გამოტოვება არ შეიძლება (მაგალითად, თუ არ ვახსენებთ ფანჯარას, მაშინ ეს იქნება საკუჭნაო და არა ოთახი), მაგრამ მასში არის ე.წ. „ხვრელები“ ანუ „სლოტები“ - ეს არის ატრიბუტების შეუვსებელი მნიშვნელობები - მაგალითად, ფანჯრების რაოდენობა, კედლების ფერი, ჭერის სიმაღლე, იატაკის საფარი და ა.შ. ფრეიმების თეორიაში ოთახის ასეთ სახეს ოთახის ფრეიმი ეწოდება.

განასხვავებენ ფრეიმ-პროტოტიპებს, რომლებიც ინახება ცოდნის ბაზაში და ფრეიმ-ეგზემპლარებს, რომლებიც მოწოდებული მონაცემების საფუძველზე რეალური ფაქტიური სიტუაციების ასახვისთვის იქმნება. ფრეიმის მოდელი უნივერსალურია. იგი იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მთელი ცოდნის მრავალფეროვნების გამოსახვის შესაძლებლობას რამდენიმე საშუალებით:

- ფრეიმები – სტრუქტურები გამოიყენება ობიექტების და ცნებების აღსანიშნავად (მაგ. გირაო, სესხი, ვექსილი)
 - ფრეიმები – როლები (მენეჯერი, მოლარე, კლიენტი);
 - ფრეიმები – სცენარები (მაგ. აქციონერთა შეკრება, ვიზიტი რესტორანში);
 - ფრეიმები – სიტუაციები (განგაში, ავარია, მოწყობილობის სამუშაო რეჟიმი).
- განვიხილოთ ფრეიმ-სცენარის მაგალითი ცნებისათვის „კომერცია“.

დავუშვათ, გვაქვს ორი ფრეიმი:

1. A კომპანიას აქვს X პროდუქტი, B კომპანიას – Y ფული.
2. B კომპანიას სჭირდება X პროდუქტი, A კომპანიას -Y ფული.

კომერციული სტრატეგიის აღწერისათვის საჭიროა სცენარში ორი ფრეიმით ვაჭრობის ძირითადი წესების ასახვა, ე. ი. იმისათვის, რომ A კომპანიამ დააინტერესოს B კომპანია (იყიდოს რაც შეიძლება მეტი X პროდუქტი ან გადაიხადოს მეტი Y ფული), მან უნდა გამოიყენოს შემდეგი ტაქტიკა:

- შესთავაზოს მეტი X პროდუქტი გადახდილ თანხაში;
- აუხსნას მყიდველს X პროდუქტის სარგებლობა;
- რეკლამა გაუწიოს თავის პროდუქტს;
- აფიქრებინოს B კომპანიას, რომ მისი პროდუქტით სხვა კომპანიებიც არიან დაინტერესებულები და ა. შ.

სლოტის მნიშვნელობის სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა ფრეიმი, ასე იქმნება ფრეიმების ქსელი. ფრეიმების უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს თვისებების მემკვიდრეობითობა. ფრეიმებში მემკვიდრეობითობა ხორციელდება AKO კავშირებით (A-Kind-Of). სლოტი AKO მიუთითებს იერარქიულად უფრო მაღალ დონეზე მდგომ ფრეიმზე.

შესაძლებელია ცოდნის კლასიფიკაცია შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- ზედაპირული ცოდნა – ცოდნა საგნობრივ სფეროში ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის არსებულ თვალსაჩინო ურთიერთკავშირებზე; (ზედაპირული ცოდნა - „თუ გტკივათ თავი, უნდა მიიღოთ ტკივილგამაყუჩებელი“);
- ღრმა ცოდნა – მოცემულ საგნობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველი აბსტრაქციები, ანალოგიები და სქემები. ასეთი ცოდნა ხსნის ამა თუ იმ მოვლენას და მისი გამოყენება შეიძლება ობიექტების ქცევის პროგნოზირებისათვის (ღრმა ცოდნა - ექიმის ცოდნა თავის ტკივილის მიზეზებზე, თავის ტკივილის სახეებზე და მათი მკურნალობის მეთოდებზე)

მარვინ მინსკის ფრეიმების თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ურთულეს საკითხს ცოდნის წარმოდგენის პრობლემა წარმოადგენს (მინსკი 1972).

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სირთულე აიხსნება აზროვნების მექანიზმთა შესახებ არსებული ცოდნის სიმწირით.

სამყაროს მოდელში ინტეგრირებულ ცნებათა შორის არსებულ მიმართებათა და გარე სამყაროს პრაგმატიკთაა აღბეჭდილი რ. შენკის „სემანტიკური დამოკიდებულების“ (conceptual dependency) (შენკი 1972), ჯ. უილკსის „პრეფერენციული სემანტიკის“ და ჩ. რიგერის „სემანტიკურ ზედდებათა“ (conceptual overlays) თეორიები (ვილკსი 1973, რიგერი 1975: 138-153).

და მაინც, უკანასკნელ წლებში შექმნილ ნაშრომთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მ. მინსკის „ფრეიმების თეორია“ აღმოჩნდა - მან მიიქცია ხელოვნური ინტელექტის სფეროში მომუშავე მკვლევართა ყურადღება: რ. შენკი, რ. აბელსონი, ჯ. მაილოპულოსი, პ. კოენი, ა. ბორჯიდა, ლ. შუგარი და სხვ.

თავის თეორიაში მ. მინსკიმ უარი თქვა სამყაროს მოდელის ცალკეული ფაქტებისა და ცნებების საფუძველზე ფორმირების მცდელობაზე. მისი თვალსაზრისით, რეალური სამყაროს მოდელს უნდა ეფუძნებოდეს მონაცემთა - ფრეიმების ერთობლიობას. მეცნიერი ფრეიმს განსაზღვრავს როგორც სტერეოტიპული (ხშირად განმეორებადი) სიტუაციის მოდელს. აქ სიტუაცია განიმარტება განზოგადებული მნიშვნელობით - სიტუაცია, შესაძლოა, იყოს ქმედება, მსჯელობა, ვიზუალური ხატი, თხრობა და ა.შ.

ფრეიმი წარმოადგენს არა ერთ კონკრეტულ სიტუაციას, არამედ ერთი კლასისადმი განკუთვნილ სიტუაციათა ძირითად მახასიათებელთა ერთობლიობას. ინგლისურ ენაზე "frame" ნიშვანს ჩონჩხს, ჩარჩოს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ფრეიმში წარმოდგენილ, მოდელირებადი ფენომენის შესახებ არსებულ მონაცემთა ერთობაზე. გრაფიკულად ფრეიმის გამოსახვა შესაძლებელია ქსელის სახით, რომელიც შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან. ყოველი კვანძი წარმოადგენს გარკვეულ ცნებას, რომელიც შეიძლება იყოს და არც იყოს წარმოდგენილი ნათლად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი შესაძლოა, დაკონკრეტდეს მოცემული ფრეიმის რომელიმე კონკრეტულ სიტუაციასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით. არაცხადი ფორმის მქონე კვანძებს ტერმინალები ეწოდება. ისინი ქმნიან გრაფიკული სტრუქტურის ქვედა დონეს, ხოლო ზედა დონეზე განლაგებულია ცნებები, რომელიც ყოველთვის რელევანტურია ფრეიმით წარმოდგენილი სიტუაციისათვის. ამრიგად, ნათლად წარმოდგენილ კვანძთა ერთობლიობა ქმნის ფრეიმით წარმოდგენილი სიტუაციის „გაგების“ საფუძველს. „გაგება“ ხორციელდება ტერმინალების კონკრეტიზაციის, ასევე ტერმინალთა რეალურ სამყაროში არსებულ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით. უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს სხვადასხვა ფრეიმის მიერ ერთი და იმავე ტერმინალების გამოყენება, რაც იძლევა სხვადასხვა წყაროდან მოძიებული ინფორმაციის კოორდინირების შესაძლებლობას. ერთმანეთთან კავშირში მყოფ ფრეიმთა ჯგუფები ერთიანდებიან სისტემაში, რომელთაც ძალუბთ ქმედების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და თვალსაზრისთა ცვლილებების ასახვა.

თავის თეორიაში მ. მინსკი მიიჩნევს, რომ ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში შენახული მატერიალიზებული, მონაცემთა მრავალრიცხოვანი სტრუქტურა - ფრეიმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს ხატს (ვიზუალური ხატის ფრეიმი), ესმის სიტყვა (სემანტიკური ფრეიმი), მსჯელობს, მოქმედებს (ფრეიმი-სცენარი), ახორციელებს ნარაციას და ა.შ. „გაგების“ პროცესს თან ახლავს მეხსიერებაში შესაბამისი ფრეიმის აქტივიზაცია და მისი ტერმინალების დაკავშირება მიმდინარე სიტუაციასთან. წარუმატებლობის შემთხვევაში, მეხსიერებიდან ინფორმაციის ძიების ქსელის მეშვეობით ხდება სხვა ფრეიმის შერჩევა, რომლის ტერმინალებიც, შესაძლოა, აღმოჩნდეს ერთმანეთთან შესაბამის ურთიერთობაში სიტუაციის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ფრეიმების თანმიმდევრული ჩანაცვლების პროცესი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ადამიანის აზროვნების ისეთ სფეროებში, როგორცაა ბუნებრივი ენის გაგება, მსჯელობა, დასკვნის გამოტანა და ა.შ. ეს გამომდინარეობს ჩვენი ინტუიციური წარმოდგენიდან აზროვნების პროცესის შესახებ, რომელიც იწყება ხატებიდან, მიდის აზრებამდე; შემდეგ ნაკლებ კარგი აზრი იცვლება უკეთესით, მაგარამ მაინც არასრულყოფილი იდევით.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნის წარმოდგენის პრობლემისადმი მინსკისეული მიდგომა არ არის უხარვეზო. კერძოდ, ადამიანს ესმის არა მხოლოდ ცნობილი, არამედ ახალი სიტუაციებიც, რომელთა მიმართაც ფრეიმს არ განუცდია ადაპტაცია.

2.4. ცოდნა და მისი რეპრეზენტაციის მოდელები

ცოდნა დაფუძნებულია ემპირიული გზით მიღებულ მონაცემებზე. იგი წარმოადგენს ადამიანის გონებრივი მოქმედების შედეგს, რომელიც მიმართულია მისი პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილების განზოგადებისკენ (ქეროლი 2000).


ცოდნა გულისხმობს პრაქტიკული საქმიანობისა და გამოცდილების საფუძველზე მიღებულ საგნობრივი სფეროს კანონზომიერებებს (პრინციპები, კავშირები, კანონები) (კენდელი, სიმონი, გრინი 2007).

დამუშავებისას ცოდნა ტრანსფორმაციის სხვადასხვა ეტაპს გადის:

1. ცოდნა ადამიანის მეხსიერებაში, როგორც აზროვნების შედეგი;
2. ცოდნის მატერიალური მატარებლები (მაგალითად, წიგნები);
3. ცოდნის ველი - საგნობრივი სფეროს ძირითადი ობიექტების, მათი ატრიბუტებისა და დამაკავშირებელი კანონზომიერებების პირობითი აღწერა (შრაიბერი et al. 2000);
4. ცოდნის წარმოდგენის ენებზე აღწერილი ცოდნა (პროდუქციული ენები, სემანტიკური ქსელები, ფრეიმები) (ადელი 1994).

სხვადასხვა საგნობრივი სფეროსათვის ცოდნის წარმოდგენის ათეულობით მოდელი ან ენა არსებობს. მათი უმეტესობის დაყვანა შესაძლებელია ისეთ კლასებად, როგორცაა: (იხ. სქემა 1)


სქემა 1. ცოდნის წარმოდგენის მოდელები



(იანგი,ინი,ლინგი, პენი 2007).

ფრეიმის კონტექსტში ცოდნის მახასიათებლებს წარმოადგენს მთელ რიგ კრიტერიუმთა ერთობლიობა (იხ. სქემა 2).

სქემა 2. ფრეიმის კონტექსტში ცოდნის მახასიათებლები



მოდალურობა გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიაში მისი არსებობის შესაძლებლობას, კანონზომიერებათა ერთი ნაწილი შესაძლებელია, მეორე აუცილებელია და ა.შ.

უსრულობა დაკავშირებულია საგნობრივი სფეროს სრულად აღწერის შეუძლებლობასთან. ფრეიმის აგების ამოცანა გულისხმობს ამ უსრულობის "სისრულის" გარკვეული ჩარჩოებით შემოსაზღვრას, სხვა სიტყვებით, საგნობრივი სფეროს საზღვრების მოკვეცას, ისეთი შეზღუდვებისა და დაშვებების შემოტანას, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ფრეიმის ასაგებად.

სისტემურობა გულისხმობს, რომ ნებისმიერ ობიექტს გააჩნია მრავალდონიანი იერარქიული ორგანიზაცია, ნებისმიერი პროცესი და მოვლენა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უფრო წვრილი ქვესიმრავლეების (ნიშნები, დეტალები) სიმრავლე და

პირიქით, ნებისმიერი ობიექტი შეიძლება (და საჭიროა) განხილულ იქნას როგორც განზოგადების უფრო მაღალი კლასის ელემენტები.

რაც შეეხება ობიექტურობის კრიტერიუმს, უნდა ითვას, რომ შემეცნების პროცესი ღრმად სუბიექტურია - იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შემცნობი ობიექტის თავისებურებებზე.

უფრო კორექტულია საუბარი გაგების სიღრმეზე, ვიდრე ცოდნის ობიექტურობაზე. რაიმეს გაგება რთული და არაერთმნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ადამიანის შემეცნების სიღრმეებში ხორციელდება და მოითხოვს მისი ყველა ინტელექტუალური და ემოციური უნარის მობილიზაციას.

ისტორიზმის კრიტერიუმი დაკავშირებულია განვითარებასთან. აწმყოს შეცნობა მისი წარმომშობი წარსულის შეცნობას გულისხმობს.

ცოდნის სტრუქტურირების ფაზების გამოყოფა საკმაოდ პირობითია. სტრუქტურირების მეთოდოლოგია ახლოსაა რთული სისტემების თანამედროვე თეორიასთან.

იერარქიული მიდგომა - რთული სისტემების დაპროექტება და ინფორმაციის სტრუქტურირების მეთოდები ტრადიციულად იერარქიულ მიდგომას იყენებდნენ, როგორც ფორმალურად აღწერილი სისტემის დონეებად (ბლოკებად ან მოდულებად) დანაწევრების მეთოდოლოგიურ ხერხს. იერარქიის უფრო მაღალ დონეებზე გამოიყენება მეტ-ნაკლებად დეტალიზებული წარმოდგენები, რომლებიც ასახავენ დასაპროექტებელი სისტემის მხოლოდ ყველაზე ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებს. მომდევნო დონეებზე დეტალიზების ხარისხი იზრდება.

სემანტიკური ქსელებისათვის დამახასიათებელია მიმართებათა ისეთი ტიპების არსებობა, როგორიცაა:

- კლასი – კლასის ელემენტი (ყვავილი – ვარდი);
- თვისება – მნიშვნელობა (ფერი-ყვითელი);
- კლასის ელემენტის ეგზემპლარი (ვარდი – ჩაის ვარდი)

სემანტიკურ ქსელებში ცნებებს შორის არსებული მიმართება შემდეგნაირია:


- „ნაწილი – მთელი” ტიპის კავშირები („ქვეკლასი – კლასი”, „ელემენტი – სიმრავლე”);
- ფუნქციონალური კავშირები (ჩვეულებრივ განისაზღვრება ზმნებით „ქმნის”, „გავლენას ახდენს”...);
- რაოდენობრივი კავშირები (მეტი, ნაკლები, ტოლი);
- სივრცითი (შორს, ახლოს, უკან, ქვეშ, ზემოთ. . .);
- დროითი (ადრე, გვიან, განმავლობაში . . .);
- ატრიბუტული კავშირები (თვისების ქონა, მნიშვნელობის ქონა);
- ლოგიკური კავშირები (და, ან . . .);
- ლინგვისტური კავშირები და ა. შ (გავრილოვა 2000).

რთული სისტემების დაპროექტებისადმი არსებული მიდგომები შეიძლება ორ დიდ კლასად დაიყოს:

- სტრუქტურული (სისტემური) მიდგომა ან ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია დეკომპოზიციის იდეაზე, სადაც სისტემის თითოეული მოდული წარმოადგენს საერთო კონსტრუქტის უმნიშვნელოვანეს ელემენტს;
- ობიექტური მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია ობიექტების დეკომპოზიციასა და გამოყოფასთან. ამასთან, თითოეული ობიექტი განიხილება როგორც განსაზღვრული კლასის ეგზემპლარი.

ობიექტური (ობიექტზე – ორიენტირებული) მიდგომა ეფუძნება ისეთ ელემენტარულ ცნებებს, როგორცაა: ობიექტები, კლასები, როგორც ობიექტები და იერარქიათა თვისებების მემკვიდრეობითობა (იხ. სქემა 3).

სქემა 3. ობიექტურ-სტრუქტურული მიდგომის ძირითადი პოსტულატები



- სისტემურობა (ურთიერთკავშირი ცნებებს შორის);
- აბსტრაქცირება (ცნებების არსებითი მახასიათებლების გამოვლენა);
- იერარქია (რანჟირება აბსტრაქციის მოწესრიგებულ სისტემადად);
- ტიპიზება (ცნებების კლასის გამოყოფა ქვეკლასებში თვისებების ნაწილობრივი მემკვიდრეობითობით);
- მოდალურობა (დაყოფა ქვეკლასებად).

დასკვნის სახით შეიძლება, ითქვას, რომ ფრეიმი წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ იერარქიზირებულ, ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციის მომცველ ერთეულს, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან.

2.5. ფრეიმთა სისტემის თავისებურებები

რამდენადაც ფრეიმი შეიძლება წარმოვიდგინოთ ქსელის სახით, რომელიც შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან, ამდენად თითოეული კვანძი უნდა იყოს შევსებული თავისი „მისიით“ - დავალებით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული სიტუაციის ტიპური მახასიათებლებით.

ზოგადად ფრეიმებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე, ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფი დონე. ზედა დონის კვანძები თავისი ბუნებით ზოგადია - ისინი ყოველთვის „სწორია“-ტიპურია კონკრეტული სიტუაციისათვის. ეს კვანძები ყოველთვის შევსებულია „დავალებით“. ფრეიმის ყველაზე მაღალი დონის კვანძი, ჩვეულებრივ, შევსებულია თავად სიტუაციის სახელწოდებით - ვიზუალური ხატის სახელწოდებით.

ქვედა დონის კვანძები მეტწილად შეუვსებელია „დავალებით“. ამ ტიპის ცარიელ კვანძებს ტერმინალები ეწოდება. ისინი უნდა შეივსოს კონკრეტული მონაცემებით, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ფრეიმის კონკრეტულ სიტუაციასთან ადაპტირების პროცესში გაჩენილ, შესაძლო დავალებას.

ფრეიმების ჯგუფი, შესაძლოა, გაერთიანდეს ფრეიმთა სისტემაში. ქმედებათა შედეგები აისახება სისტემის ფრეიმთა შორის არსებულ მიმართებათა ტრანსფორმაციით.

ვიზუალური ხატის შემთხვევაში სისტემის სხვადასხვა ფრეიმი აღწერს სურათს დაკვირვების სხვადასხვა წერტილიდან, ხოლო ერთი ფრეიმის მეორე ფრეიმად ტრანსფორმაცია ასახავს ფენომენტა „გადაადგილების“ შედეგს. სისტემის არავიზუალური ფრეიმებს შორის არსებული განსხვავებამ, შესაძლოა, ასახოს ქმედება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და თვალსაზრისის ცვლილება. სისტემის სხვადასხვა ფრეიმები იყენებს ერთი და იმავე ტერმინალებს. სწორედ აღნიშნული ფაქტი უზრუნველყოფს რეალური სამყაროს მოდელის შექმნას. ფრეიმული მიდგომის მახასიათებელს წარმოადგენს პროგნოზის, მოლოდინისა და ვარაუდის სხვადასხვა ტიპის გამოყენების შესაძლებლობა.

ამდენად ფრეიმი მოიცავს მრავალ დეტალს, რომელთა არსებობა, შესაძლოა, არ დადასტურდეს მოცემული სიტუაციით. აღნიშნული ტიპის დეტალები „არამყარადაა“ მიბმული ტერმინალებს, რაც იწვევს მათ ჩანაცვლებას კონკრეტული სიტუაციისათვის ბევრად ადეკვატური „დავალებებით“.

სიტუაციის წარმოდგენისათვის ადეკვატური ფრეიმის შერჩევის შემდეგ ხდება ფრეიმის მისადაგება კონკრეტულ სიტუაციასთან, რაც გულისხმობს ფრეიმის ტერმინალებისათვის იმ „დავალებათა“ განსაზღვრას, რომელიც შეესაბამება

ტერმინალთა მარკერებს. აღნიშნული პროცესი კონტროლირდება ნაწილობრივ ფრეიმთან დაკავშირებული ინფორმაციით (რომელიც იძლევა უჩვეულო სიტუაციების - „სიურპრიზების“ არსებობის შემთხვევაში ქმედებათა გათვლის შესაძლებლობას), ნაწილობრივ კი - არსებულ მიზანთა ცოდნით.

იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება შერჩეული ფრეიმის რეალობასთან მისადაგება, გამოიყენება ინფორმაციის ძიების ქსელი, რომლის მეშვეობითაც ხდება სისტემის ფრეიმთა ერთმანეთთან დაკავშირება. აღნიშნული ქსელი იძლევა ფაქტებისა და ანალოგიების შესახებ არსებული ცოდნის წარმოდგენის სხვა საშუალებათა იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს ფრეიმის რეალობასთან მისადაგებას.

მ. მინსკის მიერ ჩამოყალიბებული თეორია ფრეიმების მეშვეობით ცოდნის წარმოდგენის შესახებ პრეტენზიას აცხადებს ადამიანის აზროვნების თავისებურებათა ახსნაზე. ავტორის თვალსაზრისით, აღნიშნული თეორია კრავს და ერთიან კონცეფციად წარმოადგენს სხვადასხვა თეორიას. ფრეიმების თეორია აერთიანებს ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკისა და ხელოვნური ინტელექტის მრავალ კლასიკურ და თანამედროვე თეორიას. ფრეიმების თეორიის მეშვეობით ხდება ხელოვნური ინტელექტის სფეროში განხორციელებულ კვლევათა შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადება (მინსკი 1993: 269).

თავის თეორიაში მ. მინსკი არ მიჯნავს ერთმანეთისაგან თეორიებს ადამიანის აზროვნებისა და ხელოვნური ინტელექტის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ადამიანის აზროვნების პროცესი ეფუძნება მის მეხსიერებაში გარკვეული სახით მატერიალიზირებულ, ფრეიმების უზარმაზარ კომპლექტს, რომელის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს ვიზუალურ ხატებს (ვიზუალური ხატების ფრეიმები), ესმის სიტყვები (სემანტიკური ფრეიმები), ქმედებები (ფრეიმი - სცენარი), თხრობა (ფრეიმი - მოთხრობები) და ა.შ. გაგების პროცესს თან ახლავს მეხსიერების არსენალიდან შესაბამისი ფრეიმების შერჩევა, რომელთა ტერმინალები უკვე შევსებულია დავალებებით და ადაპტირებულია კონკრეტულ სიტუაციასთან. ადაპტირების პროცესის წარუმატებლობის შემთხვევაში ძიების შედეგად ხდება კონკრეტული სიტუაციისათვის ადეკვატური ფრეიმის შერჩევა (მინსკი 1972: 145).

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფრეიმების მეშვეობით წარმოადგენა ბუნებრივი ენის გაგების მექანიზმთა არსის გააზრების საკმაოდ ეფექტური საშუალებაა.

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნა წარმოადგენს გარკვეულ უნივერსალურ ფრაგმენტთა ერთობას, რომლიდანაც ახალი ფრეიმების სისტემის ფორმირებაა შესაძლებელი.

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის „შენებას“ მ. მინსკი გვთავაზობს ფრეიმ-სცენარების მეშვეობით. ფრეიმ-სცენარები წარმოადგენს რაიმე სახის ქცევის ან მოვლენის აღქმის ტიპურ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ქცევის ან მოვლენის სრულყოფილი გააზრებისათვის საჭირო ელემენტებს.

საგანთა არსის გააზრებასთან დაკავშირებით ჩნდება შეკითხვები. აღსანიშნავია, რომ შეკითხვათა რაოდენობა, რომელიც უკავშირდება ფრეიმებს, შესაძლოა, ძალიან დიდი იყოს.

სხვადასხვა ადამიანს ერთიადიმავე სიტუაციასთან მიმართებაში შეუძლია განსხვავებული რაოდენობის შეკითხვების დასმა. შეკითხვათა რაოდენობა დახასიათი უმეტესად ამა თუ იმ ინდივიდის ცოდნის ბაზაზეა დამოკიდებული.

ცოდნის საჭირო ბაზის არსებობის შემთხვევაში სიტუაციის გასაგებად ჩვეულებრივ საკმარისია შეკითხვათა არც თუ ისე დიდი რაოდენობა. ეს ის პრინციპული გარემოებაა, რისი წყალობითაც გარკვეულ შეკითხვებზე პასუხის მიღების შედეგად შესაძლებელია რეალურ სიტუაციათა უდიდესი ნაწილის აღქმა. ეს ფაქტი ადასტურებს ფრეიმების მეშვეობით სამყაროს შედარებით მარტივი მოდელების კონსტრუირების შესაძლებლობას.

თითოეული ფრეიმი შეესატყვისება ერთ შესაძლო სიტუაციაზე დაფუძნებულ აზრს, რომელიც ფრეიმების სისტემას წარმოადგენს. სისტემის განსხვავებული კატეგორიის ფრეიმები საერთო ტერმინალებზე არსებულ ერთი და იმავე ინფორმაციის გამოყენების განსხვავებულ გზებს წარმოადგენს.

რ. შენკისა და რ. აბელსონის თვალსაზრისით, სცენარი წარმოადგენს ქმედების შედეგს, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ტიპური სიტუაციები აღწერს. ამ თანამიმდევრობაში გამოიყენება კაუზალური კავშირის პრინციპი, სხვა სიტყვებით,

თითოეული ქმედების შედეგი ის პირობებია, რომელთა დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს შემდგომ ქმედებას (შენკი, აბელსონი 1975: 245).

ყოველ სცენარს გააჩნია როლის შემსრულებელი. არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაცია, რომელიც განსხვავებულ შემსრულებელთა აზრს ასახავს. ინტერპრეტაციები წარმოადგენს ფრეიმების სისტემას.

შესაძლო სიტუაციების გამომხატველი სცენარების რაოდენობა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში გვხდება, საკმაოდ დიდია.

ხშირია მოქმედებათა ჩვეულებრივი თანამიმდევრობის დარღვევის შემთხვევები. არსებობს დარღვევათა სამი სახეობა: პირველი - ეს არის გადახვევა, გადახრა, რომელიც წარმოადგენს ქმედებათა თანამიმდევრობის სცენარის სხვა სცენარით გაწყვეტას; დანარჩენი ორი შემთხვევა კი წინააღმდეგ ან შეცდომად განიხილება.

დაბრკოლება ჩნდება მაშინ, როდესაც ვინმე ან რაიმე ხელს უშლის მოქმედებას ან არ არსებობს ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად აუცილებელი და საკმარისი პირობა.

შეცდომა ჩნდება მაშინ, როდესაც ქმედება არ სრულდება ისე, როგორც საჭიროა. პრინციპში, თითოეული ელემენტარული ქმედების სცენარის შემდგომ შესაძლოა, გაჩნდნენ წინააღმდეგობები და შეცდომები, ამიტომაც სცენარში რთავენ ისეთ შეკითხვას, როგორცაა: „რა მოხდება, თუ ...?“ შეკითხვაზე პასუხის მიღების შემთხვევაში სცენარში ჩნდება ახალქმედებათა განხორციელების შესაძლებლობა, რაც განიხილება როგორც წინააღმდეგობისა და შეცდომების დაძლევის გზად.

ამრიგად, სცენარი წარმოადგენს არა მხოლოდ მოვლენათა ჯაჭვს, არამედ იგი კაუზალურ მოვლენათა ჯაჭვთანაა დაკავშირებული. მას შეუძლია განშტოება მრავალ შესაძლო გზად. ეს გზები სცენარი ტიპურ წერტილებში-ელემენტალურ ქმედებებში ერთიანდებიან.

მ. მინსკისა და რ. შენკის თვალსაზრისით, სცენარის აღწერილობიდან გამომდინარე, სცენართა შორის ანალოგიის დადგენა სირთულეს არ წარმოადგენს. სცენარს სტერეოტიპული სიტუაციები აღწერს (მინსკი 1986: 56).

ფრეიმ-სცენარის ფორმირების ერთ-ერთი ხერხი ითვალისწინებს მის იერარქიულ სტრუქტურაში არსებული ქსელის სახით წარმოდგენას. ქსელის ყველაზე მაღალი დონის კვანძი გაიგივებულია სცენარის სათაურთან. ამ ქსელის შვილობილი სიმალეები წარმოადგენს ფრეიმის ტერმინალებს. ტერმინალის ნებისმიერი შესაძლო დავალება თავის ტერმინალებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, განიხილება როგორც მეორე დონის ფრეიმი (სუბფრეიმი). აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ფრეიმისა და სუბფრეიმის ტერმინალები ასოცირდებიან მოქმედებასთან, რომელიც წარმოადგენს ყველა ქცევის განზოგადებულ სახეს და განისაზღვრება ტერმინალის შესაძლო დავალებების საფუძველზე. საკმაოდ ეფექტურია ფრეიმ-სცენარის აღმწერის განზოგადება „ქმედებათა სქემის“ მეშვეობით. აღნიშნული სქემა განსაზღვრავს ქმედების სტრუქტურის მხოლოდ და მხოლოდ ზოგად ვერსიას, რომელშიც არ არის კონკრეტულად განსაზღვრული მოქმედი პირები, ქმედების საშუალებები, ქმედების ადგილი, მაგალითად: X უნდა ჩავიდეს V-ში, სადაც X-ს შეუძლია ნებისმიერ კონკრეტულ ადამიანად ყოფნა, ხოლო V-ს - ნებისმიერ კონკრეტულ ადგილად. რამდენადაც დაბალია სიმალლე იერარქიული თვალსაზრისით, მით უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს იგი ქმედებას.

ადამიანის მეხსიერებაში არსებული ფრეიმთა არსენალიდან რეალური სიტუაციისათვის მაქსიმალურად ადეკვატური ფრეიმის შერჩევის პროცესი საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ რეალობის ადეკვატურ აღქმას. ფრეიმი „მორგებულია“ რეალობას, თუ იგი ინტეგრირებულია უფრო მსხვილ ფრეიმში ტერმინალის დავალების სტატუსით და თუ მისი ტერმინალები დავალებებითაა სავსე.

აღქმისა და მსჯელობის პროცესში საკვანძო სიტყვები, იდეები და ხატის ელემენტები მეხსიერებიდან სხვადასხვა ფრეიმების ერთობას იწვევენ. შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ მეხსიერების არსენალიდან თავდაპირველად შერჩეულ სუბფრეიმთა ნაწილი რეალობას არ შეესაბამება. ასეთ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ელემენტების ჩანაცვლება უფრო ადეკვატური სუბფრეიმებით. კონკრეტულ შემთხვევაში „ადეკვატურობა“ გულისხმობს ზემოხსენებულ პირობათა დაკმაყოფილებას.

ფრეიმი წარმოადგენს სტერეოტიპული სიტუაციის მონაცემთა რეპრეზენტაციის სტრუქტურას. თითოეულ ფრეიმთან ასოცირდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია.

ფრეიმის წარმოდგენა შესაძლებელია ქსელის სახით, რომელიც შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირისგან. ფრეიმის „მაღალი დონეები“ მკაფიოდაა განსაზღვრული, რამდენადაც ფორმირებულია იმ ცნებებით, რომლებიც ყოველთვის მართებულია მოცემულ სიტუაციასთან მიმართებაში. უფრო დაბალ დონეებზე განლაგებულია სპეციფიკური სიმაღლეები–ტერმინალები, რომლებიც ივსება სპეციფიკური (არასტერეოტიპული) მონაცემებით.

სემანტიკურად მსგავს ფრეიმთა ჯგუფები ფრეიმთა სისტემაში ერთიანდებიან. განსხვავებული ფრეიმები დამკვირვებლის განსხვავებულ პოზიციებს შეესაბამებიან.

2.6. კონცეპტი და ფრეიმი

კონცეპტის არსის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე ლინგვისტიკაში. საფიქრებელია, სწორედ ეს არსი მიზეზი იმ ფაქტისა, რომ კვლევის ეს სფერო ხასიათდება თვალსაზრისთა მრავალფეროვნებით. აღნიშნულმა მრავალფეროვნებამ გამოიწვია ტერმინოლოგიის დიფუზურობა. და მაინც, „კონცეპტი“ დამკვიდრდა კოგნიტივისტიკის, სემანტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის ცნებობრივ აპარატში (კარასიკი 2004: 245).

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თუ ენა წარმოადგენს სამყაროს ხედვის ხერხს, მაშინ აუცილებელია „ადამიანთა გამოცდილების ამსახველი თეორიის შექმნა“. ცოდნა ინახება ცნობიერებაში სხვადასხვა ხარისხის აბსტრაქციის მქონე აზრობრივი სტრუქტურების, კერძოდ, ფრეიმების, სკრიპტების, გემტალტების ან კონცეპტების სახით.

კონცეპტი, როგორც ტერმინი, ხასიათდება განმარტებათა მრავალფეროვნებით: ერთნი თვლიან, რომ კონცეპტი აზროვნების კატეგორიაა, რომელიც არ გვეძლევა უშუალო დაკვირვებაში. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს მისი სხვადასხვაგვარად

განმარტების შესაძლებლობას (პეპოვა 2002: 322). ზოგი მეცნიერის თვალსაზრისით, ცნება არის ის, რაზეც ხალხი თანხმდება. ხალხი აგებს ცნებებს იმისათვის, რომ მათ (ხალხს) ჰქონდეს „საერთო ენა“ ... კონცეპტები თავისთავად არსებობენ, ხოლო ხალხი ახდენს მათ რეკონსტრუირებას მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით. ტერმინის „კონცეპტი“ მნიშვნელობა მოიცავს „საწყისი ჭეშმარიტების“ იდეას. კონცეპტი არის ის, რაც „ჩასახულია“ ... ზოგჯერ გაცილებით შედეგიანია საწყის იდეათა ან კონცეპტთა რეკონსტრუირება და ჩამოყალიბებულ წარმოდგენებზე - ძველ კონცეპტებზე - დაყრდნობით ახალ ცნებათა კონსტრუირება (დემიანკოვი 2001: 65-83).

ერთნი კონცეპტს განსაზღვრავენ როგორც „ენისა და აზროვნების დამაკავშირებელ რგოლს, როგორც ცნობიერების ერთეულს და ადამიანის გამოცდილების ინფორმაციულ სტრუქტურას“ (კუბრიაკოვა 1995: 176 – 185). სხვათა თვალსაზრისით კი, კონცეპტი წარმოადგენს „რეალური ან იდეალური სამყაროს საგნის ამსახველ, კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერ დისკრეტულ ერთეულს, რომელიც ინახება ენის მატარებელთა ეროვნულ მეხსიერებაში შემეცნებული და ვერბალურად აღნიშნული სუბსტრატის სახით (ბაბუშკინი 1996: 105).

რაც შეეხება კონცეპტუალურ სფეროს, იგი წმინდა აზრობრივი სფეროა, რომელიც შედგება სქემების, ცნებების, ფრეიმების, სცენარების, გეშტალტებისა და ობიექტური რეალობის ნიშანთა განმაზოგადებელი აბსტრაქტული ფენომენების სახით არსებული კონცეპტებისაგან (პროხოვი 2008: 62-64).

ე. კუბრიაკოვა კონცეპტის სტრუქტურაში გამოიყოფს ცენტრალურ და პერიფერიულ ზონებს, რომლებიც ქმნიან პოლისემიური ლექსემის ძირითად, პირდაპირ ნომინაციურ მნიშვნელობას (კონცეპტის ამოსავალი პროტოტიპული მოდელი) და მის მეორად (წარმოებულ) მნიშვნელობებს. კონცეპტის მთლიანობას უზრუნველყოფს ცენტრისა და პერიფერიის ელემენტთა შორის არსებული კონგიტური კავშირი (კუბრიაკოვა 1995: 175 – 187). კონცეპტი, როგორც ლინგვოკოგნიტური ფენომენი, წარმოადგენს „ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ცნობიერებისა და ინფორმაციული სტრუქტურის, მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ერთეულს; კონცეპტი მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, გონების ენის, ადამიანის

ფსიქიკაში ასახული სამყაროს ხატის ერთეულია, რომელსაც გააჩნია შინაარსობრივი განსაზღვრულობა (კუბრიაკოვა 1995: 172 – 193). კონცეპტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დროში წარმოშობის, წარმოშობის თავისებურებებისა და სემანტიკის მიხედვით. სწორედ ამიტომ გააჩნია კონცეპტს გენეტიკური განსაზღვრულობა“ (სტეპანოვი 1996: 55-56).

კონცეპტი, როგორც ინდივიდის ცნობიერებაში არსებული მენტალური წარმონაქმნი, წარმოადგენს სოციუმის კონცეპტუალური შეღწევის საშუალებას. კონცეპტის ფორმირება გულისხმობს სინამდვილის გამოცდილებისეული შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების პროცესს. კონცეპტის ფუნქციონირების პროცესი კი გულისხმობს იმ ენობრივ საშუალებათა შერჩევასა და გამოყენებას, რომელთა საშუალებითაც, ადრესანტის თვალსაზრისით, შესაძლებელია კონცეპტის აქტივიზაცია ადრესატის შემეცნებაში.

შეჯამების სახით, შესაძლოა, ითქვას შემდეგი: კონცეპტი გააზრებულია როგორც აზროვნების რთული ორგანიზების სტრუქტურა, როგორც სიტყვის შესაძლო მნიშვნელობათა ერთობლიობა. კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს.

კოგნიტოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ისეთი კოგნიტური მოდელები, როგორცაა ფრეიმები და სცენარები.

კონცეპტ-ფრეიმი წარმოდგენლია სიტყვის მნიშვნელობაში. სიტყვა ასოციაციურ კავშირშია სხვა სიტყვებსა და ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან (ბოლდირევი 2001 : 49).

ფრეიმის თაობაზე არსებულ მოსაზრებათა შეჯამების გზით, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი განმარტება: ფრეიმი წარმოადგენს მოცულობით, მრავალკომპონენტიან კონცეპტს, თემატურად მთლიანობრივ, სტერეტიპულ ცოდნას რაიმე სიტუაციის შესახებ.

რაც შეეხება სემანტიკურ და კონცეპტუალურ ანალიზს შორის არსებულ სხვაობას, იგი შემდეგში მდგომარეობს: სემანტიკური ანალიზი მიმართულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტატური,

სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების იდენტიფიცირებაზე, კონცეპტუალური ანალიზი კი გულისხმობს იმ კონცეპტთა ძიებას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას (კუბრიაკოვა 173: 97).

სემანტიკური ანალიზის მიზანი სიტყვის ახსნაა, კონცეპტუალური ანალიზისა კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაცია.

ლექსემას ახასიათებს სემანტიკა, კონცეპტს კი - შინაარსი. ლექსემათა სემანტიკა იყოფა სემანტიკურ კომპონენტებად, კონცეპტის შინაარსი კი - კონცეპტუალურ ნიშნებად. ანალიზი, რომელიც მიმართულია „სიტყვის სემანტიკიდან კონცეპტის შინაარსისაკენ“ უზრუნველყოფს კონცეპტუალური ნიშნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

თეორიულ ლინგვისტიკაში სიტყვის მნიშვნელობისა და ცნების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე რთულია.

ვ. ა. ზვეგინცევი შემდეგნაირად ხსნის მნიშვნელობას და ცნებას შორის არსებული განსხვავების საფუძველს: „ცნების ფორმირებაში მონაწილეობას იღებს, ასე ვთქვათ, ორი ძალა: საგანი და აზროვნება, ხოლო სიტყვის ფორმირებაში კი - სამი ძალა: საგანი, აზროვნება და ენის სტრუქტურა (ზვეგინცევი 1960: 197). არსებობს თვალსაზრისი, რომ მნიშვნელობები გარკვეულწილად დამოუკიდებელია ენისგან. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც: ენობრივი საშუალებების მნიშვნელობები ტოლია მათში გამოხატული კონცეპტუალური სტრუქტურებისა. თუმცა, ორივე თვალსაზრისი თანხმდება იმაში, რომ დასაშვებია მნიშვნელობა „გაიგივდეს კონცეპტთან“ (ბოლდივერი 2001 : 26). ე. ს. კუბრიაკოვა თვლის: სიტყვის მნიშვნელობა - ეს არის კონცეპტი „დაჭერილი ნიშნით“ ნიშანი კი - სიტყვა (კუბრიაკოვა 2001: 28-34).

კოგნიტურ ლინგვისტიკაში მნიშვნელობები გააზრებულია როგორც კოგნიტური სტრუქტურები, რომლებიც ჩართულია ცოდნისა და აზრების მოდელებში.

ენობრივი მნიშვნელობები გადმოცემენ სამყაროზე ჩვენი ცოდნის მხოლოდ ნაწილს: ჩვენ ვიყენებთ ენას, რათა გამოვხატოთ ცოდნა ... და მაინც არსებობს აზრები,

რომელთა გადმოცემაც სიტყვებით მეტად რთულია. სამყაროს ენისმიერი გამოხატვის ბირთვს წარმოადგენს სამყაროს ენისმიერი ათვისებისათვის შესაბამისი კატეგორიები. ა. გ. მაქსაპეტიანი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სამყაროს მოდელის განსაზღვრა შესაძლებელია სამი სფეროს ურთიერთქმედების გათვალისწინებით: სამყარო (სამყაროები), ენა, მომხმარებელი (ის, ვინც ენას იყენებს). იგი ამტკიცებს რომ, ერთ კონკრეტულ სამყაროს შეიძლება, შეესაბამებოდეს მხოლოდ ერთი ენა: ენის კონფიგურაციას შეესაბამება სამყაროს კონფიგურაცია. ამასთანავე, თითოეული ენის შინაგანი ლოგიკა ასახავს და გამოხატავს მის მიერვე აღწერილი სამყაროს ბუნებრივ ლოგიკასა და ონტოლოგიას (თვისებების, სტრუქტურის, ორგანიზების პრინციპის, ობიექტთა კონფიგურაციის, ელემენტთა ფუნქციის ა.შ. ჩათვლით), სხვა სიტყვებით, ენა სამყაროსთან იმყოფება სიმეტრიულ, იზომორფულ მიმართებაში (მაქსაპეტიანი 2003: 53-58). მკვლევარი იხმობს სამყაროს აღწერის მაგალითს მექანიკისათვის დამახასიათებელი ტერმინებით (მექანიზმი, ძრავა, მოძრავი და ა.შ.): როცა ვახდენთ სამყაროს მექანიზმად ინტერპრეტირებას, შედეგად ვიღებთ სამყაროს დეტერმინირებულ მოდელს - სამყარო, როგორც მექანიზმი. თუ სამყაროს აღწერთ სამხედრო ენით (ომი, მტერი, გამარჯვება, დამარცხება), მივიღებთ სამყაროს ანტაგონისტურ, მილიტარისტულ მოდელს -სამყარო, როგორც ბრძოლის ველი. იმ შემთხვევაში, თუ ენას აღწერთ თამაშის ენით (მოგება, წაგება), მივიღებთ სამყაროს მოდელს - სამყარო, როგორც სათამაშო მაგიდა, ხოლო როცა სამყაროს აღწერთ ზოოლოგიის ენით (ძუძუმწოვრები, მტაცებელი), ვიღებთ სამყაროს პლურალისტულ, ზოომორფულ მოდელს - სამყარო, როგორც ნადავლი (მაქსაპეტიანი 2003: 53-59).

მოცემულ შემთხვევაში, მკვლევარი კონცენტრირდება მეტაფორულ ექსტრაპოლაციაზე ერთი ენის ფარგლებში, თუმცა ვფიქრობთ, რომ სამყაროს აღქმის მსგავსი დანაწევრება შესაძლებელია სხვადასხვა ენაშიც (მენტალიტეტის, საცხოვრებელი ადგილის, კულტურისა და ა.შ. თავისებურებათა გათვალისწინებით).

სამყაროს სურათის ფიზიკური, ფილოსოფიური და ლინგვისტური ინტერპრეტაცია ქმნის სამყაროს ენისმიერი ხატის ანალიზის საფუძველს. ენა უშუალოდ მონაწილეობს სამყაროს ხატთან დაკავშირებულ ორ პროცესში: პირველი -

ენის წიაღში ფორმირდება სამყაროს ენისმიერი ხატი და მეორე - თავად ენა გამოხატავს ადამიანის სამყაროს სხვა სურათებს. აღნიშნული სურათები შემოდის ენაში სპეციალური ლექსიკით. მათ შემოაქვთ ენაში ადამიანისა და მისი კულტურის მახასიათებლები. ენის მეშვეობით, ინდივიდების გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა გარდაიქმნება ენობრივი კოლექტივის მონაპოვრად, კოლექტიურ გამოცდილებად. ენათმეცნიერება, ადამიანის აზროვნების კვლევაზე ორიენტირებულ სხვა მეცნიერებებთან ერთად, განეკუთვნება ადამიანური ცოდნის იმ სფეროს, რომელიც მჭიდრო კავშირშია ფილოსოფიასთან.

ენა აბსტრაქტული, განზოგადებული აზროვნებისა და ადამიანის შემეცნების რაციონალურ საფეხურია. ამდენად, ენის როლის საკითხი შემეცნების პროცესში წარმოადგენს ნებისმიერი ფილოსოფიური სისტემის გნოსეოლოგიის შემადგენელ ნაწილს.

ლინგვისტიკაში ენის სისტემის განმსაზღვრელი როლის კვლევა აზროვნების სისტემის მიმართ დაკავშირებულია ბ. ჰერდერისა და ვ. ფონ ჰუმბოლდტის სახელებთან. ჰერდერი ენას „ხალხის სარკედ“ მიიჩნევს, ხოლო ჰუმბოლდტი და მისი მიმდევრები თვლიან, რომ ენაში ვლინდება „ერის სულის“ მოღვაწეობა, ენაში ძვეს განსაკუთრებული მსოფლხედვა და აზროვნების თავისებური სტილი.

ენაში ვ. ფონ ჰუმბოლდტი ხედავს ძალას, რომელიც აყალიბებს ერის აზროვნებას. ერის აზროვნებაში ვლინდება მისი ეროვნული სულის თავისებურება. ენა თავად ქმნის სამყაროს ხატს, შესაბამისად, ენათა შორის არსებული სხვაობა წარმოშობს სამყაროზე არსებულ თვალსაზრისთა სხვაობას. ენა წარმოადგენს ერის სულის გამოხატულებას (ჰუმბოლტი 1984: 147).

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში, ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას - იგი ითვისებს უკვე მზა, დორსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას, მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუმს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.

ჰუმბოლდტის ნააზრევი ისტორიულად წინ უსწრებდა სეპირ-უორფის ჰიპოთეზას ლინგვისტური ფარდობითობის შესახებ, თუმცა აღნიშნულმა ჰიპოთეზამ განვითარების გაზა დამოუკიდებლად განვლო. მიიჩნევა რა, რომ ერის დამოკიდებულება სამყაროსადმი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ენობრივ ფორმებზე, სეპირი ცდილობდა, დაემტკიცებინა ერის კულტურის თავისებურების განპირობებულობა ენის თავისებურებით. იგი წერდა: „ჩვეულებრივ, ენის უპირველეს ფუნქციად ურთიერთობის ფუნქციას მიიჩნევენ... მაგრამ ენა, უპირველესად, წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის სიმბოლური ხედვის ტენდენციის რეალიზაციას. სწორედ ამის გამო გახდა ენა ურთიერთობისათვის გამოსადეგი“ (სეპირი 1993: 189-190).

რაც შეეხება სამყაროს ენისმიერი ხატის ლექსიკურ ასპექტს, განიხილავს რა „ენის შინაარსობრივ ელემენტებს“, სეპირი წერს, რომ ლექსიკა ერის კულტურის მეტად მგრძობიარე მაჩვენებელია, ხოლო მნიშვნელობათა ცვლილება, ძველ სიტყვათა დაკარგვა, ახალთა შექმნა ან სესხება დამოკიდებულია თავად კულტურის ისტორიის თავისებურებაზე. ენები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ლექსიკის თავისებურებით. სხვაობა, რომელიც, გვეჩვენება გარდაუვლად, შეიძლება, უგულებელყოფილ იქნას იმ ენების მიერ, რომლებიც ასახავენ აბსოლუტურად სხვა ტიპის კულტურას. ამასთანავე, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, შესაძლოა, ყურადღება მიაქციოს იმ სხვაობას, რომელიც ჩვენთვის გაუგებარია (სეპირი 1993: 195).

პ. ჩესნოკოვი წერს: „ენათა შორის არსებულ მნიშვნელოვან სემანტიკურ სხვაობებზე ნეოჰუმბოლდტიანელები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ენა განსაზღვრავს ადამიანის აზროვნებას და მთლიანად შემეცნებით პროცესს, ჯამში კი, მსოფლხედვასა და სამყაროს მთლიანობრივ სურათს, რომელიც ჩნდება შემეცნებაში. შესაბამისად, სხვადასხვა ენის მატარებელი ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სამყაროს, ქმნიან სამყაროს სხვადასხვა სურათს. ენა არა მხოლოდ განაპირობებს, არამედ ზღუდავს კიდევ ადამიანის შემეცნებით შესაძლებლობებს (ჩესნოკოვი 1989: 65). „სამყაროს ენისმიერი ხატის“ ცნების განხილვისას ინტერესს იწვევს პ. ჩესნოკოვის მოძღვრება სამყაროს სტატიკური და დინამიური სურათების შესახებ. მკვლევარის თვალსაზრისით, სამყაროს სტატიკური სურათი განპირობებულია ენის

წყობით და ფიქსირებულია ლექსიკონში, დინამიური სურათი კი ვლინდება მეტყველებაში, ტექსტებში, მხატვრულ ნაწარმოებებში. „სამყაროს სტატიკური ენისმიერო სურათი (მოდელი) იცვლება ისტორიულად იმ ცვლილებებთან შესაბამისობაში, რომელსაც ადგილი აქვს ენის სისტემაში. მაგარამ ყოველ კონკრეტულ პერიოდში იგი მდგრადია, როგორც ენობრივი სისტემა“ - წერს პ. ჩესნოკოვი. სამყაროს დინამიური ენისმიერი სურათის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ენობრივ სისტემათა, ყველაზე ხშირ შემთხვევაში კი, ლექსიკური სისტემის, გარკვეულ ნაკლთან, რაც გულისხმობს თითოეული მოვლენისათვის მთლიანობრივი, დაუნაწევრებელი ცნების „მიმაგრების“ შეუძლებლობას. პ. ჩესნოკოვი აღნიშნავს, რომ, რამდენადაც განვითარებული და სრულყოფილი არ უნდა იყოს ამა თუ იმ ენის სისტემა, მასში არსებული საშუალებები ვერ აკმაყოფილებს შემეცნების პროცესის მუდმივად განვითარებად და ზრდად მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ, ცოცხალ კომუნიკაციურ და აზროვნების აქტებში, ენობრივ სისტემაში დაფიქსირებული ელემენტები, მათი უსაზღვრო კომბინატორული შესაძლებლობების წყალობით, ქმნიან კონკრეტულ ენობრივ კონსტრუქტთა იმ ტიპის მრავალფეროვნებას, რომელსაც ძალუმს შემეცნებისა და ადამიანის მოღვაწეობის თანამედროვე დონისათვის ხელმისაწვდომი იდეალური შინაარსის, როგორც ობიექტური რეალობის ანარეკლის“, გამოხატვა (ჩესნოკოვი 1989: 63-69). სწორედ ეს წარმოადგენს სამყაროს დინამიური სურათის არსს. სამყაროს დინამიური სურათის რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი პიროვნების (სუბიექტის) ფაქტორს - მისი ცოდნის მარაგსა და პრაგმატიკურ მიზანს.

ლ. ჩურილინა სამყაროს მოდელის კლასიფიკაციაში ერთმანეთისაგან მიჯნავს ადამიანის შემეცნების მიერ ასახულ სამყაროს კონცეპტუალურ სურათს - ობიექტური სინამდვილის სუბიექტურ ხატს (სახეს) და სამყაროს სურათს, როგორც იმ ცოდნის ერთობლიობას, რომელიც ლექსიკონისა და გრამატიკის ოპოზიციების სახითაა დაფიქსირებული (ჩურილინა 2001: 87).

მკვლევარი გამოყოფს ენობრივი სუბიექტის კონცეპტოსფეროებს. ენობრივი სუბიექტის როლში გვევლინება „წარმოსახვითი“ სამყაროს სუბიექტი, როგორც ინდივიდუალური და ტექსტის კონცეპტოსფეროს ერთობლიობა. ტექსტის

კონცეპტოსფერო კი განიხილება ტექსტში რეპრეზენტირებულ ურთიერთდაკავშირებულ კონცეპტთა ერთობლიობა (ჩურილინა 2001: 54-62).

აღნიშნავს რა სამყაროს დინამიური სურათის მნიშვნელოვნებას, პ. ჩესნოკოვი წერს: „მთლიანობაში, სამყაროს სურათი მოიცავს ენის მეშვეობით ასახული ობიექტური რეალობის არა მხოლოდ კონცეპტუალურ (ლოგიკურ) ანაბეჭდს, არამედ ობიექტური რეალობის გრძნობით, ხატობრივ ანაბეჭდაც, რომელიც გენერირებულია უშუალო შეგრძნებების, წარმოდგენებისა და განზოგადებული ანარეკლის (სქემების) მეშვეობით.

სემანტიკური ფრეიმის არსის წვდომისათვის მეტად მნიშვნელოვანია „კოლექტიური მეხსიერების“ ცნება. პიერ ნორას თვალსაზრისით, კოლექტიური მეხსიერება დალექილია ერთობათა აქტიურ გამოცდილებაში (ნორა 1989: 11).

კოლექტიური მეხსიერება მოიცავს ფენომენტა ფართო წრეს: დამახსოვრების ინდივიდუალურ აქტს, ჯგუფურ მეხსიერებას და ნაციონალურ მეხსიერებას თავისი ტრადიციებით. კოლექტიური მეხსიერება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული საერთო ღირებულებები აყალიბებს ინდივიდისა და ჯგუფების განსხვავებულ იდენტობებს.

რაც შეეხება სემანტიკურ ფრეიმში ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერების ელემენტთა დამოკიდებულებას, დაბეჯითებით შეიძლება, ითქვას, რომ სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს კოლექტიური და ინდივიდუალური ცნობიერებით ნიშანდებულ ელემენტთა თანაარსებობის სივრცეს (ბარსელოუ 1992).

სემანტიკური ფრეიმი, როგორც კოლექტიური ცნობიერებისათვის ტიპურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა კომპოზიცია, ეფუძნება ინდივიდუალური ცნობიერებისათვის დამახასიათებელ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა ანალიზის შედეგად გამოვლენილ ზოგად კონოზომიერებებს (ლერერი 1992).

სემანტიკური ფრეიმის აგების პროცესი გულისხმობს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა თანაფარდობის დეტალურ ანალიზს.

ზღუდავს თუ არა ფრეიმული წესრიგი თავისუფალ ინდივიდუალობას? სემანტიკურ ფრეიმები და სცენარები ხასიათდება ინდივიდუალურისა და ზეინდივიდუალურის თანაარსებობით.

ინარჩუნებს თუ არა ესა თუ ის სემანტიკური ფრეიმი თუ სცენარი ვალიდურობას, სხვა სიტყვებით, ჭეშმარიტებას სხვადასხვა დროსა და სივრცეში? იმ ზომით, რა ზომითაც განსხვავებული მოქმედებები თავის თავში რეალობის განსხვავებულ განსაზღვრებებს ატარებენ, ჭეშმარიტება ერთადერთობაზე პრეტენზიას კარგავს - ჭეშმარიტება იმდენივე ხდება, რამდენი პრაქტიკული სიტუაციაც არსებობს: თითოეული თავისებურად მართალი და ჭეშმარიტია მხოლოდ კონკრეტული დროისა და სივრცის ფარგლებში.

სემანტიკურ ფრეიმთა ქსელი წარმოადგენს ცხოვრების, როგორც ხდომილებათა უწყვეტი ნაკადის აღწერას. ამ ნაკადში ხდომილებები იმგვარად ზემოქმედებენ ერთმანეთზე, რომ მათგან ყველაზე მცირე მნიშვნელობის მქონეთ სერიოზული შედეგების გამოწვევა ძალუბთ და წინასწარ რაიმეს ტრივიალურად (უმნიშვნელოდ) ჩათვლა შეუძლებელია (ჯაკენდოფი 1992: 83-97).

სემანტიკურ ფრეიმთა ქსელი შეიძლება განვიხილოთ „მორალური წესრიგის“ ერთგვარ კონსტრუქტად, რომელიც წარმოადგენს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური არსებობის მყარი და ყოვლისმომცველი საფუძველის მანიფესტაციას (ნიუველი 1990). მორალური წესრიგი ფაქიზი, მყიფე, ცვალებადი, მოულოდნელი სიცარიელებით სავსე, შეუსვენებელი განახლებების მომთხოვნი წესრიგია. ყველა სოციალურ სიტუაციაში ინდივიდი ვალდებულია თავისი „მე“-ს პროექტირება მოახდინოს, რომელიც „პოზიტიური ღირებულების“ სახით გვევლინება. „მე“-ს სახე წარმოადგენს კიდევ „სახეს“ და ადამიანები ძალ - ღონეს არ იშურებენ, რათა შეინარჩუნონ როგორც საკუთარი, ისე სხვა ადამიანების „სახე“. „სახის“ შენარჩუნების თაობაზე არსებობს საერთო შეთანხმება. „სახის დაკარგვა“ ანგრევს მთელ ხდომილებას. სახეს ჩვენი ქმედებები ჩვენს მიერ დაპროექტებულ „მე“ - სთან შესაბამისობაში მოჰყავს. შესაბამისობა როგორც განსაზღვრული მოვალეობის თავიდან აცილების, ისე მათი კორექციის გზით მიიღწევა. „სახის ქმნადობის“ რეზულტატს „რიტუალური წონასწორობა“ უზრუნველყოფს (ნიუველი 1989: 126-132).

შეიძლება ითქვას, რომ სემანტიკურ ფრეიმთა ქსელის ფორმირების პროცესი შეიძლება განვიხილოთ „ურთიერთქმედების რიტუალის“ ერთგვარ ფორმად,

რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური ცოდნისა და გამოცდილების კოლექტიურ ცოდნათა და გამოცდილებად გარდაქმნის პროცესს (ნიუველი 1989: 142-144).

სემანტიკური ფრეიმის კონტინიუმის კვლევა გულისხმობს „შემთხვევებისა“ და „ინტერპრეტაციების“ ანალიზს ზოგად კანონზომიერებათა იდენტიფიცირების მიზნით. კანონზომიერებები ინტერსუბიექტური, სემანტიკური ფრეიმის ელემენტთა მათარგანიზებელი ძალაა. სწორედ ეს ძალა გარდაქმნის სემანტიკური ფრეიმის ინდივიდუალურ პლანს ზეინდივიდუალურად (მოჰანტი 1989: 87-93).

კონტინიუმის ვალიდურობას განსაზღვრავს სემანტიკური ფრეიმისა და სცენარის ფარგლებში მოქმედ წესთა რელევანტურობა კონკრეტული შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულისათვის. სემანტიკური ფრეიმისა და სცენარის ფარგლებში მოქმედი სუბსტანციური და ცერემონიალური წესები (მოჰანტი 1989: 111-118).

სუბსტანციური წესები (მაგალითად, მოძრაობის წესები) ქმედება – ქცევის წესებს აღწერენ, ხოლო ცერემონიალური წესები, ჩვეულებრივ ფონური დაშვებების სახით, ურთიერთქმედების სტრუქტურას ერთდროულად არეგულირებენ და აგებენ კიდევ.

ცერემონიალური წესები წმინდა პირობითობებია. ისინი არანაირ საზრისს არ ფლობენ, მაგრამ მათ გარეშეც სუბსტანციურ წესებსაც საზრისი არ აქვთ. სწორედ, ცერემონიალურ წესებში იხსნება ურთიერთქმედების წესრიგის აზრი (საზრისი) (ქროფტი 2004).

ხშირად წესები მოლოდინების სახით გვევლინებიან. თვით ფორმალურად კოდიფიცირებული წესებიც კი შეიცავენ არაცხად ვარაუდებს (დაშვებებს).

თავი III

მეტყველების კონცეპტი და ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

3.1. მეტყველების კონცეპტის სტრუქტურაციის პრინციპები

მეტყველების კონცეპტის სტრუქტურაციას საფუძვლად უდევს:

- მეტყველების კონცეპტის კვლევა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში ეფუძნება კონცეპტუალურ ანალიზს.

კონცეპტუალურ ანალიზზე მსჯელობისას მკვლევარები, ჩვეულებრივ, უპირისპირებენ მას სემანტიკურ ანალიზს. ე.ს. კუბრიაკოვას თვალსაზრისით, ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპები განსხვავდება ერთმანეთისგან მიზნებისა და ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო მასალის სპეციფიკით. „სემანტიკური ანალიზი ორიენტირებულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტაციურ, სიგნიფიკაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობათა იდენტიფიცირებაზე. კონცეპტუალური ანალიზი გულისხმობს ნიშნის, როგორც კოგნიტური წარმონაქმნის, ძიების პროცესს. სემანტიკური ანალიზი მიზნად ისახავს სიტყვის ახსნას, კონცეპტუალური ანალიზის ორიენტირი კი მიემართება სამყაროს შესახებ არსებულ ცოდნისაკენ“ (კუბრიაკოვა 1991: 85).

- მეტყველების კონცეპტის სტრუქტურაციას თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში საფუძვლად უდევს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფრეიმული რეპრეზენტაციის პრინციპი.

ახდენს რა კონკრეტულ სტერეოტიპულ სიტუაციაზე ან კლასზე არსებული ცოდნის აკუმულაციას, ფრეიმი ასრულებს მონაცემთა იერარქიულად ორგანიზებული სტრუქტურის ფუნქციას (მინსკი 1986).

- ნაშრომში ფრეიმების კონსტრუირების საფუძველს წარმოადგენს ტრადიციული ლოგიკის ისეთი ოპერაციების გამოყენება, როგორცაა:

განსაზღვრება, შედარება და განსხვავება, ანალიზი, აბსტრაქცირება, განზოგადება, კლასიფიკაცია, კატეგორიზაცია.

- ნაშრომში ფრეიმების ქსელი - რეპერტუარული ბადე კონსტრუირებულია აღქმის მთლიანობის პრინციპის, როგორც აზროვნების საფუძვლის, გათვალისწინებით.

ფრეიმის „კონსტრუქტორისათვის“ განსაკუთრებით საინტერესოა გემტალტ-ფსიქოლოგია. გემტალტ-ფსიქოლოგები ცდილობენ, ყველაფერში გამოყონ რაიმე მთლიანი სახე ან სტრუქტურა, როგორც გარემომცველი სამყაროს პროცესებისა და მოვლენების გაგების საფუძველი. ეს თეორია ახლოსაა ფრეიმებისა და ობიექტური მიდგომის თეორიასთან და ორიენტირებულია ღრმა ცოდნის გენერირებაზე. ცოდნის სხვადასხვა ფრაგმენტის გამოვლენისას ფრეიმის „კონსტრუქტორმა“ არ უნდა დაივიწყოს მთავარი - ფრაგმენტის გემტალტი, რომელიც გავლენას ახდენს დანარჩენ კომპონენტებზე და აერთიანებს მათ რაიმე სტრუქტურულ ერთეულში.

- **კატეგორიზაციის პრინციპი**

გაიაზრებს რა რეალობას, ადამიანის ცნობიერება მიაკუთვნებს რეალობის ცალკეულ ფრაგმენტს კონკრეტულ კატეგორიას. ადამიანის ცნობიერება ადგენს კონკრეტული ფრაგმენტისა და სხვა ფრაგმენტის (ფრაგმენტების) ინტეგრალურ და დიფერენციალურ ნიშნებს. რეალობის ფრაგმენტთა ერთობის დადგენა და ამ ერთობისათვის განმაზოგადებელი ცნების შექმნა (რომელიც ხშირად, თუმცა არა აუცილებლობით „მიემაგრება“ სიტყვას) წარმოადგენს კატეგორიზაციის პროცესს.

კატეგორიზაციის, როგორც კოგნიტური პროცესის, შედეგს წარმოადგენს კოგნიტურ მაკლასიფიცირებელ ნიშანთა ფორმირება. სწორედ აღნიშნულ ნიშანთა წყალობით ხერხდება კონცეპტთა ორგანიზება ერთიან კონცეპტუალურ სფეროდ.

- **„პერსპექტივათა გაიდვალიზების“ პრინციპი**

„გაიდვალიზებული პერსპექტივები“ გულისხმობს ყველა ადამიანის მიერ გაზიარებულ ცოდნას სამყაროს შესახებ. „გაიდვალიზებული პერსპექტივები“ ფარავს არა პირადულ, არამედ ყველასათვის საერთო სამყაროს. „გაიდვალიზებული პერსპექტივები“ ცოდნის ინტერსუბიექტურობის ერთ-ერთი მანიფესტაციაა. ინტერსუბიექტურობა არსებობს „თვალსაჩინო აწმყოში“, სადაც ჩვენ ვლაპარაკობთ

და ვუსმენთ ერთმანეთს. ჩვენ სხვებთან ერთად ერთი და იმავე დროსა და სივრცეში ვართ მოქცეული. ეს სინქრონულობა უმნიშვნელოვანესია ინტერსუბიექტურობაში, რადგან ეს ნიშნავს რომ მე ვიგებ ალტერ ეგოს სუბიექტურობას იმ დროს, როცა ვცხოვრობ ჩემი ცნობიერების ნაკადში, ვიგებ სხვათა ინტენციებს, ინტერესებს, მნიშვნელობებს. სწორედ ეს სინქრონული გაგების მომენტი უდევს საფუძვლად ბერკლის პროექტში ფიქსირებულ ფრეიმთა და სცენართა ქსელს. სწორედ ამ სინქრონული გაგების მომენტის გამო ითვლება აღნიშნული ქსელი გაზიარებული ცოდნის ერთადერთ სრულყოფილ კონსტრუქტად თანამედროვე ლინგვისტიკაში.

- **სიმრავლეთა ერთმანეთში ჩართულობის პრინციპი**

უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტი ყოველთვის ჩართულია უფრო ზოგადი ელემენტის მნიშვნელობაში – ესა თუ ის წევრი გაერთიანებულია რაღაც კლასში. რაც უფრო ნაკლებია ელემენტის ექსტენსიონალი, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთი ელემენტი ყოველთვის ჩართული აღმოჩნდება გარკვეულ ზოგად კლასებში. უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე ელემენტი ერთი მთლიანობის ფარგლებში ყოველთვის იქვემდებარებს უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტს, მაგალითად: ელემენტი „დარწმუნება“ დაქვემდებარებულია ელემენტზე „ლაპარაკი“, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ექვემდებარება ელემენტს „ზეპირი მეტყველება“.

- **ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის მიმართებათა პრინციპი**

ექსტენსიონალი და ინტენსიონალი ერთმანეთთან უკუპროპორციულ მიმართებაშია: რაც უფრო მეტია სიტყვის ექსტენსიონალი, მით უფრო ნაკლებია მისი ინტენსიონალი და პირიქით. ამიტომ რაც უფრო აბსტრაქტულ მთლიანობაში ერთიანდება ესა თუ ის ელემენტი, მით უფრო იზრდება მისი ექსტენსიონალი, მაგრამ მცირდება ინტენსიონალი. პირიქით, მთლიანობიდან კონკრეტულ სეგმენტებზე თანდათანობით გადასვლა ამცირებს ელემენტთა ექსტენსიონალს, მაგრამ ზრდის მათ ინტენსიონალს. საკვლევი კონცეპტის (ჩვენს შემთხვევაში „მეტყველების“ კონცეპტის) ბირთვული სეგმენტის ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე ახლო და შორეული

პერიფერიების სეგმენტებისა, მაგრამ ბირთვული სეგმენტის ინტენსიონალი უფრო ნაკლებია, ვიდრე ახლო და შორეული პერიფერიების სეგმენტებისა. მაგალითად, ელემენტის „ლაპარაკი“ ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე ელემენტისა „დარწმუნება“, ვინაიდან პირველი ელემენტი მოიცავს სამეტყველო ქმედებათა გაცილებით მეტ სახეობას, ვიდრე - მეორე.

კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ერთეულთა ორგანიზება ნაშრომში განხორციელებულია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით:

1. კავშირები, როდესაც ის, რაც ხდება მთელში, არ გამოიყვანება მისი არსებობს ელემენტებიდან, რომლებიც თითქოს არსებობენ ცალკეული მონაკვეთების სახით და შემდეგ ერთიანდებიან. პირიქით, ის რაც ვლინდება მთელის ცალკეულ ნაწილებში, განისაზღვრება ამ მთელის შინაგანი კავშირებით (რასტიდი 1962: 9);
2. ყოველი ენისათვის დამახასიათებელი ერთიანობა გამომდინარეობს იქიდან, რომ მთელი განსაზღვრავს ნაწილებს, ხოლო ყოველი ნაწილი ხასიათდება როგორც მთელის განმსაზღვრელი, განსაკუთრებული წევრი (შტაინთალი 1960: 111);
3. სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და პირიქით. დიდი შეცდომა იქნება, სიტყვები განვიხილოთ, როგორც ბგერისა და მნიშვნელობის შენაერთები. ასეთი განხილვა ნიშნავს სიტყვის იზოლირებას სისტემისაგან, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს. ეს ნიშნავს იმის დაშვებას, რომ ცალკეული სიტყვებისაგან შეიძლება ავაგოთ სისტემა, როგორც მათი ჯამი, მაშინ, როდესაც სინამდვილეში, პირიქით, უნდა ამოვიდეთ მთლიანიდან, რათა ანალიზის გზით მივაღწიოთ მის შემადგენელ ელემენტებამდე (სოსიური 1933: 42);
4. ენობრივ შინაარსთა სფერო არის არა მექანიკური აგლომერაცია, არამედ შინაგანად ორგანიზებული, სისტემური ბუნების მქონე, რომ რეალობის ნებისმიერი სეგმენტაცია ხდება მრავალ განზომილებაში, რომელთაგან თითოეული ცალკეულ სტრუქტურას - ველს - ქმნის (ტრირი 1931: 103);
5. ველში სიტყვა განიხილება როგორც გარკვეული მიკროსისტემის ნაწილი, მისი მნიშვნელოვნება შეისწავლება დანაწევრებული მთლიანობიდან ამოსვლით, ველის სხვა წევრებთან ურთიერთობის გათვალისწინებით (ვაისგერბერი 1959: 39);

6. ენობრივ მნიშვნელობათა სფერო შედგება არა იზოლირებულ სიტყვათა უბრალო ჯამისაგან, არამედ დანაწევრებული ურთიერთდამოკიდებულებებისაგან. ამაზევე მიუთითებს ადამიანის ენობრივი ალლო, რომელიც ახდენს ენობრივ ფორმათა სწორ არჩევანს მიზეზის გაუცნობიერებლად. ენობრივი ალლოს მეშვეობით სიტყვათა სწორი შერჩევა, შეფარდება გულისხმობს მათ შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებსა თუ სიახლოვეს (ვაისგერბერი 1959: 67);

- ველის კონსტრუირება ეფუძნება ველის სიტყვა-იდენტიფიკატორის მიერ დასახელებული შინაარსის იდენტიფიცირების პრინციპს ველის ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში.

ველში ელემენტთა გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში სიტყვა-იდენტიფიკატორის მიერ დასახელებული შინაარსის არსებობა სემანტიკური კომპონენტის სტატუსით.

7. ელემენტები ველში ერთიანდებიან მათ შორის არსებული კავშირის წყალობით. ეს კავშირია:

- იგი განპირობებულია მნიშვნელობათა სემანტიკური მსგავსებით, ან სიახლოვით;
- იგი მყარდება სხვადასხვა სახის სემანტიკური კორელაციების ხარჯზე;
- ამ კავშირის საფუძველს წარმოადგენს ველში შემავალი ყველა ელემენტის სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობის საერთო კომპონენტის არსებობა“ (ლერერი 1974: 84).

8. ნაშრომში მეტყველების აღმნიშვნელ ერთეულთა გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს სემა "**speech production**" – „მეტყველება“.

კონცეპტის სტრუქტურაციის აღნიშნული პრინციპების გამოყენება უზრუნველყოფს ფრეიმის, როგორც ერთგვარი „რეპერტუარული ბადის“, „ვარგისიანობის დიაპაზონის“ ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობას. „ვარგისიანობის დიაპაზონში“ ვგულისხმობთ ენაში კონცეპტის ობიექტივიზაციის მიზნით კონსტრუირებული ფრეიმის საზღვრებს - ფრეიმის საწყის და ტერმინალურ ელემენტთა განსაზღვრას. სწორედ ეს ელემენტები განსაზღვრავს „ცოდნის მოძრაობის“ მიმართულებას ცოდნის ველში. ფრეიმის საწყისი და ტერმინალური

ელემენტების სტრუქტურა არსებით გავლენას ახდენს ცოდნის ველის ფორმასა და შინაარსზე.

„ვარგისიანობის დიაპაზონის“ ობიექტურობის მიღწევა შესაძლებელია ელემენტთა შერჩევის შემდეგი წესის გათვალისწინებით: ელემენტები უნდა შეესაბამებოდნენ რომელიმე ერთ სფეროს, ისინი აზრობრივად (შინაარსობრივად) უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. რეპერტუარულ ბადეში ვლინდება ადამიანის მიერ სამყაროს ხედვის თავისებურება, აისახება, თუ რა რასთან არის დაკავშირებული, რა რისგან გამომდინარეობს, რა არის ადამიანისათვის მნიშვნელოვანი და რა - არა, როგორ აფასებს იგი სხვა ადამიანებს, მოვლენებსა და სიტუაციებს.

ნაშრომში კონსტრუქტების დასაჯგუფებლად გამოყენებულია კლასტერული ანალიზი - კლასტერულ იერარქიულ „ხეში“ ჩართულია როგორც ლექსიკური ერთეულები, ისე კონსტრუქტები (ფრეიმები და ქვეფრეიმები). სწორედ ლექსიკური ერთეულებისა და კონსტრუქტების სისტემის იერარქიული კლასტერიზაციის შედეგად მიიღება ცოდნა, რომლის რეპრეზენტაციის მექანიზმთა კვლევა წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის მიზანს.

ცოდნა მეხსიერებაში წარმოადგენს არა ცალკეულ ფრაგმენტებს, არამედ გარკვეულ დაკავშირებულ სტრუქტურებს. ხელოვნური ინტელექტის თეორიაში უკანასკნელ პერიოდში უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ცოდნის სტრუქტურების ურთიერთკავშირს. ცოდნის რეპრეზენტაციაზე ორიენტირებული სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს მეხსიერების კონცეპტუალური ორგანიზაცია - ერთგვარი განმაზოგადებელი სტრუქტურა, რომლის ფრაგმენტებს შორის შეიძლება იყოს დროითი, სივრცითი, სიტუაციური, ასოციაციური, ფუნქციონალური და ა.შ. ტიპის კავშირი.

ადამიანის ფორმალური ცოდნა სამყაროზე და მისი პირადი გამოცდილება არ არსებობს იზოლირებულად - ცოდნა და გამოცდილება ქმნის ერთიან, სტაბილურ სტრუქტურას. სწორედ ამ ტიპის სტრუქტურად წარმოგვიდგება სამყაროს მოდელი.

კონსტრუქტის ვალიდურობის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მის ფრაგმენტთა კოგნიტური ვალიდურობა. კოგნიტიურ ადეკვატურობაზე გავლენას ახდენს კოგნიტური სტილი.

კოგნიტური სტილი გულისხმობს სამყაროს შემეცნებისას უპირატესი კრიტერიუმების ერთობლიობას. კოგნიტური სტილი წარმოადგენს შემეცნების ხერხს, რომელიც აძლევს განსხვავებული უნარების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე ადამიანებს ერთნაირი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას თავიანთ შემეცნებით საქმიანობაში.

3.2. მეტყველების ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

მეტყველების აღმნიშვნელ ზმნათა დიდი რაოდენობა და მრავალფეროვნება ქმნის გარკვეულ სირთულეებს აღნიშნულ ზმნათა მათი მსგავსი (მომიჯნავე) ზმნებისაგან დიფერენცირების თვალსაზრისით, რაც, საბოლოო ჯამში, ართულებს საკვლევი სფეროს ზუსტი კონფიგურაციის განსაზღვრას.

მეტყველების აღმნიშვნელ ზმნათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ოთხი კატეგორია:

- ზეპირი მეტყველების აღმნიშვნელი ზმნები, როგორცაა: say, speak, pronounce, utter;
- მეტყველების ტიპის მიხედვით არადიფერენცირებული ზმნები, როგორცაა: convince, ask, demand;
- ვერბალური/არავერბალური ქმედების მიხედვით არადიფერენცირებული ზმნები, როგორცაა: deceive, express, tease;
- წერითი მეტყველების აღმნიშვნელი ზმნები, როგორცაა: write, prescribe, inscribe, sign.

სწორედ აღნიშნული მრავალფეროვნება იწვევს ველების საზღვართა ამორფულობას. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ჩვენ ნაშრომში არ ჩავრთეთ წერითი მეტყველების აღმნიშვნელი ზმნები. ნაშრომში განხორციელებულია მხოლოდ ზეპირი მეტყველების აღმნიშვნელ, მეტყველების ტიპის, ასევე

ვერბალური/არავერბალური ქმედების მიხედვით არადიფერენცირებულ ზმნათა ანალიზი.

აქვე უნდა განვმარტოთ, თუ როგორ გვესმის საკვლევი კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა რეპერტუარის სისრულე.

რამდენადაც ლინგვოკოგნიტური კვლევის მიზანს წარმოადგენს ამა თუ იმ ენის მატარებელი ერის მიერ გარე სამყაროს კონკრეტული ფრაგმენტის აღქმის, კატეგორიზაციისა და კლასიფიკაციის თავისებურებათა გამოვლენა და არა სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაცია (სიტყვის დენოტაციურ, სიგნიფიკაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობათა იდენტიფიცირება), ამდენად კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა რეპერტუარი მოიცავს იმ ელემენტებს, რომელბიც აუცილებელი და საკმარისია საკვლევი კონცეპტში იმ აზრობრივ განზომილებათა განსაზღვრისათვის, რომელთა მეშვეობითაც ყალიბდება კონცეპტის შინაარსი.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში ზეპირი მეტყველების აღმნიშვნელი ზმნები და ზმნური ტიპის ერთეულები წარმოადგენს კომუნიკაციური ქმედების აღმნიშვნელ ზმნათა მიკროსისტემის მნიშვნელოვან პლასტს. აღნიშნულ ზმნათა კოგნიტური ფუნქცია განაპირობებს კონცეპტუალურ სტრუქტურათა მრავალფეროვნებას, რომელიც, თავის მხრივ, სრულად ასახავს ინფორმაციის ტიპობრივ მრავალფეროვნებას.

მეტყველების კონცეპტი წარმოადგენს თანამედროვე ინგლისური და ქართული სამყაროს კონცეპტუალური ხატის ერთ-ერთ ძირითად კონცეპტს - მისი მეშვეობით ხდება ენის ძირითად ფუნქციათა რეალიზაცია.

ზმნები - "say", "tell", "speak", "talk" - „თქმა“, „ლაპარაკი“ - წარმოადგენს საკვლევი კონცეპტის პირდაპირ ნომინაციებს - მათ გააჩნიათ ზოგადი კოგნიტური ნიშნები, რომლითაც ხასიათდება ზეპირი მეტყველების პროცესი (აზრის გამოხატვა, საუბარი და სხვა). სიტყვა-რეპრეზენტატორებთან სინონიმურ მიმართებაში მყოფი ერთეულები მოიცავს დიფერენციალურ კოგნიტურ ნიშნებს (შეფასება, რჩევის მიცემა და სხვა).

მეტყველების კონცეპტის კოგნიტურ ნიშანთა იდენტიფიცირების გზით კონცეპტის ობიექტივატორთა ენობრივი ველის სახით ორგანიზება იძლევა

ინგლისური და ქართული ენების მატარებელთა ცნობიერებაში არსებული მეტყველების კონცეპტის მთლიანობრივ მენტალურ ერთეულად გააზრების შესაძლებლობას.

მეტყველების კონცეპტი ორგანიზებულია ენობრივი ველის ფორმით. ზმნები - "say", "tell", "speak", "talk" - „თქმა“, „ლაპარაკი“ - წარმოადგენს საკვლევი კონცეპტის პირდაპირ ნომინაციებსა და ძირითად სიტყვა-რეპრეზენტატორებს, რამდენად მოცემული ზმნები, სხვა ზმნებთან შედარებით, სემანტიკურად უფრო ზოგადი, სტილისტურად კი ნეიტრალური არიან და „ლაპარაკი“ წარმოადგენს მათი სემანტიკური სტრუქტურის დომინანტურ სემას. შესაბამისად, ზმნები - "say", "tell", "speak", "talk" - „თქმა“, „ლაპარაკი“ - წარმოადგენს მეტყველების კონცეპტის ბირთვის კონტინიუმს. აღნიშნული კონცეპტის პერიფერია წარმოდგენილია ბირთვული ნომინაციის სინონიმური ერთეულების შემდეგი ორი ტიპით:

- ბირთვულ სიტყვა-რეპრეზენტატორებთან შედარებით, სემანტიკურად ნაკლებ ზოგადი, სტილისტურად მარკირებული ერთეულებით, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის დომინანტურ სემას წარმოადგენს „ლაპარაკი“;
- ბირთვულ სიტყვა-რეპრეზენტატორებთან შედარებით, სემანტიკურად ნაკლებ ზოგადი, სტილისტურად მარკირებული ერთეულებით, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში „ლაპარაკი“ არ არის წარმოდგენილი დომინანტური სემის სტატუსით.

ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხდება კონცეპტის ვერბალიზაცია, წარმოადგენს კონცეპტის ნომინაციურ ველს. ნომინაციური ველი განსხვავდება ყველა სხვა ტიპის ლექსიკური დაჯგუფებისაგან, პირველ რიგში, იმით, რომ კონცეპტის ნომინაციური ველი კომპლექსური ხასიათისაა - იგი მოიცავს როგორც ლექსიკურ-სემანტიკურ და სემანტიკურ ველებს, ისე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ველსა და სინონიმურ რიგებს. კონცეპტის ნომინაციური ველი არაერთგვაროვანია - იგი მოიცავს როგორც კონცეპტის პირდაპირ ნომინაციებს, ისე კონცეპტის ცალკეულ კოგნიტურ ნიშანთა ნომინაციებს. ეს უკანასკნელნი კი ქმნიან კონცეპტის პერიფერიულ სემენტს. საკვლევი კონცეპტის

პირდაპირ ნომინაციათა - ბირთვულ სიტყვა-რეპრეზენტატორთა - გამოვლენის შედეგად ხერხდება კონცეპტის ბირთვული სემანტიკის კონსტრუირება.

ნაშრომში ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორი გააზრებულია იმ ლექსიკურ ერთეულად, რომელიც ხასიათდება გამოყენების მაღალი სიხშირით, სემანტიკის განზოგადებულობით, სტილისტური ნეიტრალურობითა და მორფოლოგიური შემადგენლობის სიმარტივით.

ერთეულების - "say", "tell", "speak", "talk" - „თქმა“, „ლაპარაკი“ - ლექსიკონში დაფიქსირებულ დეფინიციათა (tell - to give information to somebody by speaking or writing; say - to speak or tell somebody something, using words; speak - to have a conversation with somebody; talk - to say things; to speak in order to give information or to express feelings, ideas) (ინგლისურ-ინგლისური ლექსიკონი) ანალიზის შედეგად შესაძლებელია აღნიშნულ ზმნათა შემდეგი მნიშვნელობების გამოყოფა:

1. ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;
2. გაზიარებული ინფორმაციის სარწმუნოების ცალმხრივი მტკიცება;
3. მოლაპარაკე სუბიექტისაგან კონტროლირებადი, მის ნებაზე დამოკიდებული პროცესი;
4. საუბარი - აზრთა ურთიერთგაცვლა.

თითოეულ ზოგად მნიშვნელობას გააჩნია კონკრეტული მნიშვნელობები, რომლებიც წარმოადგენს მათ მიერვე გამოხატული კონცეპტის შინაარსის შემადგენელ ნაწილს.

მეტყველების ბუნება ვლინდება საკვლევი ფენომენის დინამიური და პროცესუალური არსით. მეტყველება რთული მოვლენაა, რომელსაც გააჩნია მრავალი მხარე და ასპექტი: კომუნიკაციური (რომელიც ეხება ურთიერთობას), სემიოტიკური (რომელიც ეხება ნიშანთა სისტემის გამოყენებას), ინფორმაციული (რომელიც ეხება ინფორმაციის ჩამოყალიბებას, გადაცემასა და გაზიარებას), ინსტრუმენტალური (რომელიც ეხება ენობრივ უნარებსა და მეტყველების მექანიზმებს).

ნაშრომში გაანალიზებულია მეტყველების აღმნიშვნელი ერთეულები ლინგვოკოგნიტური მიდგომის ფარგლებში. ზოგადი მნიშვნელობის მქონე ერთეულებს ძალუძთ სამეტყველო სიტუაციის შესახებ არსებულ ცოდნათა

ერთობლიობის რეპრეზენტაცია. ლინგვოკოგნიტური მიდგომის ფარგლებში ნაშრომში გამოვლენილია ენობრივი რეპრეზენტაციათა ტიპები, რომელთა მეშვეობითაც ხდება საკვლევი კონცეპტის ვერბალიზაცია თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში. გამონათქვამის აზრის ფორმირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ზმნა, რამდენადაც იგი წარმოადგენს ერთეულს, რომლის სემანტიკაშიც გარე სამყაროს მოვლენები კონცეპტუალიზირდება ობიექტურ სამყაროში არსებული სიტუაციის, როგორც ქმედების, პროცესის ან მდგომარეობის, წარმოდგენის გზით. სწორედ ზმნას, მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, ძალუმს კონდენსირებული, კომპრესირებული ფორმით ცოდნის რთულ, სხვადასხვა კოგნიტურ ნიშანთა მომცველ სტრუქტურათა ნომინირება.

სიტყვათა სემანტიკური დაჯგუფებების განხილვისას კოგნიტური ლინგვისტიკისათვის ფუძემდებლურია შემდეგი თვალსაზრისი: სიტყვათა სემანტიკური დაჯგუფებები ეფუძნება კატეგორიათა სისტემებს, რომლებიც ასახავს კონკრეტულ ენობრივ სოციუმში ჩამოყალიბებულ ხედვას რეალობის კონკრეტული ფრაგმენტის თაობაზე. კატეგორიათა სისტემა იძლევა, ერთი მხრივ, თავად ელემენტის იდენტიფიცირების, მეორე მხრივ კი, ელემენტის ადგილის განსაზღვრის შესაძლებლობას სემანტიკური დაჯგუფების სტრუქტურაში.

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა რეპრეზენტატორის - "say" - „თქმა“ - ნომინაციური ველის შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი ტიპის რეპერტუარით:

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის - ზმნის "say" - „თქმა“ - ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგი სემანტიკური კომპონენტის გამოყოფა: „სიტყვების მეშვეობით აზრის გამოხატვა“; „მოსაზრების გამოხატვა“; „მაგალითების მოყვანა“; „დადასტურება“; „რაიმეზე მითითება“; „რაიმეს აღნიშვნა“:

The first time to *say* you loved me and missed me and were longing to come back to me and would I wait for you and there wasn't anyone else was there (R.Rendel, A Glowing Future).

„– ჰმ, დარცხვენილი! დარცხვენილი კი არა, შეფიქრიანებული იქნებოდა; ალბათ, ეცოტავა და იმიტომ მიბრუნებოდა,“ – *თქვა* კანცელარიის გამგემ. (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

კონცეპტის პერიფერიის კონსტიტუენტთა სემანტიკის ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი სემები: ზმნებით "utter", "vocalize", "pronounce", "announce", "speak", "mouth" გადმოიცემა მნიშვნელობა: „მეტყველების უნარის ქონა“:

No answer, that was to say, in any words that could be *uttered* in their presence, that, *uttered*, those two martyrs — the mother to her unhappy marriage, the daughter to filial piety - could possibly understand (A. Huxley, *Island*).

– ჩვენი დღევანდელი თათბირის მიზანია, დავსახოთ აღძრული საკითხების გადასაჭრელი გზები. თათბირის მონაწილეებს ვთხოვ, *გამოთქვან* აზრი ამ მიმართებით. – სახნოვმა მეფისნაცვალს მიაპყრო მზერა (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები "word", "put in words", "phrase", "articulate" ერთიანდება მნიშვნელობით „მეტყველების სიცხადე/მკაფიოობა“:

Mrs Hubbard *put in a soothing word* (A.Christie, Hickory Dickory Dock).

ზმნები "answer", "respond", "reply", "rejoin", "retort" მოიცავენ სემას: „პასუხის გაცემა, რაიმეზე რეაგირება“:

The words were spoken laughingly; but it was with the most perfect seriousness and a sudden assumption of regal dignity that Murugan *responded* to them (A. Huxley, *Island*).

ხელაღებით *უპასუხა*: «რა დროს გათხოვებაა ბაღლისა, ჯერ მხოლოდ თორმეტი წლისაა, მეფევ ბატონო, კათაი» (ვ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

ენობრივი ერთეულები "remark", "come out with", "communicate", "convey" გადმოსცემენ „ინფორმაციის, იდეების გაზიარებისა და სხვათათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის“ მნიშვნელობას.

ზმნები "state", "declare", "tell", "impart" ერთიანდება მნიშვნელობით „მტკიცება, ფაქტების შეტყობინება“:

And we need a secure succession, a second-in-command who's been trained to the job, knows the ropes, can step in straight away when the command falls vacant; not leave

each army to *declare* for its own general and fight it out as they've done lately (E.Waugh, Helena).

თითქოს საბჭოურ სინამდვილეში მეკისროს სახელმწიფური შეკვეთის უარყოფა საერთოდ, უთუოდ სასაცილოა ამგვარი *მტკიცება* (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

ზმნებში "present", "mention", "add", "put", "put before" გამოიყოფა ისეთი სემანტიკური კომპონენტები, როგორცაა: „რაიმეს აღნიშვნა, რაიმეს დამატება, საკუთარი მეტყველებისათვის სისრულისა და მრავალფეროვნების მინიჭება.“

That's a very nice way of *putting* it, Mr. Poirot. That's exactly what they have been. (A.Christie, Hickory Dickory Dock).

– ჯილდოს გამოცხადების დღიდან თვე არ იყო გასული, რომ დაბრუნდა და დაბრუნება სათანადოდ აღნიშნა: ანარქისტ ბუბუტეიშვილთან ერთად ფოთში მევახშე კაჯა ბულავა დაარბია (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ზმნებში "reveal", "let out", "divulge", "disclose", "make known", "cry", "noise abroad" გამოიყოფა შემდეგი სემები: „საიდუმლოდ გამჟღავნება, საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა; ასევე ყვირილი, ხმაური“:

She was *crying* with rage. "Don't look at me, damn you!" she said. "Don't look at me!" (J.H. Chase, The Doll's Bad News).

ჯგუფებად დაიყვნენ, ერთმანეთს თავის შეხედულებებს *ყვირილით უმტკიცებდნენ*, ზოგმა გაწევ-გამოწევაც კი სცადა (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ზმნებში "breathe", "whisper", "betray" გამოიყოფა ისეთი სემები, როგორცაა: „ჩუმიად ლაპარაკი, ჩურჩული“; უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში ჩართული ზმნა "betray" მოიცავს „გადაცემული ინფორმაციის სარწმუნოებაში დარწმუნების“ სემას:

Here in his own command, among his own people, his precise speech *betrayed* the local burr, his manners at table became rougher, he laughed, mirthlessly but from a kind of contentment, at the jokes his subordinates made when they came to dine (E.Waugh, Helena).

მელქისედეკი არც ისე გულუბრყვილო იყო, ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაარწმუნა იგი სპასალარმა, ხარჭად რომ არა ჰყვდა გიორგის შორენა (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

მეტყველების კონცეპტის პერიფერიულ კონსტიტუენტებს წარმოადგენს ასევე ზმნის "say" – „თქმა“ სინონიმური რიგების ელემენტები - ზმნები "repeat", "recite", "declaim", "orate", "deliver", "rehearse", "render" - რომლებიც მოიცავენ „გამეორებისა და მტკიცების“, „ოფიციალურად გამოცხადების“ სემებს:

Last night the Colonel *delivered* another of his celebrated Greater Rendang speeches (A.Huxley, Island).

ალ-ჰაქიმმა რელიგიური ომი *გამოაცხადა* ქრისტიანეთა წინააღმდეგ, ამას მოჰყვა იერუსალიმის ტაძრის დანგრევა (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

კონსტიტუენტები "estimate", "predict", "predicate", "speculate", "hypothesize", "conjecture", "hazard a guess" მოიცავს ისეთ სემებს, როგორცაა: „ვარაუდი ან მტკიცება სრული ინფორმაციისა და დეტალების ცოდნის გარეშე“.

ზმნები "assume", "judge", "imagine" ერთიანდება „აზრის ჩამოყალიბების“ სემით:

Uprooted from his homeland and estranged from his kin he *assumed* a manner that passed for dignity among his genial subjects (E.Waugh, Helena).

რასა ჰბოდავს თეიმურაზი?! ეს რა წამორომა იმის სულიერმა ორეულმა?! ეს რა გველი ჩაუძვრა გულში, რა შხამიანი აზრი გაინასკვა იმის გახურებულ თავში?! (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

ერთეულები "promise", "imply", "give the implication", "give impression that" მოიცავს ისეთ სემას, როგორცაა: „დაპირება ან მინიშნება იმაზე, რომ რაიმე უნდა მოხდეს“:

Because somebody taught him," she answered patiently. What an ass! Her tone seemed to *imply* (A.Huxley, Island).

მე იმ ნათქვამისას ვერაფერს მივხვდი, მაგრამ იასე ბერმა *იგულისხმა*, თუთაშხია თავის საქციელს ნანობს, უდრტვინველად რომ არ დამეხმარა და ნუგეში სცა (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

მეტყველების კონცეპტის პერიფერიულ კონსტიტუენტების - ზმნის "say" – „თქმა“ სინონიმური რიგების ელემენტთა ანალიზის შედეგად ასევე გამოიყო შემდეგი სემები: ზმნები "report", "allege", "asseverate", "aver", "avow", "avouch" მოიცავს ისეთ

სემებს, როგორცაა: „საკუთარი სიმართლის მტკიცება, ოფიციალურად გაცხადება“. ერთეულებს "attest", "testify", "certify", "vouch" აერთიანებს სემა „საკუთარი გამონათქვამის სისწორის დადასტურება ფაქტებისა და მაგალითების მოხმობის მეშვეობით; დარწმუნებულობა საკუთარი გამონათქვამის სისწორეში“. კონსტიტუენტებს "depose", "bear witness", "give evidence", "give one's word", "warrant" აერთიანებს სემა „გაფრთხილება, დამადასტურებელი ფაქტების მოხმობით ლაპარაკი. ზმნებში "profess", "claim", "purport", "pretend" გამოიყოფა „რაიმეს სიმართლედ გასაღების“ სემა:

And no right, of course, to *pretend* that one isn't sad (A.Huxley, Island).

ზმნებს "impute", "insinuate" აერთიანებს სემა „იდუმალეობით, საიდუმლოებით მოცული ლაპარაკი“. კონსტიტუენტები "cite", "name", "attribute", "assign", "ascribe" მოიცავს სემას „რაიმე თვისების მიწერა/მინიჭება, მეტყველებდეს რაიმეზე“. ერთეულები "adduce", "advance", "bring forward", "bring to attention", "introduce" ერთიანდებიან სემით „ვრცლად ლაპარაკი, ფაქტებისა და მიზეზების მოხმობა“. ზმნები "offer", "propose", "plead" მოიცავს „შეთავაზების, მხარდაჭერის“ სემას:

Snap out of it, Dave," Paula *pleaded*: "there's a passion flower waiting outside, and she looks as if she's got a load of grief to share with you (J.H.Chase, The Doll's Bad News).

მიმდინარე წლის დამდეგს ჰაჯი-სეიდის ფირმამ ოცდათხუთმეტი ათასი *შესთავაზა* (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ამდენად, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის "say" – „თქმა“ ირგვლვ გაერთიანებულ ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობის სემანტიკური აღწერა იძლევა მოცემულ კონსტიტუენტთა კოგნიტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას: „მეტყველების“ კონცეპტის ბირთვული შემადგენლობის საერთო კოგნიტურ ნიშანს წარმოადგენს „მეტყველების უნარის ქონა“. კონცეპტის პერიფერიული სემანტიკა კი აერთიანებს ელემენტებს, რომელიც ხასიათდება ისეთი საერთო კოგნიტური ნიშნით, როგორცაა „გამოხატვის საშუალება“, „ლაპარაკის მანერა“, „საიდუმლოს გამჟღავნება“, „ოფიციალური ანგარიში“, „გადაკვრით ლაპარაკი“, „ტყუილის თქმა“, „დარწმუნება“.

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა რეპრეზენტატორის - "tell" - „თქმა“ - ნომინაციური ველის შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი ტიპის რეპერტუარით:

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის - ზმნის "tell" - „თქმა“ (tell is always followed by a person) - ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგი სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა: „ინფორმაციის გადაცემა“, „აზრის გამოხატვა, ახსნა“, „საიდუმლოს გამჟღავნება“, „ბრძანების გაცემა“, „რაიმეს განსჯა, შეფასება“, „დიფერენცირება, განსხვავება“, „დამოწმება, დადასტურება“:

A fortune-teller predicted this. She *told* me she saw death around me (S.Sheldon, Are You Afraid of the Dark?).

დამთავრდა ეს ამბავი და თავისუფლად, *უბრძანა* თაბაგარმა იმ ხალხს (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

პერიფერიული კონსტიტუენტები მოიცავს შემდეგ სემანტიკურ კომპონენტებს: ზმნები "narrate", "relate", "report", "recount", "rehearse", "recite" ერთიანდება სემით „მოყოლა“ (განსაკუთრებით იმისა, რაც იცი, გინახავს ან გსმენია), ზმნები "describe", "portray", "depict", "detail", "explain" მოიცავს საერთო სემას „შთაბეჭდილებებისა და ემოციების სიტყვებით აღწერა“, „ახსნა, დეტალებში ჩაღრმავება“:

She searched for the right words in which to *explain* the self-evident to this strange imbecile (A.Huxley, Island).

ზარანდიამ ყურადღებით მოსმენა სთხოვა, გულახდილად *აუხსნა*, რით იყო გამოწვეული მისი მოსვლა და რა სურდა ჰაჯი-სეიდის მდივან-მოლარისგან (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ზმნები "sketch", "picture", "paint", "romance" მოიცავს სემას „განზოგადება, ინფორმაციის ზედპირულად გადმოცემა“. მოცემულ სინონიმურ რიგში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ზმნა romance, რამდენადაც იგი ერთადერთია, რომელსაც გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა: to tell stories that are not true or to describe smth in a way that makes it seem more exciting and interesting than in reality/გამოგონილი ისტორიის ისე მოყოლა ან რაიმეს ისე აღწერა ისე, რომ ისტორია

ან აღწერილი მოვლენა იქცეს უფრო მომხიბლავი და საინტერესო, ვიდრე იგი სინამდვილეშია. კონსტიტუენტები "vociferate", "voice", "give mouth", "air", "vent", "ventilate", "communicate", "let be known" ერთანდება მნიშვნელობით „საჯაროდ გაცხადება, ხმამაღლა ლაპარაკი“. ისეთი ერთეულები, როგორცაა "impart", "inform", "tip off", "utter", "declare", "discover", "break the news" მოიცავს მნიშვნელობას „ოფიციალურად გაცხადება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეტყობინება.“

British mothers of the upper class followed the Gallic and Italian fashion and put their babies out to nurse; not so the Illyrians, as Constantius's relations unanimously sought to *inform* Helena (E. Waugh, Helena).

თეიმურაზმა მართლა დააპირა ჯავის ხეობაში გამგზავრება, მაგრამ იმ ხეობიდან დაბრუნებულმა ჯაყომ თავის ბატონს *შეატყობინა*: - იმ ტყეში, შენი წირი მე, ერთი ბუჩქიც აღარ დარჩებოდა წამლად (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

კონსტიტუენტს "break the news" გააჩნია ისეთი მნიშვნელობა, როგორცაა „პირველმა შეატყობინო ვინმეს ცუდი ამბავი“. ერთეულებს "reveal", "make known", "disclose", "divulge", "bring out", "bring out into the open", "bring to light" გააჩნიათ საერთო მნიშვნელობა „საიდუმლოს გამომჟღავნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომად ქცევა ადამიანთა ფართო წრისათვის“.

ზმნები "release", "break", "report", "divulgate" მოიცავს სემას „საკუთარ გრძნობებსა და ემოციებზე, ასევე საკუთარ ცოდნასა და ხელთარსებულ ინფორმაციაზე ლაპარაკი“:

"What were you doing in Rendang?" Dr Robert asked, *breaking a long silence* (A. Huxley, Island).

ზმნები advertise, broadcast, proclaim, announce, herald, trumpet ერთანდება საერთო მნიშვნელობით „ოფიციალური სიტყვით გამოსვლა“:

Carinus and Numerian were being *proclaimed* everywhere (E. Waugh, Helena).

კონცეპტის პერიფერიულ ზონაში ასევე შედის არაფორმალური მეტყველების მარკერებით აღბეჭდილი ერთეულები: "disbosom", "disembosom", "get off one's chest", "make a clean breast of", "unburden oneself", "confess", "fess up", "own up", "admit",

"acknowledge". აღნიშნული ერთეულები მოიცავს ისეთ მნიშვნელობას, როგორცაა: „ლაპარაკი იმაზე, რაც გაწუხებს“, „აღიარება“:

Well, all that is over," she said, as though Helena had *confessed* to a peccadillo (E. Waugh, Helena).

ჰაჯი–სეიდმა მადმუაზელ დე ლამიეს თანამშრომლობა აღიარა და დაადასტურა, რომ ისინი მოპოვებულ ინფორმაციას ერთმანეთს უცვლიდნენ (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ისეთი კონსტიტუენტები, როგორცაა "blurt out", "blab", "leak", "give away", "let out", "let slip", "let the cat out of bag", "spill the beans", "blow the lid off" ერთიანდება „რაიმეს გამჟღავნების, საიდუმლოს გაცემის“ მნიშვნელობით. ერთეულები "give away the whole show", "spill one's guts", "open up" მოიცავს ისეთ მნიშვნელობას, როგორცაა „თქმა იმისა, რასაც ფიქრობ“. კონსტიტუენტები "betray", "blow the whistle on", "pull the plug on", "pull the rug out from underneath" ერთიანდება მნიშვნელობით „სიმართლეში დარწმუნება“. ზმნები "tattle", "tattletale", "squeal", "squeak", "rat", "fink", "stool", "peach" განეკუთვნება არაფორმალური მეტყველების პლასტს და ერთიანდება „ჭორაობისა და ჩივილის“ მნიშვნელობით. ერთეულები "discern", "make out", "espy", "perceive" აღბეჭდილია მნიშვნელობით „დიფერენცირებისა და აღქმის“ მნიშვნელობით. ზმნებს "recognize", "identify" აერთიანებს ისეთი მნიშვნელობებს, როგორცაა „ცნობა, ამოცნობა“.

კონცეპტის პერიფერიული სეგმენტის კონსტიტუენტებს წარმოადგენს „ბრძანებისა და მიმართვის“ მნიშვნელობით გაერთიანებული ელემენტები: "command", "order", "direct", "charge", "adjure", "instruct", "dictate":

ერთეულები "require", "demand", "lay down the law", "give orders", "determine" მოიცავს „მოთხოვნისა და იძულების“ მნიშვნელობას:

Blushing for what, he *demand*ed resentfully of his conscience? (A. Huxley, Island).

ზმნები "bid", "request" აღბეჭდილია საერთო მნიშვნელობით: „უფლების თხოვნა“. კონსტიტუენტები "count", "enumerate", "number" მოიცავს „თვლის, გადათვლის“ მნიშვნელობას:

... his grim Illyrian chiefs-of-staff, Carus, Diocletian, Maximian, and Galerius followed his eagles, watched him and *counted* their chances (E. Waugh, Helena).

ერთეულები "compute", "reckon", "calculate", "tally", "cast", "sum up", "estimate" აღბეჭდილია „განზოგადების, შეფასების“ მნიშვნელობით:

But he had not *reckoned* on falling in love (E. Waugh, Helena).

ჩვენმა ქალბატონმაც შენიშნა და *შეაფასა* შემოსწრებულის მოკრძალებული პეწი (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

კონსტიტუენტებს "weigh", "carry weight", "have force", "be influential" აერთიანებს ისეთი მნიშვნელობა, როგორცაა „ზემოქმედების, წონის ქონა“.

ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის "tell" – „თქმა“ ირგვლივ გაერთიანებული ელემენტების ანალიზი იძლევა იმ ნიშანთა გამოვლენის შესაძლებლობას, რომლითაც ხასიათდება მეტყველების პროცესი: "give mouth" — ლაპარაკი, აზრის გამოთქმა, მოყოლა; "break the news" - პირველმა აუწყო ვინმეს ცუდი ამბავი; "bring to light" - მოჰფინო ნათელი; "get off one's chest" — გულზე მოშვება, თქმა იმისა, რასაც ფიქრობ; "make a clean breast of" — გულწრფელად აღიარო, გულახდილად მოყვე ყველფარი; "let slip" - წამოგცდეს; "let the cat out of bag" - წამოგცდეს, გასცე საიდუმლო; "spill the beans" - გასცე საიდუმლო; "blow the lid off" - ამხილო ვინმე; "give away the whole show" — წამოგცდეს, გასცე საიდუმლო; "spill one's guts" — თქვა, რასაც ფიქრობ; "blow the whistle on" - მიიტანო ვინმეს ყურამდე.

ამდენად, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის "tell" – „თქმა“ ნომინაციურ ველში გამოიყოფა საერთო კოგნიტური ნიშანი „აზრის გამოთქმა“. ნომინაციურ ველში გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო კომპონენტები კი შეიძლება, უნიფიცირდეს „მჭერმეტყველების“, „საჯარო გამოსვლის“ და „საიდუმლოს გამჟღავნების“ მნიშვნელობებში.

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის - "speak" – „ლაპარაკი“ - ნომინაციური ველის შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი ტიპის რეპერტუარით:

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის - ზმნის "speak" – „ლაპარაკი“ - ანალიზის შედეგად შესაძლებელი

გახდა შემდეგი სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა: რაიმეზე საუბარი; რაიმეს წარმოთქმა; „აღწერა“, „რომელიმე ენაზე ლაპარაკი“, „მჭერმეტყველება“, „რაიმეს მტკიცება“.

სიტყვა-რეპრეზენტატორის "**speak**" – „ლაპარაკი“ ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი ბირთული სემანტიკური კომპონენტები: „მეტყველების უნარი“, „რომელიმე ენაზე მეტყველება“:

The blackest protestant in the land would not *speak* the language I have heard this evening (J.Joyce, A Portrait of an Artist as a Young Man).

მღელვარება დაიოკა, აღარ იცოდა, რა მოემოქმედნა. მაგრამ ბედად, „თევზისფერი ძროხა“ ხელიდან დაძრომოდა გურანდუხტს, შორენას მიეჭრა ცოქალა, ირმების გამო დაუწყო ლაპარაკი (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

კონსტიტუენტები "converse", "talk", "discuss", "chat", "chitchat", "confabulate", "confab", "coze", "pass the time of day", "tell", "yap", "rap", "chin", "chew the rag", "shoot the breeze", "bull" ერთიანდება მნიშვნელობით „მეგობრული საუბარი, ლაქლაქი“, ხოლო ერთეულები "communicate", "inform", "advise", "apprise", "notify", "give notice to", "give word to", "mention to", "point out", "bring to attention", "let know", "have one to know", "give one to understand", "enlighten", "clue in", "open eyes" მოიცავს „ინფორმირების, შეტყობინების, მთავარის გამოყოფის“ მნიშვნელობას:

Odd I haven't been *informed* (E.Waugh, Helena).

Crux since you ran away to get married; and though I detest writing letters, I must lose an hour's shooting to-day in trying to *enlighten* you (W. Collins, No Name).

გედევანმა დამათვალერა, მიმიხმო, ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. მერე წარდს მიუახლოვდა, ახალი ამბავი მოთამაშეებს აცნობა (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ისეთი ზმნები, როგორცაა "convey", "relate", "put across", "get across" ხასიათდება საერთო მნიშვნელობით „აზრის განვითარება, გავრცობა“. ერთეულები "disclose", "reveal", "divulge", "bring out", "make known", "lay open" აღბეჭდილია „საიდუმლოს გაცემის, გამჟღავნების“ მნიშვნელობით.

კონსტიტუენტები "say", "utter", "express", "breathe", "whisper", "give or let out", "come out with", "blurt" ერთიანდება მნიშვნელობით „წარმოთქმა, ჩურჩულით ლაპარაკი“:

In his incomprehensible language the little boy *uttered* a cry of warning and clutched at her skirt (A.Huxley, Island).

– შევუდგეთ დასკვნას! მაშ, ასე, ყოველმა ჩვენგანმა უნდა *წარმოთქვას*: „იქნება უფრო საშიში“ ან „არ იქნება უფრო საშიში“ და მოიყვანოს თავისი შეხედულების მტკიცება (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ერთეულები "speak up", "speak out", "open one's mouth", "pipe up", "bark" მოიცავს საერთო მნიშვნელობას „სიტყვით გამოსვლა“:

He smiled, he opened his mouth to speak, then checked himself (A.Huxley, Island).

ზმნები "articulate", "enunciate", "enounce", "pronounce", "voice", "vocalize" ხასიათდება მნიშვნელობით „მკაფიოდ წარმოთქმა“, ხოლო ერთეულები "discourse“, "make a speech", "give a talk", "deliver an address", "address", "soapbox", "platform" მოიცავს მნიშვნელობას „ორატორება, აუწყო, მიმართო ვინმეს“. კონსტიტუენტები "declaim", "hold forth", "orate", "lecture", "sermonize", "preach", "pontificate" აღბეჭდილია მნიშვნელობით „ქადაგება, სწავლება“:

'When you get to be a real minister you'll have to *preach* that sermon over again, Peter,' grinned Dan (L.M.Montgomery, The Golden Road).

თავად კათალიკოსი სწირავდა. ნაწირველს დიდხანს *იქადაგა* მელქისედეკმა. (ვ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

ელემენტებს "harangue", "rant", "out-herod Herod", "spout", "spiel", "spruik" აერთიანებს „ხმამალა და არაკეთილგანწყობილი ლაპარაკისა და კრიტიკის“ მნიშვნელობა. ერთეულები "signify", "import", "point to", "give a token or sign of", "betoken", "bespeak", "show", "demonstrate", "display", "evinced", "exhibit", "manifest", "betray", "give away" მოიცავს საერთო მნიშვნელობას „მეტყველებს რაიმეზე, მიუთითებდეს რაიმეზე“. ზმნებს "indicate", "imply", "intimate", "mean", "denote", "connote", "suggest", "purport" აერთიანებს „რაიმეზე მინიშნების, ვარაუდის“ მნიშვნელობა.

ამდენად, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის "speak" – „ლაპარაკი“ ნომინაციურ ველში გამოიყოფა ისეთი საერთო კოგნიტური ნიშნები, როგორცაა: "pass the time of day" — ლაქლაქი, დროის ლაპარაკში გალევა; "chew the rag" — ლაქალაი, ჭორაობა; "shoot the breeze" — ბევრი ლაპარაკი, დროის გალევა ლაპარაკში; "open eyes" — თვალის ახელა რაიმეზე.

სემანტიკური ანალიზის შედეგად გამოვლენილი კომპონენტები უნიფიცირდებიან ისეთ კოგნიტურ ნიშნებში, როგორცაა: „ენის გამოყენების, რომელიმე ენაზე მეტყველების უნარი“, „მეგობრული საუბარი“, „ინფორმირება“, „საიდუმლოს გამჟღავნება“, „აზრის გამოთქმა“, „მჭერმეტყველება“, „რჩევის მიცემა“, „დაჟინებით ლაპარაკი“.

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა რეპრეზენტატორის - "talk" – „ლაპარაკი“ - ნომინაციური ველის შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი ტიპის რეპერტუარით:

მეტყველების კონცეპტის პირდაპირი ნომინაციის, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის - ზმნის talk /ლაპარაკი - ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგი სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა: ვინმესთან ლაპარაკი; რაიმე მნიშვნელოვანზე, სერიოზულზე ლაპარაკი; სიტყვის წარმოთქმა რომელიმე ენაზე; ჭორაობა; ინფორმაციის გაჟღერება.

სიტყვა-რეპრეზენტატორის - ზმნის talk/ლაპარაკი ირგვლივ გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ისეთი სემანტიკური კომპონენტების გამოყოფა, როგორცაა: ლაპარაკი, განხილვა, ბევრი ლაპარაკი.

But I believe I rather like superstitious people. They lend color to life. Wouldn't it be a rather drab world if everybody was wise and sensible . . . and good? What would we find to *talk* about? (L.M. Montgomery, Anne of Windy Poplars).

მოვიყვან, გაეცანით მის არსს და განხილვას შევუდგეთ (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

კონსტიტუენტები "communicate", "converse", "exchange ideas", "rap or rap with", "speak with or to", "have a talk or little talk with", "consult", "confer", "check with", "parley", "parle", "palaver", "discuss", "talk over", "consider" ერთიანდება მნიშვნელობით „საუბარი, აზრებისა და გამოცდილების გაზიარება“, „უმნიშვნელო თემაზე საუბარი“. ელემენტები "gossip", "buzz", "tell secrets or confidences", "blab", "circulate or spread rumors", "dish the dirt", "talk behind back" მოიცავს სემანტიკურ კომპონენტს „ჭორაობა“:

The news, and more than news in a hundred fantastic distortions, *spread* through the town (E. Waugh, Helena).

ზმნები "whisper", "breathe" აღბეჭდილია მნიშვნელობით „ხმადაბლა ლაპარაკი“, „ჩურჩული“

'Under the sign of the Rose', he *whispered*. 'This cryptex... I think I know what it is' (D. Brown, The Da Vinci Code).

მივხვდი, რომ დანარჩენი სათქმელიც *ჩურჩულით უნდა გვეთქვა*, მაგრამ არ მესმოდა, რას გულისხმობდა, და ვიყავი გაჩუმებული (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ელემენტებს "chatter", "jabber", "prattle", "cackle", "gibber", "gibber-jabber" აერთიანებს „აღელვებითა და სწაფად ლაპარაკის“ მნიშვნელობა. კონსტიტუენტები "babble", "prate", "tattle", "twaddle", "twattle" მოიცავს ისეთ მნიშვნელობას, როგორცაა „ტარტატი, ყბედობა, ტიტინი, ლულლული, ბუტბუტი“. ერთეულები "patter", "gabble", "blather", "drivel" აღბეჭდილია მნიშვნელობით „სისულელის, უაზრობის ლაპარაკი“.

ზმნები "mumble", "mutter", "stammer", "stutter", "splutter", "sputter", "spit out" ერთიანდება მნიშვნელობით „ბუტბუტი, ლულლული, ბრაზით ლაპარაკი“:

'I wanted to thank you' Murugan *muttered* between his teeth and in a tone that would have been appropriate to You dirty swine (A. Huxley, Island).

რომ გაათავა ამ კაცმა ლაპარაკი, ახლა მიწურებიდან ამომძვრალმა ხალხმა დაიწყო *ბუტბუტი* (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

კონსტიტუენტები "chat", "chitchat", "chitter-chatter", "chaffer", "bandy words", "chin", "confabulate", "confab", "coze", "pass the time of day" მოიცავს მნიშვნელობას „ლაქლაქი, ყბედობა, დროის ლაპარაკში გალევა“. ერთეულებს "talk idly", "shoot the breeze", "chew the fat or rag", "jaw", "gas", "gab", "bull or shoot the bull" აერთიანებს სემანტიკური ნიშანი „ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ლაპარაკი“. ზმნები "palaver", "clack", "clatter", "yap", "yak", "yackety-yak", "schmooze" აღბეჭდილია სემანტიკური ნიშნით „სისულელის, უაზრობის ლაპარაკი“.

ზმნებს rattle, rattle on, go on, bend ear off, run off or on at the mouth, have diarrhea of the mouth აერთიანებს სემანტიკური ნიშანი „დიდი ხნის განმავლობაში შეუჩერებლად ლაპარაკი“. ელემენტები be loquacious, ramble (on), maunder, digress, go off on a tangent მოიცავს ისეთ საერთო სემანტიკურ ნიშანს, როგორცაა „დადალო ვინმე შენი ლაპარაკით, თხრობით“:

Celia went on: 'There are some things I don't understand, like the electric light bulbs the day the police came' (A.Christie, Hickory Dickory Dock).

როცა მოღლილი და მოქანცული თეიმურაზი ლაპარაკით გულის ჟანგს მოიფხვკდა, სულის ობს მოიბანდა და აქვეებულ ენას მოიფხანდა, სახლისკენ გასწევდა (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

კონსტიტუენტები open one's mouth, speak, articulate, enunciate, enounce, pronounce, voice, give voice or mouth to, vocalize, put in words აღბეჭდილია სემანტიკური ნიშნით „ბგერების, სიტყვების, მარცველების წარმოთქმა“:

Langdon opened his mouth, but still no words came (D.Brown, The Da Vinci Code).

გაგუდული ჩურჩული იყო, თითქოს ვინმემ ყელში წაუჭირა და ისე ათქმევინა ის სიტყვები (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ერთეულები express, express one's opinion, speak up, pipe up, speak out, speak one's piece, put in one's two cents worth, speak one's mind, say what's on one's mind მოიცავს ისეთ საერთო სემანტიკურ ნიშანს, როგორცაა „ახსნა, აზრის გამოთქმა“. ზმნებს air, vent, ventilate აერთიანებს მნიშვნელობა „საჯაროდ, ღიად მსჯელობა, საკუთარი აზრებისა და იდეების გახმოვანება“:

Presumably he was one of those tame working men who *air* their views in ladies' drawing rooms (D.Walsh, The Legacy).

ან რა ნიჭის გამო შეიძლებოდა ამ მონახაზის მიხედვით *მსჯელობა?* ცხადია, დასცინოდა იგი არსაკიძეს (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

კონსტიტუენტები discourse, make a speech, give a talk, deliver an address, address, soapbox, platform მოიცავს საერთო სემნატიკურ ნიშანს „მყარ მოსაზრებათა გამოთქმა, მიმართვა ვინმესადმი“. ზმნები declaim, orate, lecture, sermonize, preach, pontificate, hold forth ერთიანდება სემნატიკური ნიშნით „ქადაგება, საკუთარი სიმართლის მტკიცება“. ელემენტები harangue, rant, out-herod აღბეჭდილია მნიშვნელობით „გაკრიტიკება, საკუთარი უკმაყოფილების გამოთქმა“. კონსტიტუენტები rhapsodize, gush, spout, spruik მოიცავს „ხატოვნად, ენთუზიაზმით ლაპარაკის“ მნიშვნელობას.

ელემენტებს disclose, reveal, divulge, give out, come out with, blurt out, let slip or drop, let out, spill, put one's foot in one's mouth აერთიანებს მნიშვნელობა „საიდუმლოს გამჟღავნება, საუბარში ჩარევა“. ფრაზეოლოგიური ერთეული put one's foot in one's mouth აღბეჭდილია მნიშვნელობით „რაიმე ზედმეტის, ვინმესათვის საწყენის თქმა“. ზმნები express, utter, say, state, declare, proclaim მოიცავს „აზრის გამოხატვის, განაცხადის გაკეთების“ მნიშვნელობას:

„– ძალიან რიგიან გუნებაზე დავდექი. მომეცით პაპიროსი და დამისხით ჯამში. მეც უნდა ვთქვა!“ – *განაცხადა* ნანომ, – „დამისხი, ლაზო“ (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

I'm going back up," Sophie *declared*, her voice hollow in the stairwell (D.Brown, The Da Vinci Code).

ელემენტები "recount", "relate", "convey", "put or get across" ერთიანდება სემნატიკური კომპონენტით „გამოცდილების, მოგონებების გაზიარება“, „საკუთარი აზრების სხვების ყურამდე მიტანა“:

„– აღარა ჰყიდის, წიგნი გაირყვნა და გაფუჭდაო,“ – *აცნობა* შალითურმა (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

Some of the entries *conveyed* nothing to him (Walsh, The Legacy).

კონსტიტუენტები "tell", "inform", "advise", "notify", "give word to", "let know", "bring to attention", "point out", "enlighten", "clue in", "tip off", "give one to understand" ალბეჰდილია „ინფორმირების, რჩევის მიცემისა და წინასწარ გაფრთხილების“ სემანტიკური ნიშნით.

ამდენად, ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატორის "talk" ნომინაციურ ველში გამოიყოფა ისეთი საერთო კოგნიტური ნიშნები, როგორიცაა: „საუბარი“, „დროის გატარება“, „ლაპარაკის მანერა“, „აზრების გამოხატვის ფორმა“, „ლაპარაკის უნარი“, „დარწმუნება“, „ლაპარაკით ზიანის მიყენება“, „მზრუნველობის, ყურადღების გამოჩენა“.

საკვლევ ენებში ფრეიმი "speech production" – „მეტყველება“ ობიექტივიზირდება ისეთი ნომინაციური ველების მეშვეობით, როგორიცაა: "say", "tell", "speak", "talk" - „თქმა“, „ლაპარაკი“. აღნიშნული ნომინაციური ველები წარმოადგენს მეტყველების კონცეპტის ბირთვულ კონსტრუქტებს, ვინაიდან მათი ელემენტების მნიშვნელობაში ყველაზე „წმინდა სახითაა“ წარმოდგენილი ზეპირმეტყველების კონცეპტი.

მეტყველების კონცეპტის ახლო პერიფერია წარმოდგენლია ისეთი კონსტრუქტებით, როგორიცაა: ფრეიმის "speech production" (მეტყველება) ქვეფრეიმები "verbal expression" (ვერბალური გამოხატულება) და "pronouncing" (წარმოთქმა).

- ქვეფრეიმი "verbal expression" (ვერბალური გამოხატულება):

What you *verbalize*, you internalize (E. Lepins, Quotes).

აღნიშნული ქვეფრეიმი ობიექტივიზირდება ისეთი ზმნებით, როგორიცაა: "word" - სიტყვებით გადმოცემა, განსიტყვება; "verbalize" - სიტყვებით გადმოცემა, განსიტყვება.

- ქვეფრეიმი "pronouncing" (წარმოთქმა):

The main factor that makes leadership potentials to become abused often is ignorance. Many people can merely spell their names in alphabets, but cannot *pronounce* their brands! (I. Ayivor, The Great Hand Book of Quotes).

„უცებ დავიბენი... რომელი ვკითხოთ, კლიმ?" - მაღამ ბოვარი, - მოწიწებით წარმოთქვამს კლიმი. (გ.დოჩანაშვილი, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა).

აღნიშნული ქვეფრეიმი იბიექტივიზირდება მეტყველების ხმოვანი, შინაარსობრივი და რაოდენობრივი მარკერების ნომინაციური ველის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაც წარმოდგენლია ისეთი ზმნებით, როგორიცაა: **pronounce** - წარმოთქმა; **utter** - გამოთქმა; **enunciate** - წარმოთქმა; **articulate** - მკაფიოდ, გარკვევით წარმოთქმა; **sound** - ხმის გამოცემა; **voice**, - გამოთქმა; **stress** - მახვილის დასმა; **accent** - აქცენტირება, **accentuate** - მახვილის გაკეთება. აღნიშნულ ზმნათა ფრეიმში ხდება მეტყველების ფიზიკური პროცესის აქცენტირება (ზგერების, ხმისა და მეტყველების ორგანოების საშუალებით) და მეტყველების შინაარსობრივი ასპექტის მინიმიზაცია. არტიკულაციის ზმნებში წარმოდგენილია სემები, რომლებიც ასახავს წარმოთქმის ხასიათს - (მკაფიო/არამკაფიო), (სწრაფი/ნელი წარმოთქმა) და სხვა. ადრესატი არ არის ექსპლიცირებული - იგი იგულისხმება.

მეტყველების ხმოვანი, შინაარსობრივი და რაოდენობრივი მარკერების ნომინაციურ ველში გაერთიანებულია სამეტყველო ქმედების აღმწერი ის ელემენტები, რომლებიც გადმოცემს მეტყველების ხმოვანი გაფორმების თავისებურებას, აზუსტებს ხმის სიმაღლეს, მეტყველების ტემპს და სხვ. აღნიშნული ველი ასევე მოიცავს მეტყველების შინაარსობრივი და რაოდენობრივი პლანის აღმწერ ელემენტებს. „მეტყველების ხმოვანი, შინაარსობრივი და რაოდენობრივი მარკერების“ ნომინაციური ველის რეპერტუარს ქმნის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: **articulate** - მკაფიოდ, გარკვევით წარმოთქმა; **croak** - ჩხავილი; **babble** - ტიტინი, ტიკტიკი; ბუტბუტი; **gabble** - რომვა; ბუტბუტი, ლულლული, არამკაფიოდ ლაპარაკი. **gibber** - ლულლული; **maunder** - ლულლული, ბუტბუტი; **mumble** - ჩიფჩიფი, ბუტბუტი:

She is a hard, clever Frenchwoman, who would like to amuse herself and enjoy her Paris, and she must be bored to death at passing all her time in the midst of stupid English people who **mumble** broken French at her (J. Henry, *A Bundle of Letters*).

კაიშაური კი ბორგავს და *ლულლულეებს*: - დედას ვხედავ. აი, აქვე სდგას. - და მოხუცი ჩემს ხელს ებებს. პოულობს და უნდილად უჭერს, თან *ჩიფჩიფებს*: - ნეტა რა გინდა, დედი? რად დამცქერი სევდიანის ღიმილით?.. თავსაც მიქნევ... თითქოს მეძახის (მ.ჯავახიშვილი, მიწის ყივილი).

აღნიშნულ ველში ასევე შედის შემდეგი ელემენტები: **hiss** - სტვენა; სისინი, **whisper** - ჩურჩული; **murmur** - ზუზუნი; დაყრუებული ხმა; ჩურჩული; ბუზღუნი; **mutter** - ბუტბუტი, ლულლული, ღრენა, ბუზღუნი, ჩუმად, არამკაფიოდ ლაპარაკი; **roar** - ღრიალი, ბღავილი; **purr** - კრუტუნი, **lisp** - ჩლიფინი, ტიტინი, ტიკტიკი; **stutter** - ბორძიკით ლაპარაკი, ენის დაბმა, ენის წაბორძიკება, ბლუკუნნი; **whimper** - ფშლატუნნი, სლუკუნნი, ზლუქუნნი, წუწუნნი; **natter** - ბუზღუნნი; **prattle** - ტიტინი, ტიკტიკი; **twitter** - ჭიკჭიკი, ჟღურტული; **cheep** - წრიპინი, წრუწუნნი; **wheeze** - ხმაჩახლეჩით, ჩახლეჩილი ხმით თქმა; **cackle** - კაკანი, ყიყინი, ყაყანი:

I've got no wife to worm it out of me and then run out and *cackle* it in everybody's hearing (G. Eliot, Adam Bede).

წიკლაურები წამოიშალნენ, მომეხვივნენ და *ყაყანდნენ*: - არ გაგიშვებთ არა!... ვერ წახოლ, ვერა!... აქ დამჩები, აქა! შენც ჩვენი ჯილაგისა ხარ, ჩვენი! (მ.ჯავახიშვილი, თეთრი საყელო).

აღნიშნული ველის რეპერტურს ქმნის ისეთი ელემენტები, როგორცაა: **squawk** - ჭაჭყანი; **bellowing** - როყროყი; **mumble** - ჩიფჩიფი, ბუტბუტი; **grumble** - ბუზღუნნი; **cheep** - წრიპინი, წიკვინი, წიწინი; **peep** - წრიპინი, ჭიკჭიკი, ჟღურტული; წვრილი ხმით ლაპარაკი; **squawk** - ჭაჭყანი; **chirrup** - ჭიკჭიკი, ჟღურტული; **twitter** - ჭიკჭიკი, ჟღურტული; **blab** - რომვა; **blunder** - რომვა, ყრანტალი; **blurt** - რომვა, ყრანტალი; **jabber** - ტარტარი, ტლიკინი, რატრათი; **waffle** - ყბედობა; **twaddle** - ყბედობა, ლაქლაქი, ენის ტარტარი, ლაყბობა, რომვა; **blether** - ყბედობა, ლაყბობა, რომვა; **tattle** - ყბედობა, ჭორაობა, რომვა; **piffle** - ყბედობა, ენის ტარტარი; **whine** - ჭიჭინი; **jabber** - ყბედობა, ლაქლაქი, ენის ტარტარი; **chatter** - ლაქლაქი, ყბედობა; **rave** - ბოდვა; **stumble** - ბორძიკით ლაპარაკი; ენის დაბმა, ენის წაბორძიკება; **stammer** - ბორძიკით ლაპარაკი, ენის ბორძიკი, ბლუყუნნი; **falter** - ბორძიკით ლაპარაკი; ენის დაბმა, ენის წაბორძიკება; **stammer** - ბორძიკით ლაპარაკი; ენის დაბმა, ენის წაბორძიკება.

Forgive me," I managed to **stammer** (E.Rice, The Land That Time Forgot).

იმ საღამოს თეიმურაზი თეატრში იყო და მარგოს კუდივით დასდევდა. ხოლო ორი კვირის შემდეგ, ერთ მთვარიან საღამოს დრო იხელთა და დაჩრდილულ ხეივანში ასე *აბორძიკდა*: - „ერთი რამ უნდა მ...მმოგახსენოთ... ყური მიგდეთ... ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი ჟამია. ალბათ მიცნობთ... მარტოხელა კაცი ვარ...“ (მ.ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები)

- მეტყველების კონცეპტის ახლო პერიფერია ასევე წარმოდგენილია ქვეფრეიმით "**informing**" (ინფორმირება).

Whenever a man can get hold of numbers, they are invaluable: if correct, they assist in *informing* his own mind, but they are still more useful in deluding the minds of others. Numbers are the masters of the weak, but the slaves of the strong (Ch. Babbage, Passages from the Life of a Philosopher)

აღნიშნული ქვეფრეიმი საფუძვლად უდევს შეტყობინების ქვეჯგუფის ზმნებს. ამ კომუნიკაციურ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეტყობინების შინაარსი და იგი შეიძლება, გადმოიცეს სხვადასხვა ზმნებით სიზუსტის სხვადასხვა ხარისხით, ხოლო წარმოთქმის ხასიათი მეორე პლანზეა გადატანილი: "**inform**" - შეტყობინება, ინფორმაციის მიწოდება, ინფორმირება:

Crux since you ran away to get married; and though I detest writing letters, I must lose an hour's shooting to-day in trying to *enlighten* you (W. Collins, No name).

„- სამთუმან-ნახევარი მქონდა, კაპიკი აღარა მაქვს!“ - *მაცნობა* ჩემმა ბატონმა. - წავაგე. ვერაფერი გამიგია... (ჭ.ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება ისეთი ელემენტები, როგორცაა: **notify** - შეტყობინება, ცნობება, საყოველთაოდ გამოცხადება; **announce** - გამოცხადება, განცხადების გაკეთება, შეტყობინება; **instruct** - სწავლება, გაწვრთნა, ინსტრუქტირება, ცნობება, შეტყობინება, ინფორმაციის მიწოდება, ინფორმირება; **declare** - გამოცხადება, განცხადება; თქმა, საჯაროდ თქმა; **claim** - მოთხოვნა; პრეტენზიის ქონა, პრეტენზიის განცხადება; **state** - ცნობება, უწყება, შეტყობინება, განცხადება,

კონსტანტირება, დადასტურება, თხრობა; **decree** - ბრძანებულების გამოცემა; **dedicate** - გამოცხადება (საზეიმოდ); **assert** - მტკიცება; **affirm** - მტკიცება, დამოწმება, დადასტურება; **confirm**- დადასტურება, დამოწმება, დამტკიცება; **publicise** - რეკლამირება; გახმაურება, გათქმა, ხმების დაყრა, შეტყობინება; აღნიშნულ ზმნათა ფრეიმების შინაარსობრივი მარკერებია „ოფიციალურად“ და „ჭეშმარიტად“.

ქვეფრეიმი **"informing"** (ინფორმირება) ობიექტივიზირდება ისეთი ნომინაციური ველების მეშვეობით, როგორცაა: **"predicting"** (წინასწარმეტყველება), **"lying"** (ცრუ ინფორმაციის გადაცემა), **"slandaring"** (ცილისწამება), **"conversation"** (საუბარი). ეს უკანასკნელი მოიცავს ორ თემატურ ჯგუფს (ზონას) - **"ask"** (შეკითხვა) და **"answering"** (პასუხი).

- ნომინაციური ველის **"predicting"** (წინასწარმეტყველება):

აღნიშნული ველის შინაარსობრივი მარკერია „იქნება“ და „ალბათ“: **predict** - წინასწარმეტყველება, წინასწარგანჭვრეტა; **foretell** - წინასწარმეტყველება; **forecast** - წინასწარმეტყველება, პროგნიზირება; **forewarn** - წინასწარ გააფრთხილება; **bode** - წინასწარმეტყველება; **calculate** - ვარაუდი, გაანგარიშება; **cast** - გათვლა, გაანგარიშება; **envision** - ცხადად წარმოდგენა; **forebode** - წინასწარმეტყველება; **foresee** - განჭვრეტა; **foreshadow** - წინასწარ გაფრთხილება; **portend** - წინასწარმეტყველება; **prefigure** - ვარაუდი; **presage** - წინასწარმეტყველება, წინასწარ თქმა; **soothsay** - წინასწარმეტყველება, წინასწარ თქმა:

Your fear comes not from what you're afraid will happen. Your fear comes from thinking what may happen. You cannot *predict* your future. You can however, create your future. What happened yesterday is over. What happens today is up to you.... (J. A. Murphy, The Waves of Life Quotes and Daily Meditations).

თეიმურაზმა თავის მამის ხელი იცნო. როდის წააწერა, როდის იწინასწარმეტყველა ავთანდილმა? სულ ერთია. ცხადია მხოლოდ, რომ ბაგრატოვანთა დევიზი უკვე გამართლდა თეიმურაზის კისერზე (მ.ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

- ნომინაციური ველის **"lying"** (ცრუ ინფორმაციის გადაცემა):

აღნიშნული ველის შინაარსობრივი მარკერია „არაჰემმარიტი“: **deceive** - მოტყუება, გაცურება; **brainwash** - ჰკუაში მოტყუება, გაცუცურაკება; **fib** - გამოგონება, მოჭორვა; **perjure** - მოტყუება; **invent** - გამოგონება, მოჭორვა; **misrepresent** - დამახინჯება, არასწორად წარმოდგენა; **prevaricate** - ტყუილის ლაპარაკი:

The man who *lies* to the world, is the world's slave from then on...There are no white lies, there is only the blackest of destruction, and a white lie is the blackest of all (A. Rand, Atlas Shrugged).

ჭონიამ ზამთარადის დაბნეულობით ისარგებლა, გამოცოცხლდა და სხაპასხუპით იცრუა: „ – ცუცა ამ ფულს რომ მადლევა, ასე მითხრა, ექიმს შენ თვითონ მიეციო“ (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

- ნომინაციური ველის "slandering" (ცილისწამება)

Why do people apologize after they *slander* against your good name? It is not so much a feeling of slander as it is that of a massive lie, a misdeed not only to the slandered but also to those manipulated in the process. He has made them all, every one, his enemies, thereupon he is so overwhelmed with guilt that he will deny it until his grave (C. Jami, Killosophy).

აღნიშნული ველის შინაარსობრივი მარკერია ცრუ ან ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას ვინმეს ნების გარეშე ან საზიანოდ: **vilify** - ძაგება, ძვირის, აუგის თქმა, ლანძღვა, გინება; **traduce** - ცილის წამება; ძვირის თქმა, ავად ხსენება; **insinuate** - ცილის წამება; **gossip** - ჭორაობა; **blab** - ჭორაობა; **bruit** - ჭორაობა; **rumour** - ხმების გავრცელება:

From his conversation--he spoke in a soft, deep-toned voice--there emerged the vague *rumour* of the London streets by night (W.S.Maugham Of Human Bondage).

გავრცელებული იქნა ხმა, თუ, სახელდობრ, ვისთან განთავისუფლდა ბეჩუნი პერტია სარჩიმელიას სიყვარულის შედეგად დარჩენილი ფეხმძიმობისგან (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ნომინაციური ველი "conversation" (საუბარი) მოიცავს ორ თემატურ ჯგუფს (ზონას) - "asking" (შეკითხვა) და "answering" (პასუხი):

„- სად მიბრძანდება ბატონი, ან რომელი ცხენი ბრძანა?" - ჰკითხა მეჯინიბემ (ვ. ბარნოვი, მიმქრალი შარავანდედი).

Ask me no questions, and I'll tell you no fibs (O. Goldsmith, *She Stoops to Conquer*).

- არა, - მივუგე, - ბოლოს და ბოლოს, თქვენ შეგიძლიათ, *პასუხი რომ გამცეთ* კითხვებზე? (გ. დოჩანაშვილი, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა).

'Exactly!' said Deep Thought. 'So once you do know what the question actually is, you'll know how to *answer it*' (D. Adams, *The Hitchhiker's Guide to the Galaxy*).

თემატური ჯგუფის "ask" (შეკითხვა) რეპერტუარს ქმნის ისეთი ზმნები, როგორცაა: **ask** - შეკითხვა; **enquire/inquire** - კითხვების დასმა, ცნობების შეგროვება; **demand** - კითხვა, პასუხის მოთხოვნა; **probe** - წინასწარ მოსინჯვა, გამოკვლევა; **stump** - ჩიხში მომწყვდევა, საგონებელში ჩაგდება; **harry** - წვალება, გულის გაწყალება; **hassle** - წვალება, გულის გაწყალება; **query** - კითხვა, მოკითხვა, პასუხის მოთხოვნა, ვისიმე, რისამე ამბის კითხვა; **pump** - ცნობების გამოცინცვლა, გამოტყუება; **entreat** - ვედრება, მუდარა, ხვეწნა; **appeal** - ხვეწნა, თხოვნა, მუდარა; **beg** - თხოვნა, ვედრება, მუდარა, ხვეწნა; **beseech** - თხოვნა, ვედრება, მუდარა, ხვეწნა; **adjure** - ვედრება, მუდარა, ხვეწნა; **implore** - ვედრება, მუდარა, ხვეწნა:

...the most pious Virgin's intercessory power that it was not recorded in any age that those who *implored* her powerful protection were ever abandoned by her (J. Joyce, *Ulysses*)

კაშორი კი ისევ ციხის ტყვესავით *იმუდარება*: - „რაკონტე ანკორ - კიდევ მიამბეთ რამე, კიდევ”. (მ. ჯავახიშვილი, მიწის ყივილი).

აღნიშნულ ნომინაციურ ველში ასევე შედის ისეთი ელემენტები, როგორცაა: **interview** - საუბარი, ბაასი, მუსაიფი, ინტერვიუს ჩამორთმევა; **request** - თხოვნა, შეკითხვა; **examine** - დაკითხვა, ჩვენების ჩამორთმევა; **question** - კითხვა, მოკითხვა, კითხვების დასმა, დაკითხვა; **interrogate** - კითხვა, გამოკითხვა, დაკითხვა; **examine** - დაკითხვა; **crave** - თხოვნა, ხვეწნა, ვედრება; **grill** - წვალება, წამება, დაკითხვა. **თემატური ჯგუფი "answering"** (პასუხი) მჭიდრო კავშირშია კითხვითობის თემატურ ჯგუფთან, რომელიც მოიცავს საპასუხო რეაქციის ზმნებს: **answer** - პასუხი; **reply** - პასუხის გაცემა, პასუხის მიგება; **respond** - პასუხის გაცემა, პასუხის მიგება; **retort** - შეპასუხება, შეკამათება, შედავება; **acknowledge** - დადასტურება, დამოწმება; **react** -

რეაგირება; **refute** - უარყოფა; **rejoin** - პასუხის გაცემა, შეპასუხება; **resolve** - ეჭვების გაფანტვა; **satisfy** - ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება; **counter** - შეკამათება, შესიტყვება; **repartee** - ენამოსწრებული და გონებამახვილური პასუხი; **return** - შეპასუხება, სიტყვის შებრუნება; **riposte** - მოსწრებული პასუხი; **rejoinder** - შეპასუხება; თემატური ჯგუფი "**answering**" (პასუხი) არსებობს მხოლოდ თემატური ჯგუფის "**asking about**" არსებობის შემთხვევაში. ერთად ისინი ქმნიან „მეტყველების“ ფრეიმის თემატურ ჯგუფს "**conversation**" (საუბარი), რომელიც აღწერს მინიმუმ ორი მონაწილის აქტიურ ჩართულობას მეტყველებაში.

მეტყველების კონცეპტის შორეულ პერიფერიას იკავებს ის ზმნები, რომლებშიც ზემოქმედების ფუნქცია აღემატება შეტყობინების ფუნქციას. ფრეიმი "**intention**" (მიზანმიმართული ზემოქმედება) აერთიანებს ზემოქმედების სიძლიერისა და ხასიათის მიხედვით განსხვავებულ ზმნებს, რომელთა ინტეგრალურ სემას წარმოადგენს „მიზანმიმართული ზემოქმედება“.

მეტყველების კონცეპტის შორეული პერიფერია წარმოადგენილია ფრეიმით "**intention**" - „მიზანმიმართული ზემოქმედება“.

ფრეიმი "**intention**" (მიზანმიმართული ზემოქმედება) ობიექტივიზირდება ისეთი ნომინაციური ველების მეშვეობით, რომელთა სიტყვა-იდენტიფიკატორებს წარმოადგენს: „ახსნა“, „მტკიცება“, „დარწმუნება“, „რჩევა“, „ბრძანება“, „პროტესტი“, „ჩივილი“, „კრიტიკა“, „ბრალდება“, „შეურაცხყოფა“, „ლოცვა“ „დამშვიდება“, „ხუმრობა/დაცინვა“.

- ნომინაციური ველი „ახსნა“ - "explain"

Here's a scary thought: What if God called you to give beyond your comfort level? Would you be afraid? Would you try to *explain* it away or dismiss it as impractical? And in the process, would you miss out on a harvest opportunity for which God had explicitly prospered you in the first place? (A. Stanley, Fields Of Gold).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **argue** - დასაბუთება, არგუმენტირება, მტკიცება, დარწმუნება, დაჯერება; **clarify** - განმარტება; **clear** - ნათელყოფა; **commentate** - კომენტირება; **define** - განმარტება; **demonstrate** - ჩვენება, დემონსტრირება; **describe** - აღწერა; **elucidate** -

ნათელყოფა, ახსნა; **enlighten** - ცნობება, შეტყობინება, გაგებინება, ცნობის მიწოდება, ნათელყოფა; **expound** - განმარტება, ახსნა; **illuminate** - ნათელყოფა, შუქის მოფენა; **illustrate** - ილუსტრირება; **interpret** - განმარტება, ახსნა; **paraphrase** - პარაფრაზირება, ახსნა, სხვა სიტყვებით გამოთქმა; **rationalize** - რაციონალურად ახსნა; **reword** - სხვა სიტყვებით გამოთქმა; **translate** - თარგმნა; **explicate** - ახსნა, განმარტება; **instruct** - სწავლება, გაწვრთნა, ინსტრუქციის მიცემა, ინსტრუქტირება, ცნობება, უწყება, შეტყობინება, ინფორმაციის მიწოდება, ინფორმირება.

- ნომინაციური ველი „მტკიცება“ - "prove":

'Small men oft feel a need to *prove* their courage with unseemly boasts', he declared. 'I doubt if he could kill a duck'. Tyrion shrugged. 'Fetch the duck' (G. R. Martin, A Dance with Dragons).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **appear** - საჯარო გამოსვლა, ჩვენება; **ascertain** - დადგენა, გამორკვევა, დარწმუნება; **assure** - დარწმუნება, დაჯერება; **attest** - დადასტურება, დამოწმება; **authenticate** - სინამდვილის დადგენა; დამოწმება; **convince** - დარწმუნება, დაჯერება; **corroborate** - დადასტურება; **demonstrate** - დამტკიცება, მტკიცება; **determine** - განსაზღვრა, დადგენა; **document** - დოკუმენტებით დადასტურება; **establish** - დამტკიცება; **evidence** - დამტკიცება, დამოწმება, დადასტურება; **show** - ჩვენება, დანახვება; **substantiate** - დამტკიცება, დასაბუთება; **testify** - დამოწმება, დადასტურება, მტკიცება; **validate** - დამტკიცება; **verify** - დადასტურება, დამტკიცება; **witness** - დამოწმება, დადასტურება; **confirm** - დადასტურება, დამოწმება, დამტკიცება:

Paul and he were *confirmed* enemies, and yet there was between them that peculiar feeling of intimacy (D. H. Lawrence, Sons and Lovers).

„ - მართალია.“ - დადასტურა თეიმურაზმა. - „მაგისტანა კილოთი წერა თქვენ არ შეგშენით“ (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

- ნომინაციური ველი „დარწმუნება“ - "persuade“:

We all want to believe in impossible things, I suppose, to *persuade* ourselves that miracles can happen (P. Auster, The Book of Illusions).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **argue** - დარწმუნება, დაჯერება; **cajole** - მოთაფვლა, დაყოლიება; **coax** - დარწმუნება, დაყოლიება, დათანხმება; **convince** - დარწმუნება, დაჯერება; **entice** - გადაბირება, გადმობირება; **preach** - ქადაგება; **exhort** - შეგონება, დარწმუნება, რჩევა.

She follows him to town in hope of keeping him there, and tries to **persuade** you that he does not care about you (J. Austen, Pride and Prejudice).

მელქისედეკი არც ისე გულუბრყვილო იყო, ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაარწმუნა იგი სპასალარმა, ხარჭად რომ არა ჰყვდა გიორგის შორენა (კ.გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

- ნომინაციური ველი „რჩევა“ - "**advise**":

'Ah,' I smiled, 'you *advise* me to kill neither him nor myself, but to let him kill me'. (J.London, The Sea Wolf).

კარიჭაშვილი ფეხზე ადგა შალითურს *ურჩია*: „ – ვახტანგჯან, მგონი, ის დროა, ადიუტანტობიდან გადადგე და ტერორისტობა დაიწყო“. (ჭ.ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **counsel** - რჩევა, რჩევა-დარიგების მიცემა; **recommend** - რეკომენდაციის მიცემა, რჩევა; **forewarn** - წინასწარ გააფრთხილება; **warn** - გაფრთხილება, წინასწარ შეტყობინება; **caution** - გაფრთხილება; **propose** - წინადადების შემოტანა, შეთავაზება, ვარაუდი, განზრახვის ქონა, დაგეგმვა; **suggest** - წინადადების შეტანა, შეთავაზება, ვარაუდი, განზრახვა.

- ნომინაციური ველი „ბრძანება“ – "**order**":

At Starbucks I like *ordering* a "Tall venti in a grande cup." That's basically me asking for a small large in a medium cup (J. Kintz, This Book Has No Title).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: "**order**": **dictate** - კარნახი, წერილობითი ბრძანების გაცემა, პირობების კარნახი; **command** - ბრძანების გაცემა; **require** - მოთხოვნა, ბრძანება.

თავისუფლად ამოისუნთქა მაშვრალმა. ღვინო *მოითხოვა*. ფერზედ მოვიდა. გაიღიმა (ვ. ბარნოვი, ტრფობა წამებული).

...there was something spurious in the cut of his jib that suggested a jail delivery and it **required** no violent stretch of imagination to associate such a weirdlooking specimen with the oakum and treadmill fraternity (J. James, Ulysses).

- ნომინაციური ველი „პროტესტი“ – "**protest**":

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **argue** - კამათი, დავა; **confront** - დაპირისპირება; **contend** - შედავება, შეკამათება; **contest** - დავა, კამათი, პაექრობა; **contradict** - წინააღმდეგობა, უარყოფა; **contravene** - წინააღმდეგობა, გაპროტესტება; **controvert** - შედავება, შეკამათება; **debate** - კამათი, პაექრობა; **disapprove** - დაგმობა, დაძრახვა; **discuss** - პაექრობა, კამათი; **dispute** - კამათი, პაექრობა, დავა; **dissent** - უთანხმოება, აზრთა სხვაობა; **oppose** - წინააღმდეგობა, გაპროტესტება; **thwart** - ურჩობა, სიტყვის შეზღუდვა; **wrangle** - კამათი, პაექრობა, დავა, კინკლაობა.

Instead of breaking people down, try building them up. Every person is a brick, and if you are a successful builder, you'll have a formidable wall, and few people willing to *oppose* you (J. Kintz, A Zebra is the Piano of the Animal Kingdom).

ივანემ თეიმურაზის გეზის გამოცვლა არ დაიჯერა, მაგრამ აღარ შეედავა და ხელი გაუწოდა: „- მაშ ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მშვიდობით იყავი, ჩემო თეიმურ!“ (მ. ჯავახიშვილი, ჯაცოს ხიზნები).

- ნომინაციური ველი „ჩივილი“ - "**complain**":

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **disagree** - საწინააღმდეგო აზრის ქონა, შეკამათება; **grouse** - ბუზღუნა; **growl** - ბუზღუნა; **grumble** - ბუზღუნა; **mind** - შედავება, შეკამათება; **nag** - ჩივილი, წუწუნა; **protest**- პროტესტის განცხადება; **whine** - წუწუნა:

Some who have read the book, or at any rate have reviewed it, have found it boring, absurd, or contemptible, and I have no cause to *complain*, since I have similar opinions of their works, or of the kinds of writing that they evidently prefer (J.R.R. Tolkien, The Lord of the Rings).

ხომ იცი, ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ჩვილის ... წუწუნის. ახლა კი თვითონ ვწუწუნებ!.. ღმერთო ჩემო, როგორ იცვლება თურმე ყველაფერი ამ ქვეყანაზე! (ლ. ქიაჩელი, იმედები).

- ნომინაციური ველი „კრიტიკა“ - "**criticize**"

Even if you do nothing, say nothing and be nothing, there will still be many who will criticise you. It is much better to be *criticised* for successthan be condemned for failures because success rids you of the many miseries of life (A. Singh, The Secret Red Book of Leadership).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: "**assail**" - თავდასხმა, იერიშის მიტანა, შეტევა; "**berate**" - ლანძღვა, გინება:

Well, one day--and an ill day it was for that saucy fellow--he sought to *berate* my father, I standing by (H. Pyle, The Merry Adventures of Robin Hood).

- არც თქვენს გგგ-გალანძვას ვაპირებ, არც საყვედურს, ამიტომ გთხოვთ ნუ შემინდებით (მ.ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობას ქმნის ასევე ისეთი ელემენტები, როგორიცაა: **censure** - მსჯავრის დადება, გაკიცხვა, დაგმობა, საყვედურის გამოცხადება; **chide** - ლანძღვა; **condemn** - მსჯავრის დადება, მხილება, წუნის დადება; **decry** - გაკიცხვა, დაძრახვა, დაგმობა, განსჯა; **denounce** - მსჯავრის დადება, დაგმობა, მხილება; **descant** - მსჯელობა; **invalidate** - გაუქმება, კანონერი ძალის წართმევა; **jaw** - საყვედურის გამოცხადება, დატუქსვა; **knock** - გაკრიტიკება; **lecture** - საყვედურის გამოცხადება, დატუქსვა; **objurgate** - დატუქსვა; **rag** - ჩიჩინი, გულის გაწვრილება; **rebuke** - საყვედური; **remonstrate** - გააპროტესტება; **reprimand** - საყვედური; **reproach** - საყვედური, გამტყუნება, დაბრალება; **reprobate** - გაკიცხვა, დაძრახვა, დაგმობა, გაქირდვა; **reproof**- საყვედური; **scold** - ლანძღვა, გინება, დატუქსვა; **scrutinize** - კრიტიკულად განხილვა, შესწავლა, დაწვრილებით გამოკვლევა; **trounce** - საყვედური; **vilify** - ძაგება, ძვირის, აუგის თქმა, ლანძღვა, გინება; **reprehend** - საყვედური, დატუქსვა:

I, who have been for seventeen years constantly with Charlotte Henley, find each day something new in her, not to admire, but *to reprehend* (C. J. Fenimore, *Imagination and Heart*).

გირშელი გაოცდა მართლაც... ამდენი ირმები არ ენახა ერთად თავმოყრილი.
უსაყვედურა გიორგის, ცუდად გყოლიაო მოვლილი (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

- ნომინაციური ველი "accuse" - „ბრალდება“

The man had a smooth voice, like velvet. 'I'm Detective Inspector Me. Unusual name, I know. My family were incredibly narcissistic. I'm lucky I escaped with any degree of humility at all, to be honest, but then I've always managed to exceed expectations. You are Kenny Dunne, are you not?' 'I am'. 'Just a few questions for you, Mr Dunne. Or Kenny. Can I call you Kenny? I feel we've become friends these past few seconds. Can I call you Kenny?' 'Sure', Kenny said, slightly baffled. 'Thank you'. Thank you very much. It's important you feel comfortable around me, Kenny. It's important we build up a level of trust. That way I'll catch you completely unprepared when I suddenly *accuse* you of murder (D. Landy, *Death Bringer*).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **blame** - გაკიცხვა, გაკილვა, ბრალის დადება, დაბრალება, დადანაშაულება; **charge** - ბრალის დადება, დაბრალება, დაწამება, დადანაშაულება; **criminate** - ბრალის დადება, დაბრალება; **denounce** - მსჯავრის დადება, დაგმობა, მხილება; **impeach** - დაეჭვება; გაკიცხვა, გაკილვა, დაბრალება; **impugn** - სადაოდ გახდომა, შედავება, შეცილება, უარყოფა; **impute** - დაბრალება; **reprehend** - საყვედურის გამოცხადება, დატუქსვა; **reproach** - საყვედური, გამტყუნება, ბრალის დადება.

- ნომინაციური ველი "insult" - „შეურაცხყოფა“:

We cannot choose who *offends* us, but we can choose how to respond when we are insulted (M. Machingura, *How I Kissed Heartbreak Goodbye*).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **offend** - წყენინება, შეურაცხყოფა; **abuse** - ლანძღვა, გინება, ტუქსვა; **snub** - დატუქსვა; **blaspheme** - ღვთის გმობა; წაბილწვა - **befoul**; **damn** - დაწყევლა, გინება,

ლანძღვა, გაკიცხვა, დაძრახვა; **debase** - დამცირება; **desecrate** - წაბილწვა, შებლაღვა; **imprecate** - დაწყევლა, შეჩვენება; **pollute** - წაბილწვა, შებლაღვა; **revile** - გინება, ლანძღვა, შეურაცხყოფა; **scorn** - აბუჩად აგდება; უგულვებელყოფა; **swear** - გინება, ლანძღვა; **cuss** - გინება, ლანძღვა, წყევლა; **curse** - დაწყევლა, გინება, ლანძღვა:

- *Curse your bloody blatant soul, Mr Dedalus cried, turning on him (J. Joyce, Ulysses).*

ხათუთამ არ იცის საწყენ ნიშანის - ზმორების, ხრჩობისა და კლაკუნის მიზეზი. „მაძახურამ *დამწყევლაგო*“. მე კი ვიცი, რომ ჩემი წაწალი ბუნებამ დასწყევლა, იმიტომ დასწყევლა, რომ გათხოვება დაუგვიანეს (მ. ჯავახიშვილი, თეთრი საყელო).

- ნომინაციური ველი "**calm**" - „დამშვიდება“:

.... general, it's not too hard to corrupt an American, mostly a matter of supply to their demand. Supply should be variegated to encourage the Illusion of Choice. Other than that they're looking for numbness, so be ready to *calm*. Drugs, booze, television, shopping, etc... (G. W. Grimrack, An Infernal Epistolary).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: compose - დამშვიდება; **lull** - დამშვიდება, დაწყნარება; **quiet** - დამშვიდება; **sedate** - დამშვიდება; **settle** - დამშვიდება, დაწყნარება; **soothe** - დამშვიდება, დაწყნარება, დამოშმინება; **steady** - დასტაბილურება; **still** - დამშვიდება, დაწყნარება, დამოშმინება; **tranquilize** - დამშვიდება, დაწყნარება:

...the other for himself when necessary, knelt on one knee, *composed* in the grate a pyre of crosslaid resintipped sticks and various coloured papers and irregular polygons of best Abram coal... (J. Joyce, Ulysses)

სხვა ჯაყოს თეიმურაზი ვეღარ იშოვნოდა, ამიტომ დატუქსულ შეგირდით ბოდიშს იხდიდა და გამწყრალ მოურავს *ამშვიდებდა*: - ნუ ჰყვირი, ჯ... ჯჯაყო. ამიერიდან უშენოდ არავის აღარავითარ შეღავათს არ მივცემ (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

- ნომინაციური ველი "**pray**" - „ლოცვა“:

The book was turned to the page with Anne Frank's name, but what got me about it was the fact that right beneath her name there were four Aron Franks. FOUR. Four Aron Franks without museums, without historical markers, without anyone to mourn them. I

silently resolved to remember and *pray* for the four Aron Franks as long as I was around. (J. Green, *The Fault in Our Stars*).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **appeal** (to) – მოწოდება, თხოვნა, მიმართვა; **beseech** – თხოვნა, ვედრება, მუდარა, ხვეწნა; **besiege** – თხოვნა, ვედრება, მუდარა; **conjure** – ვედრება, მუდარა, ხვეწნა; **entreat** – ვედრება, მუდარა, ხვეწნა; **implore** – ვედრება, მუდარა, ხვეწნა.

- ნომინაციური ველი „ხუმრობა“/„დაცინვა“ - "joke":


'Auri', I asked slowly, 'are you *joking* with me?' She looked up and grinned. 'Yes I am', she said proudly. 'Isn't it wonderful?' (J. Green, *The Fault in Our Stars*).

აღნიშნული სიტყვა-რეპრეზენტატორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: **chaff** - დაცინვა, გაღიზიანება, გახელება; **josh** - უწყინარი ხუმრობა; **tease** - გაღიზიანება, გახელება; **mock** - დაცინვა, გამასხარავება; **kid** - ხუმრობა; **quiz** - დაცინვა, ხუმრობა, მასხრობა, ოხუნჯობა:

ვერა ყოფილხართ მამაცები, თუ ერთმა ძუმ დაგიჯაბნათ ამდენი თოროსანი რაინდი. *გაიხუმრა* გიორგიმ (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა).

საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტის სტრუქტურა არაერთგვაროვანია: იგი შედგება ერთმანეთის მიმართ დომინანტური სემანტიკების - ბირთვის, ახლო და შორეული პერიფერიისაგან (იხ. სქემა 4).

სქემა 4. მეტყველების კონცეპტის ლექსიკურ – სემანტიკური ველი



თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „მეტყველების“ ფრეიმის შემადგენლობის ანალიზი იძლევა შემდეგ დებულებათა ფორმულირების შესაძლებლობას:

- მეტყველების კონცეპტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საკვლევო კონცეპტი მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორცაა:
 - **ლაპარაკის მანერა** - მეტყველება წარმოადგენს „ხმოვან, ბგერით ხატს“, რომელიც ხასიათდება გარკვეული ნიშნებით. ფიზიკურ ნიშნებს განეკუთვნება ტონალობა (მაღალი, დაბალი), ხმის სიმძლავრე (ხმამაღლა, ხმადაბლა), ვოკალური მარკერები (მღერობა, დახშულობა), ტემპი (სწრაფად, ნელა), რაოდენობა (ცოტა, ბევრი) და არტიკულაცია (დეფექტით, მკვეთრად, გაუგებრად);
 - **აზრის გამოხატვის ფორმა** - აზრის გამოხატვის ფორმის სხვადასხვაობითაა აღბეჭდილი ისეთი ერთეულები, როგორცაა: describe - აღწერა, inform -

ინფორმირება, manifest - გამოვლენა, declare — გაცხადება, mention — აღნიშვნა, palaver - პირფერობა და სხვ.;

- **დამოკიდებულება** - მეტყველების პროცესი ითვალისწინებს სოციალური ურთიერთობის არსებობის ფაქტს. მოცემული ასპექტი ახასიათებს მეტყველებას როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობას: chat — ლაქლაქი, discuss — განხილვა, instruct — ინსტრუქტირება, request — თხოვნა, give away - გამჟღავნება, confess - აღიარება და სხვ.;

- **მიზანდასახულობა** - მოცემულ ასპექტში განისაზღვრება გამონათქვამის კომუნიკაციური მიზანდასახულობა. აქ შესაძლებელია ისეთი ნიშნების გამოყოფა, როგორცაა: „ლაპარაკი როგორც ვინმეს დარწმუნება“, „ლაპარაკი როგორც რაიმეზე მინიშნება“, „ლაპარაკი როგორც რჩევის მიცემა“, „ლაპარაკი როგორც დროის გატარების ფორმა“, „ლაპარაკი როგორც შეფასება“, „ლაპარაკი როგორც ზიანის მიყენება“: attest — მოწმობდეს, depose - არწმუნებდეს, warrant - აფრთხილებდეს, insinuate - მიანიშნებდეს, propose — სთავაზობდეს, dictate - კარნახობდეს (პირობებს), imply - გულისხმობდეს და სხვ.;

3.3. სუბიექტისა და მეტყველების პროცესის მარკერების ობიექტივატორი ფრაზეოლოგიური ერთეულები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

ფრაზეოლოგიზმები, როგორც ლექსიკის განსაკუთრებული ჯგუფი, ასახავს ადამიანის მიერ გარე სამყაროს შემეცნების პროცესის თავისებურებას. მეტყველების ფუნქციონალურ-სემანტიკური სფერო განსაზღვრავს ადამიანის ქმედებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს. აღნიშნული ფუნქციონალურ-სემანტიკური სფეროს საფუძველს წარმოადგენს ქმედების ცნება, რომელიც სახელდება ზმნით „ლაპარაკი“. აღნიშნული ცნება მოიცავს სამეტყველო ქმედების პროცესში ზოგადი ცნების (მეტყველება) აქტუალიზაციის სხვადასხვა ასპექტს. სამეტყველო ქმედების სხვადასხვა ასპექტი ვლინდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში ქმედების სახეობათა კონკრეტიზაცია/დიფერენციაციაზე ორიენტირებული სემების მეშვეობით.

აღიარებულია, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები არა მხოლოდ ასახავს ამას, თუ იმ ენის მატარებელი ერის კულტურასა და ყოფას, არამედ გაცილებით ეფექტურსა და ემოციურს ხდის მეტყველებას. ფრაზეოლოგიზმების მეშვეობით გაცილებით ეფექტურად გამოიხატება კომუნიკაციის პროცესში ადამიანის განცდები და ემოციები.

საკვლევ ენებში აღნიშნული ფრეიმები გამოიყო კატეგორიზაციის, დიფერენციალური და კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშნების იდენტიფიცირების საფუძველზე.

კატეგორიზაცია გულისხმობს ობიექტთა და რეალობის მოვლენათა გააზრებას კატეგორიების - განზოგადებულ ცნებათა - ჩარჩოებში. რეალობის კატეგორიზაციისას ადამიანის ცნობიერება ახორციელებს ადამიანის განცდათა, მატერიის ფორმათა და მატერიის მოძრაობის ფორმათა მარავალფეროვნების კლასიფიკაციას, სხვა სიტყვებით, მრავალფეროვნებას „ათავსებს“ გარკვეულ რუბრიკებში - კლასებში, ჯგუფებში, სიმრავლეებში, კატეგორიებში.

გაიაზრებს რა რეალობას, ადამიანის ცნობიერება მიაკუთვნებს რეალობის ცალკეულ ფრაგმენტს კონკრეტულ კატეგორიას. ადამიანის ცნობიერება ადგენს კონკრეტული ფრაგმენტისა და სხვა ფრაგმენტის (ფრაგმენტების) ინტეგრალურ და დიფერენციალურ ნიშნებს. რეალობის ფრაგმენტთა ერთობის დადგენა და ამ ერთობისათვის განმაზოგადებელი ცნების შექმნა (რომელიც ხშირად, თუმცა არა აუცილებლობით „მიემეგრება“ სიტყვას) წარმოადგენს კატეგორიზაციის პროცესს.

კატეგორიზაციის, როგორც კოგნიტური პროცესის, შედეგს წარმოადგენს კოგნიტურ მაკლასიფიცირებელ ნიშანთა ფორმირება. სწორედ აღნიშნულ ნიშანთა წყალობით ხერხდება კონცეპტთა ორგანიზება ერთიან კონცეპტუალურ სფეროდ.

კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშნები „განათავსებენ“ მრავალრიცხოვან დიფერენციალურ კოგნიტურ ნიშნებს ერთიან სტრუქტურაში და ამ გზით ქმნიან კონცეპტის შინაარსს.

კოგნიტური დიფერენციალური ნიშანი წარმოადგენს ობიექტისა თუ მოვლენის კონკრეტულ ნიშანს, რომელიც გაცნობიერებულია ადამიანის მიერ.

კოგნიტური დიფერენციალური ნიშანი ასახულია შესაბამისი კონცეპტის სტრუქტურაში როგორც კონცეპტის შინაარსის ელემენტი.


კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშანი წარმოადგენს კონცეპტის შინაარსის კომპონენტს, რომელიც ასახავს კონკრეტული ობიექტისა თუ მოვლენის ამა თუ იმ ასპექტს, კატეგორიზაციის პარამეტრს. კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშანი განაზოგადებს ერთგვაროვან დიფერენციალურ კოგნიტურ ნიშნებს კონცეპტის სტრუქტურაში.

მაგალითად, ადამიანის ცნობიერებაში ცოცხალი ბუნების ობიექტები კონცეპტუალიზირდება როგორც სქესის მქონე - შესაბამის კონცეპტებში გამოიყოფა კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშანი - სქესი. აღნიშნული მაკლასიფიცირებელი ნიშნის მიხედვით, ცოცხალი ბუნების ობიექტები, რომელთაც გააჩნიათ სქესი, ერთიანდებიან ჯგუფში (ადამიანები, ცხოველები) და უპირისპირდებიან ობიექტების სხვა ჯგუფებს, რომელნიც არ ხასიათდებიან მოცემული საკლასიფიკაციო ნიშნით (საგნები, მცენარეები). კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშანი „სქესი“ კონკრეტიზირდება შესაბამისი კონცეპტის სტრუქტურაში ისეთი დიფერენციალური კოგნიტური ნიშნებით, როგორიცაა: „მდედრობითი სქესი“ და „მამრობითი სქესი“.

ჯ. ლაკოფი თავის სტატიაში „აზროვნება კლასიფიკატორთა სარკეში“ აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ხალხები სხვადასხვაგვარად და ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი ფორმით ახორციელებენ ერთი და იმავე რეალის კლასიფიკაციას. კულტურები სხვაობენ გამოცდილების სფეროებით. სწორედ გამოცდილების თავისებურება განსაზღვრავს ცნებათა კატეგორიალურ ჯაჭვში არსებულ მიმართებათა სპეციფიკას. ჯ. ლაკოფის თვალსაზრისით, სწორედ გამოცდილების სფეროს თავისებურება განსაზღვრავს კლასიფიკაციის პრინციპის სპეციფიკას (ლაკოფი 1980: 51).

საკვლევი ენების ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ანალიზმა გამოავლინა მეტყველების ისეთი დიფერენციალური კოგნიტური ნიშნები, როგორიცაა: (იხ. სქემა 5)

სქემა 5. მეტყველების სუბიექტის კვალიტატური მარკერები



• მეტყველების სუბიექტის კვალიტატური მარკერი „ემოციურობა“

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს: „უხეშად, ლაპარაკი“, „ბრაზიანად ლაპარაკი“: talk tough (Our government is talking tough to both our enemies and our allies.), tell someone where to get off (He told me where to get off, so I walked out on him.), give somebody the rough side of your tongue (The boss gave me the rough side of her tongue for being late twice this week.), foam at the mouth (Walter was foaming at the mouth with rage.) - ცხელ გულზე თქმა, ენის აქაფება, შხამის ნთხევა, პირიდან ცეცხლის ყრა, პირიდან ცოფების ყრა, პირიდან ცოფის დორბლების წამოყრა:

მისი თვალეზი შეურიგებლობის ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ გარშემო და პირიდან ცოფის დორბლი სცვიოდა (თ. ჩაჩანიძე, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“).

ბრაზი, როგორც „სიგიჟე“ შესაძლებელია, დავახასიათოთ, როგორც ცოფი. მსგავსი კოგნიტური მეტაფორა გვხვდება ინგლისურშიც. ინგლისურ ენაში ბრაზს, როგორც ცოფს, გამოხატავს ისეთი ერთეული, როგორცაა: foam at the mouth. ეს ფრაზა ინგლისურ ენაში დაკავშირებულია ისეთ დაავადებებთან, რომლებიც იწვევს დორბლს პირზე. მაგ: ცოფის ვირუსი. ერთ-ერთი სიმპტომი დაავადებისა არის გართულებული ყლაპვა, რაც დორბლის წარმოქმნის მიზეზია. ეს იდიომა

დაახლოებით ოთხასი წლისაა. 1601 წელს უილიამ შექსპირმა ასე დაახასიათა იულიუს კეისარი:

'He fell down in the market-place, and *foamed at mouth*, and was speechless'.

ქართულ ენაში ბრაზზე არსებული გამონათქვამებიდან გვხვდება ისეთებიც, რომლებიც ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირს ავლენს. ქართულ ენაში ბრაზის გამომხატველი ფრაზები გემოს შეგრძნებებთან არის დაკავშირებული: *გაპილპილება, გაწიწმატება*. მსგავსი პარალელი არ გვხვდება ინგლისურ ენაში.

- **მეტყველების სუბიექტის კვალიტატური მარკერი „ყბედობა“**

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს: „*ბევრი ლაპარაკი*“, „*უმიზნო/უაზრო ლაპარაკი*“, „*მომაბეზრებელი ლაპარაკი*“, „*დაუფიქრებლად, წინდაუხედავად ლაპარაკი*“: talk to hear one's own voice (Am I just talking to hear my own voice, or are you listening to me?), beat the air (Can't you feel that we are beating the air. We have to change our strategy), bend somebody's ear (She spent the day at a conference bending the ears of some high school teachers.), shoot one's mouth off (Oh, Sally! Stop shooting off your mouth! You don't know what you're talking about.), can talk the hind leg(s) off a donkey (His father could talk the hind leg off a donkey.), can talk the legs off an iron pot (I dread getting into a conversation with Gillian - she can talk the legs off an iron pot.), talk someone's ear off (Stay away from Mr. Jones. He will talk your ear off if he gets a chance.), talk someone's head off (John is very friendly, but watch out or he'll talk your head off.), talk on (The lecturer talked on for hours. How can anyone talk on so long without saying anything useful?), talk one's head off (I talked my head off trying to convince them), talk oneself out (She talked herself out and was silent for the rest of the day. I talked until I talked myself out.), talk someone ragged (That was not an interview. She talked me ragged.), talk until one is blue in the face (I talked until I was blue in the face, but I couldn't change her mind. She had to talk until she was blue in the face in order to convince him.), have a big mouth (Helen's got such a big mouth - the news'll be all over the town by tonight.), be all mouth (She says she'll complain to the manager but I think she's all mouth.), run your mouth (He was mean and angry and he just kept running

his mouth.), run off at the mouth (I wish you would stop running off at the mouth. Tom runs off at the mouth too much. I wish he would temper his remarks.), flap one's jaw, wag one's chin (The two old buzzards sat on the park bench wagging their chins all afternoon.) - ენად გაკრეფა, ენად გადაქცევა, ენად გაკრეფა, ენის წაგდება, ენის წაგრძელება, ენის მხარზე გადაგდება, ენის გაბრტყელება, ენის ფხანა, ყბას არ დააყენებს, ყბის დაღება, ცხრა ენის გამობმა, ენით ზურგის ფხანა, ძაღლის ყბის გამობმა, პირის მოშვება, პირის მოხსნა, ქადაგად დავარდნა/ქადაგად დაცემა (ქადაგი ერქვა წარმართული ღვთაების მსახურს, რომელსაც თითქოს შეეძლო ღვთაებასთან ურთიერთობის დამყარება), გალურჯებამდე ლაპარაკი, წყლის ნაყვა, მოშლილი წისქვილივით რახუნი, გუდას პირს მოუხსნის:

... ჩემს საქმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო და ძლივს ჩემს ლანძღვით სავსე გუდას პირს მოუხსნიო (ი. ჭავჭავაძე, „ივერიის“ წინასიტყვაობა).

ორივე საკვლევ ენაში დასტურდება უაზროდ ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ზოგ შემთხვევაში ისინი მოიცავენ იდენტურ კომპონენტებს (talk until one is blue in the face - გალურჯებამდე ლაპარაკი), ზოგჯერ კი სხვადასხვა კომპონენტით აღნიშნავენ ერთი და იმავე კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანს (beat the air- წყლის ნაყვა).

მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება ისეთი ერთეულის არსებობა, როგორცაა „მოშლილი წისქვილივით რახუნი“:

როცა კაცზედ ვისმეზედ სჯა და ლაპარაკი მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სინიდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ. არ არის არსად ქვეყანა, რომ ამისთანა საქციელს ასეთი სარბიელი ჰქონდეს, როგორც ჩვეში აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ საქციელის მომქმედსა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და აქაო და კარი ღია არისო, ვისაც რა მოხვდება, არახუნებს მოშლილ წისქვილივით (ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა).

აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ინტეგრირებული კომპონენტის „წისქვილი“ და წისქვილთან დაკავშირებული ასოციაციის (წისქვილის ქვის მონოტონური ბრუნვის ხმა) წყალობით ერთეული გამოირჩევა ექსპრესიულობის

გაცილებით მაღალი ხარისხით, ვიდრე იმავე მნიშვნელობის მქონე ერთეული ინგლისურ ენაში "talk on".

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ჯგუფში ასევე შედის ის ელემენტი, რომლის სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტს წარმოადგენს „დაუფიქრებლად, წინდაუხედავად ლაპარაკი“ (ენა წინ უსწრებს):

ეს კარგად უნდა ახსოვდეთ მათ, ვისაც *ენა წინ უსწრებს* ცოდნასა (ი. ჭავჭავაძე, თ. სახოკიას ლექსიკონი)

- **მეტყველების სუბიექტის კვალიტატური მარკერი „წინდახედულობა“**

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „გულისყურით, დაფიქრებით ლაპარაკი“: weigh one's own words (John was weighing his words carefully because he didn't want to be misunderstood.), say one's piece/speak one's piece (Look, just say your piece and get out of here. I said my piece and left.) - სიტყვების აწონ-დაწონვა :

,როცა სოფლებში საქმე მოათავა, ლუკა ძმასთან დაბრუნდა და თავისი ნაპოვნით დიდ საგონებელში ჩააგდო იგი. ბუდუ ნაკაშიამ ეს უცნაური მოვლენა ათასნაირად აწონ-დაწონა, საეჭვოს ვერაფერს მიაგნო და ყველაფერი შემთხვევითობას მიაწერა (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

- **მეტყველების სუბიექტის კვალიტატური მარკერი „არაგულწრფელობა“**

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „პირდაპირი საუბრისაგან თავის არიდება“: run with the hare and hunt with the hounds, say something in a roundabout way (Why don't you say what you mean? Why do you always say something in a roundabout way?), hint at something (What are you hinting at? I am not hinting at anything. I'm telling you to do it!) - არც მწვადი დაწვა, არც შამფური, კიდეც ჭრის და კიდეც კერავს, ცალყბად თქმა, გადაკრულად თქმა, სიტყვის ჩაკვრა, სიტყვის გადაკვრა, ქარაგმებით ლაპარაკი, ბანზე სიტყვის აგდება.

ბანზე სიტყვის აგდება ნიშნავს პირდაპირი პასუხის აცილებას, აზრისა თუ ნათქვამის გაზუნდოვანებას, მოლაპარაკის თავიდან მოშორებას, მის ნათქვამზე პასუხის მიუცემლობას.

ბოლოს, მივედით ერთ ადგილას, მაგიდაზე ჯერ კიდევ თევზები ეწყო, არც კი აელაგებინათ. ისე, *ცალყბად ვუთხარი* – ხაში ხომ არ გაქვთ-მეთქი? დარწმუნებული ვარ, უარს მეტყვის და ცალი ფეხი უკვე კარისკენ მაქვს (ს. გაუჩო, დილის ხაში).

ცალყბად თქმა ნიშნავს პირდაპირი ლაპარაკისაგან თავის არიდებას იმის იმედით, რომ შეთავაზებას არ მიიღებს ადრესატი: „ყოველი ცალყბად მოხდილი ბოდიში მათ აქტიური პოლიტიკიდან უფრო და უფრო აშორებს“ (ი. აბსანძე, შეცდომა თუ დანაშაული?!).

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ჯგუფში ასევე შედის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს: „პირფერობა“, „თვალთმაქცობა“, „მლიქვნელობა“: use sweet talk (She uses sweet talk to get her way.), kiss the dust, You can catch more flies with honey than with vinegar (Jill: This meal is terrible. Let's get the restaurant manager over here and make a scene unless he gives us our money back. Jane: We might have more luck if we ask politely. You can catch more flies with honey than with vinegar.), butter someone up (She buttered up the teacher again.) - თავის მოქონვა, გუნდრუკის კმევა (გუნდრუკი ერთ-ერთი ტროპიკული ხის ფისი, რაც საკმეველად იხმარებოდა), ენის დაშაქვრა, კუდის ქნევა/ქიცინი, მუცელზე ხობვა, გულის მოლოკვა.

გულის მოლოკვა ნიშნავს მოპირფერებას, ტკბილი სიტყვით ვისიმე გულის მოგებას:

... ზაალს ცალკე ვნახავ, *გულს მოვულოკავ* და საკალმასოდ უწინდელივით კაცს გამოვაცოლებინებ (მ. ჯავახიშვილი. ალ. ონიანის ლექსიკონი).

- **მეტყველების სუბიექტის კვალიტატური მარკერი „გულწრფელობა“**

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს: „გულწრფელად ლაპარაკი“, „საიდუმლოს გამხელა“, „სიმართლის

აღიარება“: unburden one’s heart, talk turkey (Okay, Bob, we have business to discuss. Let's talk turkey.), lay/put your cards on the table (She thought it was time to put her cards on the table and tell him that she had no intention of marrying him.), speak in earnest (Mary's comments were in earnest. She really meant them.), speak one's mind (Please let me speak my mind, and then you can do whatever you wish.), speak/ say one's piece (All right, you've spoken your piece; now let someone else have a turn.), tell the truth and shame the devil (Jane: Uh... no.... Jill: Come on, Jane, tell the truth and shame the devil.) - გულის გადაშლა, გულის გადახსნა, გულზე ხელის დადება :

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: ჭორების გავრცელების საყოველთაო გამოყენების სისტემატიზებული მეთოდის სიმდაბლემდე წმინდა მამათა ინკვიზიციაც კი არ დაცემულა!(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

მეტყველების სუბიექტის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ჯგუფში ასევე შედის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს: „პირდაპირი ლაპარაკი“: make no bones about something (He made no bones about his dissatisfaction with the service in the hotel.), call a spade a spade (Well, I believe it's time to call a spade a spade. We are just avoiding the issue. Let's call a spade a spade. The man is a liar.), tell one to one's face (I'm sorry that Sally feels that way about me. I wish she had told me to my face.), lay one's cards on the table (All right. Let's lay our cards on the table and speak very candidly about this matter.), clear the air (The atmosphere had become so unpleasant that he decided it was time to clear the air.), bare one's heart/soul (Mike couldn't keep things to himself any longer. He decided to bare his soul to his best friend.), lay it on the line (The boss laid it on the line and told Jimmy that if he arrived late for work again he would lose his job.), not mince one's words (Come on John! Tell us what you really think - and don't mince your words.), pull no punches (The doctor pulled no punches. He explained in detail the risks of the operation.), have straight talk (If they want straight talk and can handle straight talk, give 'em straight talk.), be a (lone) voice in the wilderness (With her passionate pleas for peace, she was a lone voice in the wilderness.), say something (right) to someone's face (She knew I thought she was rude because I said it right to her face.) - სახეში მიხლა, პირში მიხლა, პირში წადგომა, პირზე

დადგომა, რაიმეს პირში თქმა, მიდებ-მოდების გარეშე თქმა, ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა.

– ყანდურმა მითხრა, ეგრე თქვიო და ვთქვი.

„– პირზე დაადგები?“

„– თუ არ მომკლავთ, დავადგები, მამა!“ (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

- **მეტყველების პროცესის კვალიტატური მარკერი „ბუნდოვანება“**

მეტყველების პროცესის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „ორაზროვნად ლაპარაკი“: beat around the bush/beat about the bush (Stop beating around the bush and answer my question.), talk in circles (I couldn't understand a thing he said. All he did was talk in circles.), chop and change - მიდებ-მოდებით ლაპარაკი, ლობე-ყორეს მოდება, მიკიბულ მოკიბული ლაპარაკი.

მეტყველების პროცესის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ჯგუფში ასევე შედის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „დაულაგებელი, უთავბოლო ლაპარაკი“: talk at someone (I want to communicate with you. I can't understand anything. He is saying some words at me.), bandy with someone (Stop bending with me. I'm tired of playing catch with words.) - ალთა ბალთა ლაპარაკი, აბდაუბდა ლაპარაკი.

ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკაკი შანიძის გამოკვლევით, ალბანურ ანბანში პირველ ასოს ერქვა ალთ, მეორეს - ბალთ (ეს ანბანი მეორე ქართველმა მეცნიერმა, ილია აბულაძემ აღმოაჩინა 1937 წელს). ალბანელები სამხრეთ კავკასიის ბინადარი ხალხი იყო, რომელიც შუა საუკუნეებში გაქრა, თურქული მოდგმის ტომებსა და მეზობელ ხალხებში გაითქვიფა. ამ თქმაში უპირისპირდება ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის აზრი.

ინგლისურ ენაში არ გვაქვს მსგავსი ანალოგი. ფრაზა "bandy with someone" დაკავშირებულია ჩოგბურთის თამაშთან. მოთამაშეები ყვიროდნენ გამაფრთხილებელ შემახილს "A Bandy, Sir", როდესაც უბრუნებდნენ ბურთს მოთამაშეს. სიტყვა band დაკავშირებულია ბურთის ტრაექტორიასთან „იქით–

აქეთ/წინ და უკან." ფრაზა გამოიყენება მე-16 საუკუნიდან ინგლისურში. მსგავსი პარალელი გვხვდება ფრანგულშიც და ესპანურშიც.

- **მეტყველების პროცესის კვალიტატური მარკერი „მნიშვნელოვნება“**

მეტყველების პროცესის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს ისეთი სემები, როგორცაა „კომუნიკაციის მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია“, „კომუნიკაციის მონაწილეთათვის უმნიშვნელო ინფორმაცია“: "get smth off one's chest"; "bend your ears" - გულის გადაშლა; ყურების წაღება.

მეტყველების პროცესის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ჯგუფში ასევე შედის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „სისულელის ლაპარაკი“: სისულელის რომვა - talk nonsense, speak out of turn (Excuse me if I'm speaking out of turn, but what you are proposing is quite wrong.), put one's foot in one's mouth/stick one's foot in one's mouth (When I told Ann that her hair was more beautiful than I had ever seen it, I really put my foot in my mouth.), talk like a nut (You're talking like a nut! You don't know what you are saying. Don't talk like a nut! We can't afford a trip to Florida!), talk out of the back of your head (He's talking out of the back of his head - you can't get a flight to Australia for less than £500 these days.), talk through one's hat:

... it seemed to Soames almost indecent for a young man to talk like that. Michael was a politician, of course, but politicians were there to keep the Country quiet, not to go raising scares and talking through their hats (J. Galsworthy, The Silver Spoon, part II, ch. XII)

– გაჩერდი მანდ, დაანებე სისულელეების ლაპარაკს თავი! – შეუძახეს აქეთ–იქიდან (ჭაბუა ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

- **მეტყველების პროცესის კვალიტატური მარკერი „ფიზიკური ნიშნები“**

მეტყველების პროცესის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „რთულად წარმოთქმა“: get your tongue around/round something (I just can't get my

tongue around some of those Welsh place names) talk monkey talk (Their pupils are pinpoint-sized, and they talk monkey talk. That's how you can tell they're on H.) - ენას უკიდებს, ენის ღრძობა, ენის მოტეხვა, ენის დაბმა:

ტივტივებს და არ ჩერდება სურვილი წერისა, რომელიც გამჯდარია სისხლში და ხან მასთან ერთად ჟანგბადით ივსება ხან კი ნახშირორჟანგით. და მის წარმოთქმაზე ყოველთვის მიწევდა *ენის მოტეხვა* (<https://shabbyy.wordpress.com/>).

თეიმურაზს მთელი ტფილისი იცნობდა: ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამჭევრი საზოგადო მოღვაწე იყო. თუმცა ლაპარაკში ოდნავ *ენას უკიდებდა*, მაგრამ ბორძიკი არაფერს არ ჰვნებდა, ზოგის თქმით კი - უხდებოდა კიდევაც (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

ხან გაკრეჭილ ივანეს ან სხვას ვინმეს შეებმეოდა და იქამდე არიგებდა და ეკამათებოდა, სანამ ენა არ დაებმეოდა და ყელის ძარღვები არ დაუწყებოდა (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

მეტყველების პროცესის აღნიშნული კვალიტატური მარკერით გაერთიანებულ ჯგუფში ასევე შედის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „*მრავალსიტყვაობა*“, „*ლაკონურობა*“: speak in a circumlocutory manner, make something short and sweet (I don't care what you say, as long as you make it short and sweet.), not waste words (He explained the whole system in about 30 seconds - he doesn't waste words, does he?) - ააბრუნა წისქვილი, ორი სიტყვით თქმა, სიტყვა მოუჭრა, მოკლედ მოჭრა (რაიმეს მოკლედ თქმა):

სიტყვას აღარ გავაგრძელებ, *მოკლედ მოჭრი* (ი. ეკალაძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

მეტყველების პროცესის აღნიშნული კვალიტატური მარკერი ასევე აერთიანებს იმ ელემენტებს, რომელთა საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს სემა „*გამეორება*“: hammer (something) home, tread water, say something over (and over again) (I have said it over and over again! Why don't you listen?), harp on the same string (Why do you keep harping on the same same string?), harp on someone or something

(Stop harping on my mistakes and work on your own.) - ერთი და იმავეს ტკეპნა, ენას/ენაზე ეკეროს (ენას (ენაზე) აკერია ნიშნავს სულ ერთი და იმავეს ლაპარაკი):

გოგოებს *ენაზე აკერიათ* სიკო, თედო, ფილიპე. ისინი არიან არჩეულნი (ნ. ლორთქიფანიძე, საბა).

აღნიშნული კვალიტატური მარკერი აერთიანებს იმ ელემენტებსაც, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „**ხმადაბლა ლაპარაკი**“, „**ხმამალლა ლაპარაკი**“, „**მკაფიოდ ლაპარაკი**“, „**არამკაფიოდ ლაპარაკი**“, „**სწრაფად, შეუჩერებლად ლაპარაკი**“: under one's breath (John was muttering something under his breath, and I don't think it was very pleasant.), scream bloody murder/yell bloody murder (She screams bloody murder every time I get near her.), at the top of one's lungs/ at the top of one's voice (The babies in the nursery all were crying at the top of their lungs.) one's tongue runs nineteen/ten to the dozen (Gaby was chatting away nineteen to the dozen behind me and I couldn't concentrate.), talk mile a minute (She talks a mile a minute and is very hard to keep up with.), talk a blue streak (I can't understand anything Bob says. He talks a blue streak, and I can't follow his thinking.), speak at great length (The lawyer questioned the witness at great length.) - ცხვირში დუდღუნნი, ბოლო ხმაზე, ენის წაგდება, ენის მოფხანა, ლაგამის წაყრა, ლაგამწამოყრილი ლაპარაკი.

როცა მოღლილი და მოქანცული თეიმურაზი ლაპარაკით გულის ჟანგს მოიფხეკდა, სულის ობს მოიბანდა და აქავებულ ენას მოიფხანდა, სახლისკენ გასწევდა (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება ასევე ისეთი ერთეულის არსებობა, როგორცაა ლაგამის წაყრა, ლაგამწამოყრილი ლაპარაკი.

ლაგამის წაყრა მოურიდებელ, უკრძალავ, თავშეუკავებელ ლაპარაკს, თავგასულობას ნიშნავს. როცა ცხენი ლაგამს წაიყრის, თავისუფლება ეძლევა და მხედარს აღარ ემორჩილება. ლაგამი ხატოვნად ეტოლება ზნეობისა და წესიერი ყოფაქცევის კანონებს, რომლებიც გვაიძულებენ, წესიერება არ გადავლახოთ და სიტყვით თუ საქმით რიგიანი ადამიანისთვის შეუფერებელი რამ არ ჩავიდინოთ.

თეიმურაზმა *ლაგამი აიწყვიტა*, თითქოს ადუღებულმა ქვაბმა ხუფი აიგლიჯაო (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

ლაგამწამოყრილი ლაპარაკი დაუფიქრებელ, მოურიდებელ, უწესო, კადნიერ ლაპარაკს ნიშნავს. მოურიდებლად მოლაპარაკე ადამიანი მიმსგავსებულია ცხენს, რომელსაც პირიდან ლაგამი გამოგდებული აქვს და აღარაფერი აბრკოლებს, რომ აღარ იაროს ადამიანის ნებაზე.

„- ჰო და, თუ მეტის-მეტი მოუვიდა, უკან უნდა დავწიოთ და პირში ლაგამი ამოვდოთ.“ - სთქვა ილამ (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ინტეგრირებული კომპონენტის „ლაგამი“ და ლაგამის არმქონე ცხენთან დაკავშირებული ასოციაციის (სწრაფი და არაკონტროლირებადი მოძრაობა) წყალობით ერთეული გამოირჩევა ექსპრესიულობის გაცილებით მაღალი ხარისხით, ვიდრე იმავე მნიშვნელობის მქონე ერთეული ინგლისურ ენაში "talk a mile a minute". 1900–იან წლებში ითვლებოდა, რომ სამოცი მილის ერთ საათში გავლა იყო ძალიან დიდ სიჩქარესთან ასოცირებული.

- შინაარსობრივი მარკერი „უარყოფითი დამოკიდებულება ადრესატისადმი“

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „დატუქსვა“, „გალანძღვა“, „გინება“, „გაკიცხვა“, „შეურაცხყოფა“, „საყვედური“, „საჯაროდ შერცხვენა“, „სახელის გატეხა“: give someone a (good) talking to (The teacher gave Jimmy a talking to.), tell someone off (I was so mad at Bob that I told him off. By the end of the day, I had told off everyone else, too.), chew someone out (I knew my dad was going to chew me out.).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღნიშნული კოგნიტური დიფერენციალური ნიშნით გაერთიანებული ელემენტები ქართულ ენაში - ქოქოლის დაყრა, წიხლის დაცემა, თავზე ბრის დაყრა, თავზე ლაფის დასხმა, ვირზე შესმა, საყვედურით ცხვირის გახვრეტა, ძაღლთან დაბმა, ცხვირის მოჭრა, ალაიაში გატარება, უშვერი პირით ლანძღვა:

ის თავი-თავზე სულ ერთსა და იმავესა მწერდა: „აზნაური ჩამომეკიდა, აღარ მასვენებსო, საცა დამინახავს, უშვერის პირითა მლანძღავსო, იმის შიშით მეზობლები პურის სასესხებლად ვეღარ მოსულან ჩემთანო და სხვა" (ნ. ლომოური, ალი)

კულტურა უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის ფორმირებაზე, მისი წარმოდგენებისა და, საზოგადოდ, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომაც ესოდენ საინტერესო ცნობიერების, შინაარსთა სფეროსა და ღირებულებრივი აქცენტების კვლევა, რაც გულისხმობს ლოკალურ-კულტურული კონტექსტების, ადამიანის ყოველდღიური ცნობიერების რეალური შინაარსების, ფსიქოლოგიური განწყობების, აღქმის სტერეოტიპების, ქცევის მოდელების, ჩვევების, მოთხოვნილებების, ღირებულებათა სისტემისა და გამოცდილების თავისებურებათა ანალიზს.

ადამიანის ცნობიერებაში არსებული კულტურული კოდები იმპლიციტურად მოიცავს მენტალურ-კულტურულ ორიენტაციებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერის ენობრივი ცნობიერება. ენობრივი ცნობიერებაში ვლინდება ერის მიერ სამყაროს აღქმის თავისებურება.

სამყაროს ენისმიერი ხატის თავისებურების თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია კულტურულ-ისტორიული კონტექსტით აღბეჭდილ ერთეულთა კვლევა. კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობთ ერთეულებს, რომლებიც აღნიშნავს გაკიცხვას, ვინმეს საჯაროდ შერცხვენას, გალანძღვას, გაჯავრებას, საყვედურის თქმას: თავზე ლაფის დასხმა, ვირზე შესმა, საყვედურით ცხვირის გახვრეტა, ძალღატაკობა და სხვა.

- გაანებე თავი, თეიმურ! შენ ვერაფერს ვერ უშველი. ჯაყო უარესად გამხეცდება და ჯავრს ისევ მარგოზე ამოიყრის. ან რად უნდა წაესარჩლო? ცოტა ლაფი დაგასხა თავზე? (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს ცნობები ქვეყანაში ადამიანის დასჯის სხვადასხვა ფორმის შესახებ. ძველ საქართველოში დასჯის ორგვარი ფორმა გამოიყენებოდა: ფიზიკური და გამაწბილებელი სასჯელი.

ვარსქენის მიერ შუშანიკის საპყრობილეში ჩასმის ცალკეული დეტალის აღწერისას ჩანს, რომ საპყრობილეში მოთავსებულს სჯიდნენ ქედზე ჯაჭვის დადებითა და ფეხებზე ბორკილის შეხებით. შუშანიკს „ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისა ზედა, ეგრეთვე ედვა, დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ" - გადმოგვცემს იაკობ ხუცესი.

ქედზე ჯაჭვის დადება და ფეხებზე ბორკილის შებმა, როგორც დასჯის ერთ-ერთი ფორმა, ასევე გვხვდება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“.

ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ევსტათი და სხვა მისი თანამზრახველები, რომლებიც ქრისტიანობაზე მოიქცნენ, მიიყვანეს მსაჯულთან, ხოლო მან „უბრძანა მსახურთა თვისთა პირსა ცემა ნეტართა მათ და გარე განყვანება ყოველთა და უბრძანა: და ჰყვნეთ მაგათ თავი და წუერი და განუხურიტენით მაგათ ცხვირნი და ჯაჭვ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუხსენით ფერხთა, და შესხენით ეგენი საპყრობილესა"(ს. ჭანტურიშვილი ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“).

ჯაჭვით ადამიანთა დაბმის შესახებ ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ მრავალი ფაქტი შემოგვინახა. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა დასაბმელი ჯაჭვები სტრაბონის მიხედვით, ძვ.წ. I საუკუნისთვის აღბანელთა ყოფაშიც დასტურდება..

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ ადასტურებს, რომ იმ დროს საქართველოში სპარსელთა მიერ, ქედზე ჯაჭვის დადებისა და ბორკილების შებმის გარდა შემოდებული იყო დასჯის სხვა ფორმებიც: თავისა და წვერის დაყუენა (ანუ მოპარსვა), ცხვირის გახვრეტა, პირის ცემა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი დასჯის ფორმები ფიზიკურ სასჯელს განეკუთვნება. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც იგივე წერილობითი წყაროები მოწმობენ, არსებობდა გამაწბილებელი სასჯელიც - ვირზე შესმა.

„შუმანიკის წამებიდან“ ჩანს, რომ ქმრის მიერ ცოლის დასჯის ერთ-ერთი ფორმაა მისი გასახლება. მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებით - მისი მშობლების სახლში უკან დაბრუნება. ვარსკენი შუმანიკს ემუქრებოდა თუ „ტამრად“ (ე.ი. სამთავრო სახლში) არ მოხვალ, „ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა“. გამოდის, რომ ვარსკენი შუმანიკს კარაულით, ე.ი. სახედარზე შესმით გაგზავნას ემუქრებოდა. ნაწარმოების ამ ეპიზოდში მინიშნებულია, შეიძლება ითქვას, დადასტურებულია ჩვენი წარსული ეთნოგრაფიული სინამდვილისთვის ცნობილი ფაქტი - ქმრისგან უარყოფილი ცოლის მშობლების სახლში დაბრუნება სახედარზე შესმით.

„ცნობილია, რომ სახედარზე, ანუ ვირზე შესმა ძველ საქართველოში მიღებული იყო, როგორც დასჯის, გამაწბილებელი სასჯელის ერთ-ერთი სახე. ის ცნობილი იყო ბიზანტიელთა ყოფისთვის და ქართული სინამდვილისთვისაც. ასე მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში "სამართალი ბერძნულის" მიხედვით, ვირზე შესმა არის დასჯის ერთ-ერთი სახე სხვადასხვა დანაშაულისთვის: მოსამართლის მიერ უსჯულის კანონი სამართლის ქმნისათვის (მუხ. 2), მსაჯულის გინებისათვის (მუხ. 56), წამლის მიცემით დედაკაცის მუცელში შვილის მოკვლისათვის (მუხ. 77) და სხვ. ვირზე შესმას გამაწბილებელ სასჯელად მიიჩნევს აკადემიკოსი ისიდორე დოლიძე. ვირზე პირუკუღმა შესმულ დამნაშავეს ვირიის კუდს ხელში დააჭერინებდნენ და მთელ სოფელს შემოატარებდნენ. მას დიდი და პატარა თავზე ლაფს ასხამდა, აფურთხებდნენ“ (ს. ჭანტურიშვილი, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“).

ვირზე უკუღმა შესმამ და ასეთი სახით სოფელ-სოფელ ჩამოატარებამ, როგორც ქმრის მოღალატე ცოლის დასჯის, მისი გაწბილების ფორმამ ასახვა პოვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

„პერანგა ქალი უკუღმა შეესვათ ვირზე...

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა, ეტყობოდა, სციოდა, სცხელოდა და იგმირებოდა, ალბათ, ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!

იმწამს იგი ათჯერ მოკვდა, ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ!..

თრთოდნენ ქალის ანგელოზი მხრები და ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან ფერი ეკარგებოდა" - ვკითხულობთ გიორგი ლეონიძის მოთხრობების კრებულში „ნატვრის ხე“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის სასჯელს ასევე სხვაგანაც ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებში. კერძოდ XI საუკუნის საისტორიო თხზულებაში „მატიანე ქართლისაში“ აღნიშნულია, რომ ისაკ ტოლობელის ძემ, მესხმა აზნაურმა, „დაიჭირა ხელითა და გასუა ჯორსა ფადლონ - თბილისის ამირა, ამის წინ კი მოთხრობილია, რომ მან გამარცვა ერი ფადლონისა და გარდაყარა ისინი ცხენებიდან (ს. ჭანტურიშვილი, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში - თავზე ლაფის დასხმა, ვირზე შესმა, საყვედურით ცხვირის გახვრეტა, ძაღლთან დაბმა - შემონახულია ქართული დიფერენციალური ფსიქოლოგიით განპირობებული ეთნოგრაფიული ყოფის თავისებურება. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები არ დასტურდება ინგლისურ ენაში.

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ჯგუფში ასევე შედის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „დაცინვა“, „დაჩაგვრა“, „გესლიანად თქმა“: crack a joke (You can count on Grandpa to crack a joke on every occasion.) - მასხრად აგდება, აბუჩად აგდება (აბუჩი უხამსი სტუმარი - საბას ლექსიკონის მიხედვით), თავზე კაკლის მტვრევა, ნიშნის მოგებით თქმა.

„- მე მეგონა ხანჯალი მხოლოდ მტრის გასაგმირად გერთყა წელზე და თურმე ქალის სისხლსაც არ ერიდება შენი მახვილი." *უთხრა გესლიანად გურიელმა* (ვასილ ბარნოვი, მიმქრალი შარავანდედი).

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერი ასევე აერთიანებს იმ ელემენტებს, რომელთა საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „კრიტიკა“, „ვინმეს წინააღმდეგ ლაპარაკი“, „ჩხუბი“, „კამათი“, „ზიანის მიყენება“: pick a fight, fight/argue like cat and dog, pick holes, at loggerheads, fight tooth and nail, pick someone to pieces/ pick someone or something apart (You didn't review her performance; you just picked her apart.), rake someone over the coals (The manager raked me over the coals for being late again.), give somebody a piece of your mind (I've had enough of him coming home late. I'm going to give him a piece of my mind when he gets in tonight.), speak against someone or something (Many people are speaking against the mayor. she will not be reelected.), raise one's voice against someone or something (I was too timid to raise my voice against the injustices of the day.), speak ill of someone (I refuse to speak ill of any of my friends. Max speaks ill of no one and refuses to repeat gossip.), blow sky-high (The lab report has blown your theory sky-high.), at each other's throats (It was a very dramatic trial, with the prosecutor and the defense attorney constantly at each other's throats.) - ძალი კატასავით არიან გადაკიდებული, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარება, ხმის ამაღლება ვინმეს/რაიმეს

წინააღმდეგ, პირში ცემა, ყელში ცემა, კბილის გაკვრა, აუგის თქმა, სიტყვის შებრუნება, ენის შებრუნება.

- იქნება მევე დამსდვან ბრალი ოჯახი დაანგრიო, სამეფო შეარყიო; იქნება აუგია სთქვან ჩემზედ და დამსახონ უღირსად დედოფლობისა, ქმრისაგან განდევნილ უღირს დიაცად (ვ. ბარნოვი, მიმქრალი შარავანდედი).

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა ჯგუფში ასევე შედის ის ერთეულები, რომელთა საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „ჭორაობა“, „რაიმე ამბის გავრცელება“: *tongues wag* (*Tongues wagged when another police car was parked in front of their house*) - **ყბად ალება**, ხმის დაგდება, ხმის დარხევა, ხმის დაყრა.

ვაჟკაცადაც კარგს აქებენ ლევან მეფეს, ჭკვიანი კაცის *ხმა აქვს დავარდნილი* და მადლობით უნდა მიიღო კარზე მომდგარი ბედი (ვ. ბარნოვი, მიმქრალი შარავანდედი)

შინაარსობრივი მარკერი „უარყოფითი დამოკიდებულება ადრესატისადმი“ ასევე აერთიანებს იმ ელემენტებს, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „სხვისი ნათქვამის გადასხვაფერება“, „შარის მოღება“: *spin a yarn, stretch the truth, twist someone's words* (*You are twisting my words again. That is not what I said!*), *put words in (to) someone's mouth* (*I didn't say that! You are putting words into my mouth.*) - კილოს გამოაბამს - შარს მოსდებს, განზრახ გადასხვაფერებს სათქმელს, კუდის გამობმა (კილოს გამობმა ნიშნავს შარის მოღებას, სათქმელის განზრახ გადასხვაფერებას. კუდის გამობმა კი ნიშნავს ვისიმე ნათქვამის ან ნამოქმედარის ცუდად გაგებას, რისამე განზრახ მიმატებას), კუდით ქვის სროლა.

ხალხი სამშვიდობოს თითქმის უდანაკარგოდ გავიდა და შავრაზმელები კი გამარჯვებას ზეიმობდნენ – *კუდით ქვა ვასროლინეთო*, არ დაშლილან, იქვე ტრიალებდნენ, ძლევამოსილი ფიზიონომიები ჰქონდათ, ჯგუფ-ჯგუფად, ჩასუნთქულები დადიოდნენ და მოსეირნებესა თუ გამვლელ-გამომვლელს შარსა სდებდნენ, – დემონსტრაციის მონაწილე ხარო! (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

- შინაარსობრივი მარკერი „დადებითი დამოკიდებულება ადრესატისადმი“

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „მხარდაჭერა“, „დადებითის თქმა“, „გამხნეება“, „დამშვიდება“: put in a good word (I hope you get the job. I'll put in a good word for you.), give smb. a pep talk (I thought I'd give the lads a pep talk before the match.), talk someone or something up (They keep taking up the candidate as if he represented a real change.), speak for someone or something (I would be happy to speak for you in court. Just tell me when. My attorney will speak for our position.), speak up for someone or something (If anybody says bad things about me, I hope you speak up for me.), speak highly of someone or something (She always speaks highly of you. Everyone spoke highly of this movie, but it is not good.), set someone's mind at ease (about someone/something) (Alice is upset. I will have to do something to set her mind at ease about the accident.), calm someone down (Now, now, calm down. You look so nervous. Please calm down. Nothing bad is going to happen.) - სიტყვის შეწევნა; გულის გაკეთება; გულის გამაგრება; გულის მიცემა/გულის მოცემა; ვინეს გულის დაუცხრო, გულზე მალამოდ დაედო, გულზე მალამოს მოცხება, მხარის დაჭერა, მიცემა, თავზე ბალბის დადება.

ისევ სიჩუმე იყო. ყველა ფიქრობდა და როცა ამდენი უფროსი კაცი ლუკას ბედზე დაფიქრებული ვნახე, *გული მომეცა* (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

თავზე ბალბის დადება ნიშნავს გაბრაზებულის დამშვიდებას, დაწყნარებას. მოხარული მხალი ბალბა ხალხურ მედიცინაში ჭრილობაზე დასადავად, ჭრილობის დასაყურებლად და მოსარჩენად იხმარება. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ გაბრაზებული ადამიანი ისევაა გამწარებული, როგორც დაჭრილი და ეს გამწარება თავში გროვდება. ბალბაც, ყოველგვარი სიმწარის დამაყურებელი საშუალება, სწორედ თავზე უნდა დაედოს გაბრაზებულს დასამშვიდებლად.

ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი იარაღით, რომ საჭირო იქნეს ჩემთვის ჭრილობაზე *მოხარული ბალბის დადება*, ისიც შენი ხელით (თ. სახოკია, ხატოვანი სიტყვა-თქმანი).

- შინაარსობრივი მარკერი „ქება“

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „ქება“: pat someone on the back (The teacher patted all the students on the back for their good work.), sing somebody's/something's praises (You've obviously made a good impression on Paul he was singing your praises last night.), praise somebody/something to the skies (At first she would praise him to the skies for every minor achievement.) - ცამდე აყვანა, ხოტბის შესხმა, დითირამების სიმღერა

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „უარი“, „დაჟინება“, „გაჯიუტება“: hell-bent on something, dig in your heels, will not hear of something (You mustn't drive home alone. I will not hear of it.), ძალლი კატასავით გადაკიდება, გულზე ხელის კვრა, უარზე დადგომა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, წიხლის კვრა, ჰამას (ამას) კვრა (ჰამას (ამას) კვრა ნიშნავს უარის თქმას, უარყოფას):

ბატონს ჰგონია, ვითომც კრიტიკა მართო *ამას კვრა*ა (ი.ჭავჭავაძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

- შინაარსობრივი მარკერი „თანხმობა“

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „დათანხმება“: agree (with someone) (about someone or something)/ agree (with someone) ((up)on someone or something) (I agree with you about Judy; she is brilliant.); consent to something (I will not consent to your marriage.) - ბალის დაკვრა, ბანის მიცემა, ყაბულს ყოფნა.

სხვებმაც *ბანი მიაყოლეს* და მძლავრად ტაში დაჰკრეს (მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები)

- შინაარსობრივი მარკერი „სიცრუე“

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „ტყუილის თქმა“, „მოტყუება“, „ტყუილით დარწმუნება“: stack the deck against (someone), throw (someone) a curve,

Bend the truth, be economical with truth, take someone for a ride, throw dust in somebody's eyes, pull a stunt (on someone)/ pull a trick (on someone) (Don't you dare pull a stunt like that!), speak with a forked tongue (People tend to believe Fred because he seems plausible, but we know he speaks with a forked tongue.), pretend/say that black is white (She'll say that black is white if she thinks it's to her advantage.), lie through one's teeth (If John denies it he's lying through his teeth, because I saw him do it.), fast-talk someone into something (You can't fast talk me into giving you money. How dumb do you think I am?), fast-talk someone out of something (Don't try to fast-talk me out of my share.), sweet-talk someone (He sweet-talked her for a while, and she finally agreed to go to the dance with him.) - თვალიდან ბეწვის გამოცლა, თვალის ახვევა/თვალის აბმა, თვალეზში ნაცრის მიყრა, ანკესზე წამოგება, ერთ ჯარის დატრიალება, ტყუილის გამოცხობა, შავზე ამბობდეს თეთრიაო, ლაპარაკით ბერს ცოლს შეართვევინებს (ბერს ცოლს შეართვევინებს ნიშნავს ვინმეს შეცდენას, მოტყუებას ძალიან მოხერხებული ლაპარაკით):

ენა-ჭარტალობა-მაჭანკლობაში იმისი ტოლ-ზადალი არ გაუჩენია ღმერთს - იმისას ამბობდნენ, რომ მოინდომოს, *ბერს ცოლს შეართვევინებსო* (ს. მენტემაშვილი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

- შინაარსობრივი მარკერი „საიდუმლოს გამჟღავნება“

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „საიდუმლოს გამჟღავნება“: spill the beans (There is a surprise party for Heidi on Wednesday. Please don't spill the beans.), let the cat out of the bag (Mom let the cat out of the bag and told us Karen was engaged.), tell tales out of school (I wish that John would keep quiet. He's telling tales out of school again.), tell the (whole) world (Well, you don't have to tell the whole world.) - გუდას პირი მოხსნა, წყალი პირში ვერ ჩაიგუბა, ენაზე არაფერი უჩერდება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფრაზეოლოგიზმი "spill the beans" (ლობიოს, მარცვლების დაფანტვა), რაც ნიშნავს საიდუმლოდ განჟღავნებას.

ფრაზეოლოგიზმის წარმოშობა უკავშირდება ძველ საბერძნეთში არსებულ საარჩევნო - ხმის მიცემის - სისტემას: თეთრი მარცვალი აღნიშნავდა დადებით ხმებს, ხოლო შავი კი - უარყოფითს. ხმები უნდა ყოფილიყო ანონიმური, შესაბამისად, თუ ხმის დამთვლელი ხმის მიცემის პროცედურის დასრულებამდე დაფანტავდა მარცველებს და გამოჩნდებოდა შავი ხმები, ხმის მიცემის პროცედურა ბათილად ცხადდებოდა. ფრაზეოლოგიზმის გამოყენების პირველი შემთხვევა ფიქსირდება ამერიკის შეერთებულ შტატებში:

Tawney, when he came to congress, wasn't welcomed within the big tent. He had to wait around on the outside. Then the blacksmith [Jim Tawney] got busy. He just walked off the reservation, taking enough insurgent Republicans with him to *spill the beans* for the big five (Stevens Point Journal)

ფრაზეოლოგიური ერთეული "spill the beans" წარმოადგენს ცოდნის იმ ტიპის, რომელიც აღბეჭდილია კოლექტიური მეხსიერების სპეციფიკით. ცოდნის აღნიშნული ტიპი წარმოადგენს ერთობათა აქტიურ გამოცდილებაში დალექილი მეხსიერების რეპრეზენტატორს და მოიცავს დამახსოვრების ინდივიდუალურ აქტს, ჯგუფურ მეხსიერებასა და ნაციონალურ მეხსიერებას თავისი ტრადიციებით.

- შინაარსობრივი მარკერი „თხოვნა“

აღნიშნული შინაარსობრივი მარკერით გაერთიანებულ ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის საერთო „მნიშვნელს“ წარმოადგენს „თხოვნა“, „ხვეწნა“: ask for (I can't solve the problem alone, so I'm asking for help.), beg for, pray for - **ჭირის მოჭმა, ყელის გამოწევა.**

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართულ ენაში არსებული ერთეული „ჭირის მოჭმა“. საკვლევ ენათაგან მხოლოდ ქართულში ფიქსირდება „თხოვნის“ გამომხატველი ერთეული, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაში ფიქსირდება „თავგანწირვის“ სემა (იდიომი გულისხმობს ადრესატის მზაობას, ადრესანტისაგან სასურველის მიღების სანაცვლოდ, იტვირთოს მისი გასაჭირი). აღნიშნული სემის წყალობით იდიომი გამოირჩევა საკვლევ ენებში არსებული ყველა იდიომისაგან ექსპრესიულობის მაქსიმალური ხარისხით.

„დასაბამისად იყო სიტყვა, სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“. აქ სიტყვა წარმოადგენს სამყაროს ერთ მთლიანობად ქცევის საფუძველს - სიტყვა მთელ სამყაროს იტევს. სწორედ ამიტომ აღმერთებდა ადამიანი ყოველთვის სიტყვას. ადამიანს დღესაც ესმის სიტყვის მნიშვნელობა, თუმა უნდა ითქვას, რომ საკვლევ ენათა ცალკეულ ანდაზებსა და ხატოვან თქმებში ფიქსირდება გარკვეული ცვლილება ადამიანის მიერ სიტყვის (ლაპარაკის) ღირებულების შეფასებაში: ანადაზებსა და ხატოვან თქმებში ჩამოყალიბებულია ოპოზიციის ისეთი ტიპები, როგორცაა: „სიტყვა - საქმე“, „ლაპარაკი - სიჩუმე“, „მრავალსიტყვაობა - ლაკონურობა“ და რაც მნიშვნელოვანია, პრიორიტეტული ყოველთვის ოპოზიციის მეორე წევრია:

ოპოზიცია „სიტყვა - საქმე“: Between saying and doing there is a long road - სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია; What you do speaks louder than what you say - საქმე სიტყვაზე უფრო ხმამაღლა ღაღადებს; Big words seldom with good deeds - დიდი სიტყვები დიდ საქმეებს იშვიათად ემთხვევა; All talk and no cider - არ ვარგა ენა საქმეზე გრძელი; Great talkers are little doers - ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცოტას აკეთებს; The shortest answer is doing - უმოკლესი პასუხი საქმის გაკეთებაა.

ოპოზიცია „ლაპარაკი - სიჩუმე“: Be silent or say anything better than silence - ან გაჩუმდი, ან ისეთი თქვი, სიჩუმეს სჯობდეს; A fool when he is silent is counted wise - როცა სულელი ჩუმად არის, მას ჭკვიანად თვლიან; A close mouth catches no flies - მოკუმულ პირში ბუზი ვერ შეფრინდება; Silence is golden - დუმილი ოქროა .

ოპოზიცია „მრავალსიტყვაობა - ლაკონურობა“: The last said, the soonest mended - ცოტა ნათქვამი ადვილად გამოსწორდება; An answer is a word - ერთი სიტყვაც პასუხია; The least said, the soonest mended - ცოტა ნათქვამი ადვილად გამოსწორდება.

საკვლევ ენებში „მეტყველების“ კონცეპტის ობიექტივატორთა მსგავსება/განსახვავებულობის ფაქტი ასოცირდება ადამიანის აზროვნებასა და ენობრივი ერთეულების წარმოქმნის პროცესთა შორის არსებულ მიმართებასთან: ადამიანის აზროვნების შედეგად ენებში ჩნდება გარკვეული სახის ერთეულები, რომლებიც სხვადასხვა ენას განარჩევს ერთმანეთისაგან და, იმავდროულად, ქმნიან უხილავ კავშირს მათ შორის. ეს უხილავი კავშირი არის ადამიანთა უნივერსალური

ცნობიერება. სხვადასხვა ენის თავისებურ მხარეთა გაერთიანებით იქმნება სამყაროს ენობრივი სურათი, რომელზეც ისახება ადამიანის აზროვნებისა და განვითარების სურათი.

დასკვნები

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში მეტყველების ფრეიმის შემადგენლობის კვლევის შედეგების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ დასკვნათა ფორმულირების გზით:

- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტის სტრუქტურა არაერთგვაროვანია: იგი შედგება ერთმანეთის მიმართ დომინანტური სემანტემების - ბირთვის, ახლო და შორეული პერიფერიისაგან;
- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტი ხასიათდება ნომინაციური ველის სიმკვეთრით, რაც გულისხმობს სინონიმური რიგებისა და ჰიპონიმურ მიმართებათა მრავალფეროვნებას;
- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტი ხასიათდება ნომინაციური სიმჭიდროვის იდენტური ხარისხით, რაც გულისხმობს რეალობის კონკრეტული ფრაგმენტის დეტალიზაციის, კონკრეტული კონცეპტუალური სივრცის ენობრივი აღნიშვნის დეტალურობის ხარისხის იდენტურობას;
- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტი ხასიათდება ნომინაციური სიმჭიდროვის მაღალი ხარისხით, რაც მეტყველებს ენობრივი სოციუმების მიერ რეალობის კონკრეტული სფეროს გააზრების აქტუალურობაზე. კონკრეტული სფეროს გააზრების აქტუალურობა ვლინდება ენის მატარებელი ერის ცნობიერებაში სფეროს კონცეპტუალიზაციის დეტალურობის მაღალ ხარისხში;
- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტის ხანიერებასა და კონცეპტის ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე მეტყველებს კონცეპტის ნიშნობრივი აღნიშვნის პოტენციალის მრავალფეროვნება; რაც უფრო მრავალფეროვანია კონცეპტის ნიშნობრივი აღნიშვნის პოტენციალი, მით უფრო „ხანიერია“ კონცეპტი და მით უფრო დიდია მისი ღირებულებითი მნიშვნელოვნება ენობრივი კოლექტივისათვის;
- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტი ხასიათდება კომუნიკაციური რელევანტურობის იდენტური ხარისხით; საკვლევ ენებში კონცეპტს გააჩნია

მრავალი სახეობრივი დასახელება, ეს კი ნიშნავს, რომ მოცემულ კონცეპტზე დეტალურად საუბარი აუცილებელია და მოცემული კონცეპტუალური ინფორმაცია კომუნიკაციური თვალსაზრისით მოთხოვნადია;

- მეტყველების კონცეპტის ლექსიკალიზაცია ხდება სიბრტისებური (ზედაპირული) ერთფენოვანი სტრუქტურის მქონე ნომინაციური ველების მეშვეობით. სიბრტისებური (ზედაპირული) ერთფენოვანი სტრუქტურის სეგმენტაცია ხდება ერთი თვალსაზრისის, კონკრეტულ შემთხვევაში კი, „მეტყველების“ სემის არსებობა/არარსებობა ველის ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში. სიბრტისებური (ზედაპირული) ერთფენოვანი სტრუქტურის მანიფესტაციას წარმოადგენს სტრუქტურის ლინეალურობა, რომელსაც შემდეგნაირად განვმარტავთ: ლინეალურია შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულის სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება ველის სიტყვა-იდენტიფიკატორის მიერ დასახელებული შინაარსის შენარჩუნების იდენტური უნარის მქონე ძალთა არსებობით.
- საკვლევ ენებში მეტყველების ფრეიმის ობიექტივატორთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ „ზეპირი მეტყველების“ სემა საკვლევ კონცეპტის სხვადასხვა სტრუქტურულ (დომინანტურ/არადომინანტურ) სეგმენტში ხასიათდება „ცვლადი ღირებულებით“;
- ღირებულებაში ვგულისხმობთ „ზეპირი მეტყველების“ სემის სტატუსს (დომინანტურ/არადომინანტურს) ველის ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში;
- სემას, რომელიც ველის ყველა ელემენტის სემანტიკურ სტრუქტურაში წარმოდგენილია იდენტური (დომინანტური/არადომინანტური) სტატუსით ვუწოდებთ სტატიკურს;
- საკვლევ კონცეპტის ბირთვში სემა „ზეპირი მეტყველება“ სტატიკურია - ლექსიკურ-სემანტიკური ველის ყველა ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში სემა „ზეპირი მეტყველება“ წარმოდგენილია იდენტური - დომინანტური - სტატუსით, რაც გულისხმობს სემის სტატუსის მდგრადობას;

- საკვლევი კონცეპტის ბირთვული ველის რეპერტუარს ქმნის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში მეტყველება ინტერპრეტირდება მხოლოდ როგორც „ზეპირი მეტყველება“. ამ ტიპის ელემენტებს პირობითად ვუწოდებთ „მონოკონტექსტუალურ“ ელემენტებს;
- საკვლევი კონცეპტის ახლო და შორეული პერიფერიის ველების რეპერტუარს ქმნის ის ელემენტები, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში მეტყველება ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. ამ ტიპის ელემენტთა სტრუქტურაში „მეტყველების“ სემა არ არის დიფერენცირებული მეტყველების ტიპის (ზეპირი/წერიტი) მიხედვით. ამ ტიპის ელემენტთა სტრუქტურაში „მეტყველების“ სემა არ არის დიფერენცირებული არც ქმედების (ვერბალური/არავერბალური) მიხედვით. აღნიშნული ელემენტების სემანტიკურ სტრუქტურაში არსებული „მეტყველების“ სემა მხოლოდ კონკრეტული კონტექსტის წყალობით იძენს ისეთ დიფერენციალურ ნიშნებს, როგორცაა ზეპირი/წერიტი მეტყველება და ვერბალური/არავერბალური ქმედება. ელემენტებს, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში „მეტყველების“ სემა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას პირობითად ვუწოდებთ „პოლიკონტექსტუალურს“. ელემენტთა ჩვენს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ეხმიანება ანთროპოლოგ ედუარდ ჰოლის თეორიას „ფართო“ და „ვიწრო“ კონტექსტის კომუნიკაციის შესახებ;
- ედუარდ ჰოლის „ვიწრო“ და „ფართო“ კონტექსტის ელემენტთა მარკერები სრულ შესაბამისობაშია „მონო“ და „პოლიკონტექსტუალური“ ელემენტების მარკერებთან, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მონოკონტექსტუალური“ ელემენტების „ვიწრო“ კონტექსტის კომუნიკაციის ელემენტებად, ხოლო „პოლიკონტექსტუალური“ ელემენტების „ფართო“ კონტექსტის კომუნიკაციის ელემენტებად განხილვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ანალოგია წარმოადგენს ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის პერსპექტივათა თანაზიარობის მანიფესტაციას;
- საკვლევ ენებში მეტყველების ფრეიმი ხასიათდება მსგავსი კონფიგურაციით, რაც განპირობებულია საკვლევ ენებში იდენტიფიცირებულ კოგნიტურ

მაკლასიფიცირებელ ნიშანთა და კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა თანხვედრის ფაქტით;

- საკვლევ ენებში მეტყველების ფრეიმის ქსელი შემდეგნაირად გამოიყურება: **ფრეიმი "speech production" – „მეტყველება“** წარმოადგენს სემანტიკური ფრეიმების იერარქიის მწვერვალს და კომუნიკაციური სემანტიკის მქონე ზმნების ფრეიმებისა და ქვეფრეიმების კონსტრუირების საფუძველს.
- საკვლევ ენებში **ფრეიმი "speech production" – „მეტყველება“** **ობიექტივიზირდება** ისეთი ნომინაციური ველების მეშვეობით, როგორცაა: "say", "tell", "speak", "talk" - „თქმა“, „ლაპარაკი“. აღნიშნული ნომინაციური ველები წარმოადგენს „მეტყველების“ კონცეპტის ბირთვულ კონსტრუქტებს, ვინაიდან მათი ელემენტების მნიშვნელობაში ყველაზე „წმინდა სახითაა“ წარმოდგენილი ზეპირმეტყველების კონცეპტი;
- ძირითადი ფრეიმის ბაზაზე და დიფერენციალური ნიშნების განსაზღვრის შედეგად იგება ქვეფრეიმები. დიფერენციალური ნიშნების საფუძველზე კონსტრუირებული ქვეფრეიმები წარმოადგენს კონცეპტის ახლო და შორეული პერიფერიის კონსტრუქტებს;
- მთავარი ფრეიმის ქვეფრეიმები ქმნიან მეტყველების კონცეპტის ახლო და შორეულ პერიფერიას. აღნიშნული ქვეფრეიმების შემადგენლობა აზუსტებს მეტყველების აღმნიშვნელ ზმნათა ხასიათს, მოდალურობას, ზემოქმედების ძალას, შინაარსს, კომუნიკაციის მონაწილეთა შემადგენლობას, როლებს, განწყობას, ურთიერთდამოკიდებულებას, ინტელექტუალურ და ემოციურ მდგომარეობას;
- აღნიშნულის გათვალისწინებით, მეტყველების კონცეპტის ახლო პერიფერია წარმოდგენილია ისეთი კონსტრუქტებით, როგორცაა: **"verbal expression" (ვერბალური გამოხატულება)** და **"pronouncing" (წარმოთქმა)**;
- მეტყველების კონცეპტის შორეული პერიფერია წარმოდგენილია ფრეიმით **"intention" (მიზანმიმართული ზემოქმედება)**, რომელიც საკვლევ ენებში **ობიექტივიზირდება** ისეთი ნომინაციური ველების მეშვეობით, რომელთა სიტყვა-იდენტიფიკატორებს წარმოადგენს: საკვლევ ენებში აღნიშნული

კოგნიტური დიფერენციალური მარკერები სრულად ფარავს და შეესაბამება ფრეიმის "speech production" – (მეტყველება) ქსელის კონსტრუქტებს;

- ორივე საკვლევ ენაში მეტყველების აღმნიშვნელ ერთეულთა საერთო რაოდენობიდან, ყველაზე ბევრი ელემენტი გაერთიანებულია „მიზანდასახულობის“ ნიშნით წარმოდგენილ ჯგუფში, შედარებით ნაკლებ ელემენტს აერთიანებს „აზრის გამოხატვის ფორმის“ ნიშნით წარმოდგენილი ჯგუფი, კიდევ უფრო მცირერიცხოვანია „დამოკიდებულების“ ნიშნით წარმოდგენილი ჯგუფი, ყველაზე დაბალი რიცხობრივი მაჩვენებლით ხასიათდება „ლაპარაკის მანერის“ ნიშნით გაერთიანებულ ელემენტთა ჯგუფი;
- ზოგადი სახით მეტყველების ფრეიმის შემადგენლობა საკვლევ ენებში შეიძლება, შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: კვანძი - სუბიექტის მოტივი (ინფორმაციის გადაცემის სურვილი, ვალდებულება, აუცილებლობა); კვანძი - სუბიექტის პოტენცია (მეტყველების უნარი, ინფორმაციის ფლობა); კვანძი - სუბიექტის განზრახვა (მიზნის დასახვა და გადაწყვეტილების მიღება); კვანძი - ქმედების განხორციელების საშუალება (ენა, ხმა, ჩურჩული, ყვირილი); კვანძი - ქმედება; კვანძი - შედეგი ან შედეგის პროგნოზი; კვანძი - შეფასება;
- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტის ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა რეპერტუარის ანალიზი იძლევა შემდეგ დასკვნათა ფორმულირების შესაძლებლობას:
- მეტყველების აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ზემოქმედების პოტენციალი საკმაოდ დიდია, გაცილებით დიდი ვიდრე შესაბამისი ზმნებისა. ზეპირმეტყველება, როგორც სამეტყველო ქმედების ერთ-ერთი ფორმა, მრავალასპექტიანი მოვლენაა, რომელიც მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი საკვლევ ენათა ფრაზეოლოგიურ დონეზე. ფრაზეოლოგიმთა მეშვეობით მეტყველების კონცეპტის ენაში ობიექტივიზაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია - ფრაზეოლოგიზირებულია მეტყველების უკლებლივ ყველა დიფერენციალური კოგნიტური ნიშანი;
- საკვლევ ენებში აღნიშნული კოგნიტური დიფერენციალური მარკერები სრულად ფარავს და შეესაბამება ფრეიმის "speech production" – (მეტყველება)

ქსელის კონსტრუქტებს. სწორედ კოგნიტური დიფერენციალური მარკერებისა და ფრეიმის "speech production" – (მეტყველება) ქსელის კონსტრუქტების თანხვედრის იდენტური ხარისხი განიხილება ნაშრომში საკვლევ ენათა მსგავსების კრიტერიუმად;

- ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმრავლესობის ძირითად კოგნიტურ ფუნქციას წარმოადგენს ზემოქმედების ფუნქცია. აღნიშნული ფუნქცია, შეტყობინების ფუნქციასთან ერთად, გააჩნია მეტყველების აღმნიშვნელ თითქმის ყველა ფრაზეოლოგიურ ერთეულს. უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველების აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ზემოქმედების ფუნქცია დომინანტურია შეტყობინების ფუნქციასთან მიმართებაში;
- საკვლევ ენებში ფიქსირდება როგორც მსგავსება, ისე განსხვავება;
- ქართული ენობრივი ცნობიერების მიერ „უგულელებელოფილია“ ბევრი ის ორგანო, რომელიც მონაწილეობს ბგერათა წარმოქმნის პროცესში (ხორხი, ხახა, ყელი, ფილტვები). ინგლისური ენობრივი ცნობიერება ქართულთან შედარებით უფრო ხშირად მიმართავს ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იმ ორგანოთა დასახელებას, რომლებიც მონაწილეობს ბგერის წარმოქმნის პროცესში;
- ასევე ფიქსირდება განსხვავება საკვლევ ენათა ცოდნის სისტემაში: ქართულ ენობრივ ცნობიერებასთან შედარებით, ინგლისური ენობრივი ცნობიერება უფრო ზუსტად განსაზღვრავს იმ ორგანოებს, რომლებიც მონაწილეობას იღებს მეტყველების პროცესში. ამ თვალსაზრისით, შეიძლება, ითქვას, რომ ინგლისურ ენაში სამეტყველო აპარატის თაობაზე არსებული წარმოდგენა უფრო მეცნიერულია ქართულ ენაში არსებულ წარმოდგენასთან შედარებით;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში ენა წარმოადგენს ბგერათა წარმოთმისათვის საჭირო ძირითად ორგანოს. ამაზე მეტყველებს საკვლევ ენებში კომპონენტის "tongue" – „ენა“ მომცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიმრავლე;
- ენის ცნობიერებაში არსებული მეტყველების წესები დაფიქსირებულია უარყოფითი დამოკიდებულებით მარკირებულ ზმნებსა და გამონათქვამებში.

- აღნიშნული ერთეულები წარმოადგენს, ასე ვთქვათ, „რეცეპტს“ იმისა, თუ „როგორ არ უნდა ვიმეტყველოთ“;
- მეტყველების ფენომენის შესახებ ინგლისური და ქართული ენობრივი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი წარმოდგენის თავსებადობა ორგვარად ვლინდება:
 - ა. საკვლევ ენებში დასტურდება იდენტური კოგნიტური დიფერენციალური ნიშნისა და კომპონენტების მომცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების არსებობა;
 - ბ. საკვლევ ენებში დასტურდება იდენტური კოგნიტური დიფერენციალური ნიშნის, მაგრამ განსხვავებული კომპონენტების მომცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების არსებობა;
 - მეტყველების ფენომენის თაობაზე ინგლისური და ქართული ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა ვლინდება როგორც საკვლევ ენათა ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ნომინაციათა შიდა ფორმის თავისებურებაში, ისე სამეტყველო ქმედების კონცეპტუალიზაციის პლანშიც: ქართულ ენაში ცნება „ენა-სისტემა“ და „ენა-მეტყველების ორგანო“ გადმოიცემა ერთი და იმავე ლექსემით „ენა“, ინგლისურ ენაში კი - ორით "language" და "tongue";
 - ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობის მოტივირებულობასა და ფრაზეოლოგიურ აბსტრაქციას შორის არსებობს შემდეგი ტიპის მიმართება: რაც უფრო მაღალია ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის მოტივირებულობის ხარისხი, მით უფრო დაბალია ერთეულის ფრაზეოლოგიური აბსტრაქციის ხარისხი;
 - ქართულ ენაში მეტყველების კონცეპტის ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა უმრავლესობა გამოირჩევა ფრაზეოლოგიური აბსტრაქციის მაღალი ხარისხით; აღნიშნული ერთეულები ხასიათდება მთლიანობრივი, სინთეზური მნიშვნელობითა და ლექსიკურ კომპონენტთა მნიშვნელობის არაავტონომიურობით.
 - ინგლისურ ენაში მეტყველების კონცეპტის ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა უმრავლესობას ახასიათებს მნიშვნელობის

მოტივირებულობის მაღალი ხარისხი, ფორმისა და მნიშვნელობის იზომორფიზმი, მნიშვნელობის ანალიტიზმი, ლექსიკურ კომპონენტთა მნიშვნელობის ავტონომიურობა;

- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტის ლექსიკალიზაციის თავისებურება ვლინდება საკვლევ კონცეპტის მხოლოდ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მეშვეობით ობიექტივიზაციისას. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ფრაზეოლოგიზმი ყალიბდება სოციალური, ენობრივი და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების ხანგრძლივი პროცესის შედეგად;
- საკვლევ ენებში მეტყველების კონცეპტის ფრაზეოლოგიური ერთეულებით ობიექტივიზაციის შედეგთა ანალიზმა გამოვლინა:
 - ა. სრული თანხვედრა მეტყველების იდენტური კოგნიტური დიფერენციალური ნიშნების ფრაზეოლოგიური ერთეულებით ლექსიკალიზაციისას;
 - ბ. ნაწილობრივი თანხვედრა მეტყველების იდენტური კოგნიტური დიფერენციალური ნიშნების ფრაზეოლოგიური ერთეულებით ლექსიკალიზაციისას;
 - გ. სრული არათანხვედრა მეტყველების იდენტური კოგნიტური დიფერენციალური ნიშნების ფრაზეოლოგიური ერთეულებით ლექსიკალიზაციისას;
 - დ. ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დემეტაფორიზაცია ქართულ ენაში;
 - ე. ქართული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დემეტაფორიზაცია ინგლისურ ენაში;
 - ინგლისური ენისაგან განსხვავებით, ქართულ ენაში შეიმჩნევა გარკვეული რაოდენობრივი დისბალანსი მეტყველების სუბიექტისა და მეტყველების პროცესის კვალიტატური მარკერების ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა შორის: ქართულ ენაში მეტყველების სუბიექტის კვალიტატური მარკერების

- ობიექტივატორთა რაოდენობა ჭარბობს მეტყველების პროცესის კვალიტატური მარკერების ობიექტივატორთა რაოდენობას ინგლისურში;
- მეტყველების ფენომენის შესახებ ინგლისური და ქართული ენობრივი ცნობიერებისათვის დამახასიათებელ წარმოდგენათა სხვაობა აიხსნება ეროვნული ცნობიერების გავლენით ენის ფორმირებაზე;
 - საკვლევ ენებში მეტყველების ფრეიმში აღმოჩნდა ორი ტიპის ობიექტივატორი, რომელთაც პირობითად ვუწოდებთ „უნივერსალური ცნობიერებისა“ და „ეროვნული ცნობიერების ობიექტივატორებს“;
 - „უნივერსალური ცნობიერების ობიექტივატორებს“ ვუწოდებთ კონცეპტუალური ანალიზის შედეგად გამოვლენილ ელემენტებს. ობიექტივატორთა აღნიშნული ტიპით დაკომპლექტებულია „მეტყველების“ ფრეიმის ლექსიკურ-სემანტიკური ნომინაციური ველების შემადგენლობა. „უნივერსალური ცნობიერების ობიექტივატორები“ გვევლინება აღსაწერ ფენომენზე არსებული ძირითადი ცოდნის ვექტორებად. ეს უკანასკნელი კი გვესმის როგორც ფენომენის გამოცდილებისეული შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების პროცესის ერთგვარი „პროდუქტი“;
 - „ეროვნული ცნობიერების ობიექტივატორებს“ ვუწოდებთ სემანტიკური ანალიზის შედეგად გამოვლენილ ელემენტებს. ობიექტივატორთა აღნიშნული ტიპით დაკომპლექტებულია მეტყველების ფრეიმის ფრაზეოლოგიური შემადგენლობის მქონე ნომინაციური ველები. „ეროვნული ცნობიერების ობიექტივატორები“ აღბეჭდილია ისტორიულ-კულტურული პლასტის სპეციფიკით და ნიშნადია ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით;
 - „უნივერსალური ცნობიერების ობიექტივატორთა“ რეპერტუარის თვალსაზრისით თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში კონსტრუირებული მეტყველების ფრეიმები იდენტურია;
 - თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში კონსტრუირებულ მეტყველების ფრეიმთა შორის არსებული განსხვავება ფიქსირდება მხოლოდ „ეროვნული ცნობიერების ობიექტივატორთა“ დონეზე.

- ინგლისურ და ქართულ ენებში მეტყველების კონცეპტის ობიექტივატორთა ანალიზმა გამოვლინა, რომ მეტყველების ფრეიმი წარმოადგენს უნივერსალური და ეროვნული ცნობიერებით ნიშანდებულ ელემენტთა თანაარსებობის სივრცეს.

მეტყველების ფენომენის შესახებ ინგლისური და ქართული ენობრივი ცნობიერებისათვის დამახასიათებელ წარმოდგენათა გარკვეული თავსებადობა აიხსნება მოვლენის უნივერსალურობით მსოფლიო ცივილიზაციაში. „მეტყველების“ კონცეპტუალური ველის ენობრივი ობიექტივატორების ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ისტორია აღბეჭდილია ევროპელი ხალხებისათვის დამახასიათებელი საერთო წარმოდგენებით, კულტურული კოდით. სხვადასხვა ხალხთა აზროვნების შტრიხების მსგავსება განპირობებულია ადამიანის ცნობიერების უნივერსალურობით: ადამიანის აზროვნების სისტემა, ცხოვრების წესი, დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი, მისწრაფებები და მიზნები ხასიათდება საერთო ნიშნებით მიუხედავად მათი განსხვავებული აზროვნებისა და ეროვნულობისა.

გამოყენებული მეცნიერული ლიტერატურა

1. აბელსონი 1973 – Abelson R. (1973). *The Structure of Belief Systems*, in "Computer Models of Thought and Language" in R. Shank K. Colby, San Francisco.
2. აბსანძე 2015 – აბსანძე ი. (2015). *შეცდომა თუ დანაშაული?!*
<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/115319/მომიებული> 17/01/2015
3. ადელი 1994 – Adeli H.(1994). *Knowledge Engineering*. McGraw-Hill Publishing Company, N.Y.
4. ანდერსონი 1996 – Anderson H.H.A.(1996). *Functional Theory of Cognition*. Mahwah (New Jersey): Erlbaum.
5. არბიბი 1985 – Arbib M.A. (1985) *In search of the person: Philosophical explorations in cognitive science*. – Amherst: U. of Mass.
6. ბაბუშკინი 1996 – Бабушкин А.П.(1996). *Типы концептов в лексико-фразеологической семантике языка*. - Воронеж: Изд-во Ворон. ун-та.
7. ბარსელოუ 1992 – Barsalou LW.(1992). *Frames, concepts, and conceptual fields*. See Lehrer and Kittay.
8. ბედელი 1974 – Bedell G.(1974) *The arguments about deep structure* // Lg. v.50. N 3.
9. ბედვისტელი 1970 – Birdwhistell, R. L. (1970). *Kinesics and Context. Essays on body motion communication*. University of Pennsylvania Press. Part V. 26: Body Motion.
10. ბედვისტელი 1975 – Birdwhistell, R. L. (1975). *Background considerations to the study of the body as medium of expression*. In J. Benthall (ed.), *The Body as a medium of expression*. Allen Lane. Penguin Books Ltd.
11. ბელინგ 1964 – Burling R.(1964). *Cognition and Componential analysis*. In *American Anthropologist* 66. *Man's Many voices*, New York, Holt, Rinehart & Winston Inc.
12. ბერეკაშვილი 2007 – ბერეკაშვილი თ.(2007). *ეროვნული ენა, ეროვნული კულტურა, ეროვნული სული*. ჟურნალი სემიოტიკა N7.

13. ბოდუენ დე კურტენე 1963 – Бодуэн де Куртенэ И.А. (1963). *Избранные труды по общему языкознанию* М. Изд-во АН СССР.
14. ბოლდირევი 2001 – Болдырев Н.Н. (2001). *Когнитивная семантика: Курс лекции по английской филологии*. – Тамбов: Изд-во Тамбов. ун-та.
15. ბრუნერი 1977 – Брунер Дж. (1977) *Психология познания*. М.: Прогресс.
16. გადინერი 1985 – Gardiner A.(1985) *The mind's new science: the history of cognitive revolution*. N-Y.
17. გავრილოვა 2000 – Гаврилова Т.(2000). Хорошевский В. Базы знаний интеллектуальных систем. Питер.
18. გაინესი 1997 – Gaines, B. R.(1997). Shaw, M. L. G. Knowledge modeling. Knowledge Science Institute, University of Calgary.
19. გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია 2003 – გამყრელიძე თ. კიკნაძე ზ. შადური ი. შენგელია ნ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თ.ს.უ.
20. გაო 2001 – Gao, H. (2001). The physical foundation of the patterning of physical action verbs. Lund University Press.
21. გაუზო 2014 – გაუზო ს. (2014). *დილის ხაზი*.
http://www.for.ge/view.php?for_id=36391&cat=3 მოძიებული 10/02/2015.
22. გლობერსონი,ზელნიკერი 1989 – Globerson T., Zelniker T. (1989). Introduction // T. Globerson, T. Zelniker eds. Cognitive style and cognitive development. – Norwood (N.J.): Ablex.
23. გრედი, ოუკლი, ქოლსონი 1999 – Grady, J. E., Oakley, T., & Coulson, S. (1999). Blending and Metaphor. In G. Steen & R. Gibbs (eds.), *Metaphor in cognitive linguistics*, Philadelphia: John Benjamins.
24. დ'ანდრადე 1985 – D'Andrade, R. (1985). Character terms and cultural models. In Janet W. D Dougherty (ed.), *Directions in cognitive*.
25. დანი, ქაილი,დიუკსი, გინსბერგი 1986 – Dunn W. N. Cahill A. G. Dukes M. J. Ginsberg A. (1986). *Cognitive Methodology: Perspectives, Concepts, and Methods*, JAI Press.
26. დევიტი 1990 – Devitt M.(1990). A narrow representational theory of the mind // *Mind and cognition: A reader / Edit. by W.G.Lycan*. – Oxford: Blackwell.

27. დემიანკოვი 1989 – Демьянков В.З. (1989) – Интерпретация, понимание и лингвистические аспекты их моделирования на ЭВМ. – М.: Изд-во Моск. ун-та.
28. დემიანკოვი 1992 – Демьянков В.З. (1992) – Когнитивизм, когниция, язык и лингвистическая теория // Язык и структуры представления знаний. – М.
29. დემიანკოვი 1994 – Демьянков В.З. Когнитивная лингвистика как разновидность интерпретирующего подхода //ВЯ. N 4.
30. დემიანკოვი 2001 – Демьянков В.З. (2001).Понятие и концепт в художественной литературе и в научном языке // Вопросы филологии. № 1.
31. დირვენ, ვერსპორი 1998 – Dirven, R. & Verspoor, M. (1998). Cognitive Exploration of Language and Linguistics. Amsterdam: Benjamins.
32. ევანსი, გრინი 2005 – Evans, V., & Green, M. (2005). Introduction to Cognitive Linguistics .
33. ვაისგერბერი 1959 – Weisgerber L . (1959). Sprach Schlüssel zur Welt, Düsseldorf.
34. ვასილენკო 1966 – Василенко В. А. Ценность и Ценностные отношения 1966.
35. ველიჩკოვსკი 1983 – Величковский Б.М. (1983). Современная когнитивная психология. М.: МГУ.
36. ველიჩკოვსკი 2006 – Величковский Б.М. (2006). Когнитивная наука: основы психологии познания. В 2 т. - М. : Смысл : Издательский центр «Академия».
37. ვეჯბიცკაია 2001 – Вежбицкая А. (2001). Понимание культур через посредство ключевых слов. М.
38. ვიერზბიკა 1984 – Wierzbicka, A. (1984). Apples are not a 'kind of fruit': the semantics of human categorization. American Ethnologist , Vol. 11, No. 2.
39. ვიერზბიკა 1992 – Wierzbicka A.(1992). Semantics, culture, and cognition. Oxford: Oxford University Press.
40. ვითგენშტაინი 1960 – Wittgenstein L. (1960). „Tagebücher 1914-1916“. In: Schriften. Frankfurt a. M. Suhrkamp.
41. ვილენსკი 1990 – Wilensky R. (1990) . Meaning and knowledge representation // W. Bahner, J.V.D. Schildt eds. Proceedings of the Fourteenth International Congress of Linguists: Berlin (GDR).

42. ვილკსი 1973 – Wilks Y. (1973). Preference Semantics, Stanford Artificial Intelligence Laboratory, Memo AIM-206, Stanford University, Stanford, Calif.
43. ვორფი 1956 – Whorf, B. L. (1956). Language, mind, and reality. In: J.B. Carroll (ed.), Language, thought and reality. selected writings of Benjamin Lee Whorf. Cambridge, Massachusetts: the MIT Press
44. ზვეგინცევი 1960 – Звегинцев В.А.(1960). История языкознания XIX и XX веков в очерках и извлечениях. В 2-х ч. Ч.2. – М.: Учпедгиз.
45. თაგარდი 1996 – Thagard P. (1996) Mind. Introduction to Cognitive Science. Cambridge (Mass.): The MIT Press.
46. თალმი 2000 – Talmy, L. (2000). Toward a Cognitive Semantics. Cambridge, Mass.: MIT Press.
47. იანგი, ინი, ლინგი, პენი 2007 – Yang Q, Yin J. Ling C.X. Pan R. (2007). Extracting Actionable Knowledge from Decision Trees. IEEE Transactions. Vol.19.
48. ინგლისურ–ინგლისური ლექსიკონი (2008). Oxford Advanced Learner's Dictionary (2008). Oxford: Oxford University Press.
49. იუ 2003 – Yu N. (2003). Chinese metaphors of thinking. Cognitive Linguistics, 14 (2/3). anthropology. University of Illinois Press.
50. კარასიკი 2004 – Карасик В.И.(2004). Языковой круг: личность, концепты. Дискурс.
51. კასევიჩი 1998 – Касевич В.Б. (1998). О когнитивной лингвистике // Общее языкознание и теория грамматики. Материалы чтений, посвященных 90-летию со дня рождения С.Д. Кацнельсона. - СПб: Наука.
52. კემბრიჯის ლექსიკონი. (1995). <http://www.dictionary.cambridge.org> მოძიებული 2/02/2012
53. კენდალი, სიმონი, გრინი 2007 – Kendal, Simon & Green, Malcolm. (2007). An Introduction to Knowledge Engineering. Springer.
54. კუბრიაკოვა 1992 – Кубрякова Е.С. (1992) Проблемы представления знаний в современной науке и роль лингвистики в решении этих проблем // Язык и структуры представления знаний. – М.

55. კუბრიაკოვა 1994 – Кубрякова Е.С. (1994) – Парадигмы научного знания в лингвистике и ее современный статус // Изв. АН. Серия литературы и языка. – М. Т.53, № 2.
56. კუბრიაკოვა 1994 – Кубрякова, Е. С. (1994). Начальные этапы становления когнитивизма : лингвистика, психология, когнитивная наука / Е. С. Кубрякова // Вопросы языкознания.
57. კუბრიაკოვა 1995 – Кубрякова Е.С. (1995). Эволюция лингвистических идей во второй половине XX в // Язык и наука конца 20 в. – М.
58. ლაზარევი 1999 – Лазарев В.В. К. (1999) теории обыденного/когнитивного познания (от Коперника к Птолемею) // Вестник Пятигорского государственного университета. - Пятигорск. №2.
59. ლაკოფი 1977 – Lakoff G.(1977). Linguistic gestalts // CLS. v. 13.
60. ლაკოფი 1988 – Лакофф Дж.(1988) Мышление в зеркале классификаторов. / Новое в зарубежной лингвистике. Когнитивные аспекты языка. Вып. 23. М.
61. ლაკოფი 1980 – Lakoff, G., & Johnson, M. (1980). Metaphors we live by. Chapter 1: Concepts we live by. chapter 8: Metonymy. chapter 12: How is our conceptual system grounded?
62. ლაკოფი, ჯონსონი 1988 – Лакофф Дж. Джонсон М.(1988) Когнитивные аспекты языка. В кн.: Новое в зарубежной лингвистике. – М. №23.
63. ლაკოფი, ჯონსონი 1999 – Lakoff G. and Johnson M.(1999). Philosophy in the Flesh. The Embodied Mind and Its Challenge to Western Thought. N.Y.: Perseus Books .
64. ლანგაკერი – Langacker R. Assessing the cognitive linguistic enterprise. In: Cognitive Linguistics... (см. № 8).
65. ლანგაკერი 1998 – Langacker, R. (1998). Conceptualization, symbolization and grammar. In M.Tomasello(ed.) The New Psychology of Language. Lawrence Erlbaum Associates.
66. ლეზანიძე 2004 – ლეზანიძე გ. (2004). კულტუროლოგიის საფუძვლები. თბილისი.

67. ლე პენი 1989 – Le Pan D.(1989). The cognitive revolution in Western culture: V.1. The birth of expectation. – Houndmills; L.: Macmillan.
68. ლეპინსი 2015 – Lepins E. (2015). *Quotes*.
<http://www.quotesmom.com/authors/evinda-lepins/quotes-2.html> მოძიებული
 17/01/2015.
69. ლერერი 1992 – Lehrer A. Kittay E. F. (1992). Frames, fields, and contrasts. Hillsdale, NJ: Erlbaum.
70. ლიმიონგი, შედბოლტი, ქეროლი 2007 – Liming C. Shadbolt N. R. Carole A. (2007). Goble: A Semantic Web-Based Approach to Knowledge Management for Grid Applications. IEEE Transactions, Vol.19.
71. მაკსაპეტაიანი 2003 – Макапетян А.Г. (2003). Языки описания и модели мира / А.Г.Макапетян // Вопросы философии.
72. მარკუსი 1991 – Markus HR, Kitayama S. (1991). Culture and the self: implications for cognition, emotion and motivation. Psychology.
73. მასდენი, ლითლერი 2000 – Marsden D. and Littler D.(2000). Repertory grid technique – An interpretive research framework. International Journal of Design Education. No. 7.
74. მასლოვა 2001 – Маслова В.Л. (2001). Лингвокультурология. М.
75. მიנסკი 1972 – Minsky M.(1972) Form and Content in Computer Science, J. A. C. M.
76. მიנסკი 1986 – Minsky M. (1986). The society of mind. New York: Simon and Schuster.
77. მიנסკი 1993 – Minsky M. (1993). The Mastermind of Artificial Intelligence". Scientific American 269 (5).
78. მიנסკი, პეიპერტი 1969 – Minsky M., Papert S.(1969). Perceptrons, MIT Press.
79. მოჰენტი 1989 – Mohanty J. (1989). Transcendental philosophy, time, history and interpretation theory: some thoughts on an anti-foundationalistic argument // G. Müller, T.M. Seebohm eds. Perspektiven transzendentaler Reflexion: Festschrift Gerhard Funke zum Geburtstag. – Bonn: Bouvier.
80. ნათაძე 1984 – ნათაძე ნ. (1984). ერი და ეროვნული კულტურა. თბ.

81. ნიუველი 1990 – Newell A. (1990). Unified theories of cognition. – Cambr. (Mass.); L.: Harvard UP.
82. ნიუველი, შოუ, სიმონი 1959 – Newell A., Shaw J., Simon H. (1959). Report on a General Problem - Solving Program, Proc. Intern. Conf. Inform. Process. UNESCO House, Paris.
83. ნეგნევიტსკი 2005 – Negnevitsky M.(2005). Artificial Intelligence: A Guide to Intelligent Systems. Addison Wesley.
84. ნორა 1989 – Nora, P. (1989). “Between Memory and History: Les Lieux de Mémoire”. Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory. University of California Press. Spring.
85. ო'გრედი 1987 – O' Grady, W.(1987). Semantics: the study of meaning. In W. O'Grady & M. Dobrovolsky (eds.), Contemporary Linguistic analysis. Copp Clark Pitman Ltd.
86. ონიანი 1966 – ონიანი ალ.(1966). ქართული იდიომები. თბილისი: ნაკადული.
87. პრავიკოვა 1999 – Правикова Л.В.(1999) Когнитивная и когитативная лингвистика // Вестник Пятигорского государственного университета. - Пятигорск. №2.
88. პრავიკოვა 1999 – Правикова Л.В. (1999) Когнитивная и когитативная лингвистика // Вестник Пятигорского государственного университета. - Пятигорск. №2.
89. პეიპერტი 1972 – Papert S. (1972) Teaching Children to be Mathematicians Versus Teaching About Mathematics, Int. J. Math. Educ. Sci. Tech-nol. v. 3.
90. პინკერი 2004 – Пинкер С. (2004). Язык как инстинкт: Пер. с англ. / Общ. ред. В. Д. Мазо. — М. Едиториал УРСС.
91. პოპოვა 2002 – Попова З.Д.(2002). Стернин И.А. Язык и национальная картина мира. – Воронеж: Изд-во «ИСТОКИ».
92. პროხოროვი 2008 – Прохоров Ю. Е.В (2008). поисках концепта.М.
93. რამიშვილი 1980 – რამიშვილი დ. (1980). ენობრივი პროცესების ფსიქოლოგიური მექანიზმი და შემეცნების თეორია. თბ.

94. რამიშვილი 1984 – Рамишвили Г.(1984). Вильгельм фон Гумбольдт – основоположник теоретического языкознания//Вильгельм фон Гумболдт. Избр. Труды по языкознанию. М.
95. რასელი 1948 – Russell B.(1948). Human knowledge: Its scope and limits. N.Y.
96. რასელი, ნორვიგი 2003 – Russell Stuart J. Norvig P. (2003) Artificial Intelligence: A Modern Approach (2nd ed.), Upper Saddle River, NJ: Prentice Hall.
97. რასტიდი 1962 - Rastide R. (1962). Introduction a L'étude du mot "structure", Sens et usage du terme structure, ed. par. R. Rastide, S-Cravanhague.
98. რახილინა 1998 – Рахилина Е.В.(1998) Когнитивная семантика: персоналии, идеи, результаты // Семиотика и информатика. М.
99. რესი 1991 – Ress J.J (1999) On the developing history of psycholinguistics // Language Sciences. Vol. 13. № 1.
100. რიეგერი 1975 – Rieger C.(1975). Conceptual Overlays: a Mechanism for the Interpretation of Sentence Meaning in Context.Русский перевод: Труды IV Межд. конф. по искусств. интеллекту, т.6. М.: АН СССР.
101. რიდი 1996 – Reed St.R. (1996) Cognition.Theory and Application. 4th ed. San Diego: Brooks.
102. როსი 1975 – Rosh E. H. (1975) Human categorization // Advances in cross-cultural psychology. - L.
103. როსი et al. 2008 – Rossi F. Biehl M. Angulo C. (2008). Progress in modeling, theory, and application of computational intelligence. International Journal of Neurocomputing.
104. როში 1978 – Rosch E. (1978). Principles of categorization. In Eleanor Rosch and Barbara B. Lloyd (eds.), Cognition and categorization. Hillsdale, NJ: Erlbaum.
105. სახოკია 1979 – სახოკია თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი: მეცნიერება.
100. სეპირი 1993 – Сепир Э. (1993). Язык. Введение в изучение речи // Сепир Э. Избранные труды по языкознанию и культурологии. – М.: Прогресс, Универс.

101. სიმონსი 1973 – Simmons R.(1973). Semantic networks: Their Computation and Use for Understanding English Sentences, in "Computer Models of Thought and Language", Schank R., Colby C. (eds.), San Francisco.
102. სოსიური 1933 – Сосиур Ф. (1933). Курс общей лингвистики, М.
103. სტამბოლიშვილი 1998 – სტამბოლიშვილი ნ. (1998). „იდიომების წარმოშობის გზები“. ჟურნალი ლიტერატურული აჭარა N8.
104. სტამბოლიშვილი 2013 – სტამბოლიშვილი ნ. (2013). შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში. ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი .
105. სტეპანოვი 1996 – Степанов Ю. С. (1996). Константы. Словарь русской культуры. Опыт исследования. М.: Школа «Языки русской культуры».
106. ტეილორი 1989 – Тэйлор Э.Б.(1989). Первобытная культура. М.
107. ტრირი 1931 –Trier J.(1931). Der Deutsche Wortschatz im Sinnbezirk des Verstandes /Die geschichte eines sprachlichen Feldes/, Heidelberg.
108. უზნაძე 1940 – უზნაძე დ. (1940). ზოგადი ფსიქოლოგია. თბ.
109. ფოდორი 1990 – Fodor, J. (1990). Defending the “language of thought”. In W. G. Lycan (ed.), Mind and cognition. A reader. Basil Blackwell.
110. ფოკონიერი 1998 – Fauconnier J.(1998). Methods and generalizations. In: Cognitive Linguistics (см. № 8)
111. ფოკონიე 1998 – Fauconnier G.(1998). Turner M. Conceptual integration networks // Cognitive science.
112. ფრუმკინა 1996 – Фрумкина Р.М.(1996). “Теории среднего уровня” в современной лингвистике // Вопросы языкознания. №2.
113. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1950 –1964). თბილისი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა.
114. ქიქოძე 1914 – ქიქოძე გ. (1914) ენა და ეროვნული ენერგია. სახალხო ფურცელი.
115. კეროლი 1999 – Carroll S.(1999). Situational Awareness - Turning Data into Knowledge. Journal of Electronic Defense.

116. ქროფტი 1990 – Croft W. (1990). Some contributions of typology to cognitive linguistics and vice versa. In: Cognitive Linguistics...
117. შენკი 1972 – Schank R. (1972). Conceptual Dependency: A Theory of Natural Language Understanding. Cognitive Psychology. v.3, № 4.
118. შრაიბერი et al. 2000 – Schreiber G. Akkermans H. Anjewierden A. Hoog R. Shadbolt N. Velde W.V. and Wielinga B.(2000). Knowledge Engineering and Management: The Common KADS Methodology, MIT Press.
119. შრაიბერი et al. 2000 – Schreiber G. Akkermans H. Anjewierden A. Hoog R. Shadbolt N. Velde W.V. Wielinga B. (2000). Knowledge Engineering and Management: The Common KADS Methodology, MIT Press.
120. შტაინტალი 1960 - Штейнталь Г.(1960). Грамматика, логика и психология, В.А. Звегинцев, История языкознания XIX и XX веков в очерках и извлечениях, ч.I, М.
121. შენკი, აბელსონი 1975 – Schank R., Abelson R.(1975). Scripts, Plans and Knowledge, Advance Papers of Fourth Intern. Joint Conf. on Artif. Intell. № 2.
122. შვარცი 1995 – Schwarz M. (1995). Kognitivismus, kognitive Wissenschaft und Linguistik // Die Ordnung der Worber. Kognitive und lexikalischeStrukturen.Hrgs. von G.Harras. Berlin: Mouton de Gruyter.
123. შპეტი 1927 – Шпет Г. Введение в этническую психологию. М., 1927.
124. ჩაჩანიძე თ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“, <http://www.adami.ge/iaraghi/705-afkhaszi-thasvasdis-vazhskascosba-rogor-atsames-niskosloz-emskhsvari.html?lang=ka-GE> მოძიებული 25/01/2015.
125. ჩესნოკოვი 1989 – Чесноков В.П. (1989). О двух картинах мира – статической и динамической / В.П. Чесноков // Известия СКНЦ ВШ. Общественные науки. – 1989. – №3. – Ростов н/Д: Изд-во РГУ.
126. ჩურილინა 2001 – Чурилина Л.Н.(2001). Концепт «любовь» в русской наивно-языковой картине мира // Филология и культура: Материалы III-й Международной научной конференции. – Тамбов: ТГУ.
127. წავიდა (2013). <https://shabbyu.wordpress.com> მოძიებული 15/03/2015.

128. ჭავჭავაძე 1984 – Чавчаваძე Н. З. (1984). Культура и ценности. Тб.
129. ჭავჭავაძე 1988 – ჭავჭავაძე ი. (1988). „ივერიის“ წინასიტყვაობა. ყოველდღიური გაზეთი ივერია № 1. თბილისი, 31 დეკემბერი.
130. ჭავჭავაძე 2014 – ჭავჭავაძე ი. (2014). შინაური მიმოხილვა. [http://s-tagiweb.com/shinauri-mimokhilva-xv](http://s.tagiweb.com/shinauri-mimokhilva-xv) მოძიებული 10/02/2015.
131. ჭანტურიშვილი 2012 – ჭანტურიშვილი ს. (2012). ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“. <http://www.kvirispalitra.ge/history/13012-rogor-sjidnen-dzvel-saqarthveloshi.html> მოძიებული 20/04/2015.
132. ხავიერ სემპერი 2008 – J. Javier Samper, Vicente R. Tomás, Eduardo Carrillo, Rogério Patricio Chagas do Nascimento. (2008). Visualization of Ontologies to Specify Semantic Descriptions of Services. IEEE Transactions, Vol.20, #1.
133. ხარიტონიკი 1992 – Харитончик З.А. (1992). Способы концептуальной организации знаний в лексике языка // Язык и структуры представления знаний. – М.
134. ჯაკენდოფი 1983 – Jackendoff R. (1983). Semantics and cognition. Cambridge, MA: MIT Press.
135. ჯაკენდოფი 1990 – Jackendoff R.(1990) Semantic structures. Cambridge, MA: MIT Press.
136. ჯაკენდოფი 1991 – Jackendoff R. (1991). Parts and boundaries. In B. Levin and S. Pinker (eds.), Lexical and conceptual semantics. Oxford: Blackwell.
137. ჯაკენდოფი 1992 – Jackendoff, R.(1992). Language of the mind. Essays on mental representation. Chapter 3: Word meanings and what it takes to learn them: reflections on the Piaget-Chomsky. The MIT Press.
138. ჯაკენდოფი 1993 – Jackendoff R. (1993). Semantics and Cognition. 6th ed. Cambridge (Mass.): The MIT Press.
139. ჯაკენდოფი 2002 – Jackendoff, R. (2002). Foundations of Language: Brain, Meaning, Grammar, Evolution. Oxford University Press. Chapter 2: Language as a Mental Phenomenon.
140. ჯორბენაძე 1997 – ჯორბენაძე ბ. (1997). ენა და კულტურა. თბილისი.
141. ჰიუმი 1963 – Hume D. (1963). An Enquiry Concerning Human Understanding and other Essays, Washington Square Press. New York.

142. ჰუმბოლდტი 1984 – Гумбольдт В. (1984). Избранные труды по языкознанию. М.
143. ჰუმბოლდტი 1997 – Гумбольдт В. (1997). Язык и философия культуры. Москва.

გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა

1. ამირეჯიბი ჭ. (1978). *დათა თუთაშხია*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
2. ბარნოვი ვ. (2012). *მიმქრალი შარავანდედი*. თბილისი: „საბას“ წიგნები.
3. ბარნოვი ვ. (2012). *ტრფობა წამებული*. თბილისი: „საბას“ წიგნები.
4. გამსახურდია კ. (1959). *დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა*. რჩეული თხზულებანი, ტომი II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
5. დოჩანაშვილი გ. (1991). *ორნი აქა–იქ. ათი საუკეთესო მოთხრობა*. თბილისი: ივერია.
6. დოჩანაშვილი გ. (1990). *სამოსელი პირველი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
7. დოჩანაშვილი გ. (1973). *კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა*. თბილისი: საბჭოთა საქართველო
8. ლომოური ნ. (1990). *ალი. პაწია მეგობრები (მოთხრობები)*. თბილისი: საქართველო
9. ლორთქიფანიძე ნ. (1989). *საბა*. თბილისი: განათლება
10. ქიაჩელი ლ. (2014). *იბედები*. თბილისი: გამომცემლობა ლითერასი.
11. ჯავახიშვილი მ. (2004). *თეთრი საყელო*. თხზულებანი, ტომი II. თბილისი: საქართველოს მაცნე.
12. ჯავახიშვილი მ. (2004). *ჯაყოს ხიზნები*. თხზულებანი, ტომი I. თბილისი: საქართველოს მაცნე.
13. ჯავახიშვილი მ. (1928). *მიწის ყივილი*. თხზულებანი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
14. Adams D. (2002). *The Hitchhiker's Guide to the Galaxy*. New York: Hitchhiker's Guide Series. Random House Publishing Group.

15. Austen J.(2003). *Pride and Prejudice*. London: Pearson Education Limited.
16. Auster P. (2009). *The Book of Illusions*. New York: Picador.
17. Ayivor I. (2014). *The Great Hand Book of Quotes*. Ghana: CreateSpace Publishing.
18. Brown D. (2009). *The Da Vinci Code*. Anchor Books. New York: A Division of Random House, Inc.
19. Babbage C. (2011). *Passages from the Life of a Philosopher*. Technology Series. Cambridge: Cambridge University Press.
20. Chase J.H. (2012). *The Doll's Bad News*. Halcyon Classics N1.Halcyon Press Ltd.
21. Christie A.(2011). *Hickory Dickory Dock*. Hercule Poirot Series. HarperCollins Publishers.
22. Collins W. (2013). *No Name*. Wilkie Collins Series Seven. Lulu Press.
23. Cooper J.F. (2013). *Imagination and Heart*. Kartindo Publishing House.
24. Eliot G. (2015). *Adam Bede*. Open Road Media Romance.
25. Goldsmith O. (2015). *She Stoops to Conquer*. CreateSpace Publishing.
26. Green J. (2014). *The Fault in Our Stars. Trivia Quiz Book*. R & J Publishing
27. Grimrack G. W. (2013). *An Infernal Epistolary*. Green Knight Publishing.
28. Henry J.(2014). *A Bundle of Letters*. CreateSpace Publishing.
29. Huxley A. (2002). *Island*. First Perennial Classical ed. New York: HaperCollins Publishers.
30. Jami C. (2015). *Killosophy*. Criss Jami Press.
31. Joyce J. (2015). *A Portrait of an Artist as a Young Man*. CreateSpace Publishing.
32. Joyce J. (1990). *Ulysses*. New York: First Vintage International Edition.
33. Kintz J. A. (2012). *Zebra is the Piano of the Animal Kingdom*. Kindle Edition.
34. Kintz J. (2012). *This Book Has No Title*. Kindle Edition.
35. Landy D. (2011). *Death Bringer*. HarperCollins Publishers.
36. Lawrence D. H.(1999). *Sons and Lovers*. London: Wordsworth Edition.
37. London J.(2014). *The Sea Wolf*. London: Heritage Illustrated Publishing.

38. Machingura M. (2014). *How I Kissed Heartbreak Goodbye*. CreateSpace Independent Publishing Platform.
39. Martin G. R. R. (2011). *Dance with Dragons*. New York: The Random house Publishing.
40. Maugham S. (2010). *Of Human Bondage*. Mobile Reference.
41. Montgomery L.M.(2013). *The Golden Road*. Fiction Series N17. Cascade Edition.
42. Montgomery L.M.(2013). *Anne of Windy Poplars*. Cascade Edition.
43. Murphy J. A. (2013). *The Waves of Life Quotes and Daily Meditations*. CreateSpace Independent Publishing Platform.
44. Pyle H. (1968). *The Merry Adventures of Robin Hood*. Children Press.
45. Rand A. (2013). *Atlas Shrugged*. Charles Rivers Editors. CreateSpace Publishing.
46. Rendel R. (1979). *A Glowing Future*. Tales of the Unexpected. 25 Classic Episodes. London: Collectors Series.
47. Sheldon S.(2005). *Are You Afraid of the Dark?* Grand Central Publishing.
48. Singh A. (2015). *The Secret Red Book of Leadership*. Wisdom Tree Publishers.
49. Stanley A.(2006). *Fields Of Gold*. Tyndale House Publishers, Inc.
50. *Stevens Point Journal (1908)*. Stevens Point, WI, USA: Ancestry Operations Inc.
51. Tolkien J.R.R. (1991). *The Lord of the Rings*.Great Britain: HarperCollins Publishers.
52. Walsh D. Smalley G.(2015). *The Legacy*. New York: Revel Press
53. Waugh E. (2012). *Helena*. Little, Brown and Company.

